საარჩევნო პროგრამა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები

41

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

41

თავისუფლება
სწრაფი განვითარება
კეთილდღეობა

1. დემოკრატიული განვითარება

1.1. ადამიანის უფლებები: ღირსება, თავისუფლება და უსაფრთხოება 6

1.2. ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები 9

1.3. მმართველობის სისტემა, პოლიტიკური სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება 12

2. ეკონომიკური განვითარება

2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა 15

2.2. დასაქმება 16

2.3. ბიზნესგარემო 16

2.4. ეკონომიკური რეფორმები 19

2.4.1. კაპიტალის ბაზრის რეფორმა 19

2.4.2. საპენსიო რეფორმა 19

2.4.3. მიწის რეფორმა 19

2.4.4. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება 20

2.4.5. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სხვა ეკონომიკური რეფორმები 20

2.5. სივრცითი მოწყობა 20

2.6. თავისუფალი საგარეო სავაჭრო ურთიერთობები 21

2.7. ინფრასტრუქტურული განვითარება 21

2.8. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა 22

2.8.1. ენერგეტიკა 22

2.8.2. სოფლის მეურნეობა 23

2.8.3. ტრანსპორტი 25

2.8.4. ტურიზმი 25

2.9. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა 26

2.10. გარემოს დაცვა 27

3. სოციალური განვითარება

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 29

3.1.1. ჯანმრთელობის დაცვა 29

3.1.2. სოციალური დაცვა 31

3.2. განათლება 33

3.3. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა 38

4. საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა

4.1. უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა 41

4.2. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია 44

4.3. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება 46

4.4. ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება 47

4.5. რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება 48

4.6. მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება და სტრატეგიული პროექტების განვითარება 49

4.7. მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს ეკონომიკური მიმზიდველობისა და კულტურის პოპულარიზაცია 50

4.8. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა
და დიასპორასთან მჭიდრო კავშირების განვითარება 51

მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა 53

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთა ქვეყნის გადარჩენის, თავისუფლებისა და საქართველოს თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ დამკვიდრების სასარგებლოდ. ჩვენ ხელისუფლება გადმოვიბარეთ იმ პოლიტიკური ძალისგან, რომლის მმართველობასაც მოჰყვა დამატებითი ტერიტორიების ოკუპაცია და ახალი დევნილები, ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვა და მისი ფუნდამენტური უფლებების სრული შელახვა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მასობრივი გაღატაკება, სახელმწიფოსთან შეზრდილი ბიზნესი და მონოპოლიები, უკიდურესად ძვირი, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი ჯანდაცვა, მოშლილი განათლების სისტემა, პოლიტიზებული პოლიცია, ხელისუფლებისგან მართული სასამართლო და მედია საშუალებები. ჩვენ დავძლიეთ კრიზისი და დავიწყეთ ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც ეფუძნება რეალური დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს, სადაც დაცულია თითოეული მოქალაქის ფუნდამენტური უფლებები, ხელშეუხებელია საკუთრება, თავისუფალია ბიზნესი, ხელისუფლების გავლენისგან გათავისუფლებულია სასამართლო და მედია, პოლიცია აღარ ემსახურება ერთ პოლიტიკურ ძალას და ხალხის სამსახურში დგას; სადაც ყველას აქვს განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება. ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სადაც ხორციელდება რეალური და გეგმაზომიერი რეფორმები. პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ იღებს პასუხისმგებლობას, რომ საქართველო იქნება თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი, ერთიანი, ძლიერი და წარმატებული ქვეყანა, რომლის თითოეულ მოქალაქეს ექნება ყველა პირობა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის. ამის მისაღწევად: დაცული იქნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები;

განმტკიცდება კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს; ხელშეუხებელი იქნება გამოხატვისა და მედიის თავისუფლება; განათლება და ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის; დაიხვეწება სახელმწიფო სოციალური პროგრამები; დაცული იქნება კერძო საკუთრება და შრომითი უფლებები, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და დაიძლევა სიღარიბე; საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის განხორციელდება რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც გარღვევას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაში, განხორციელდება უპრეცედენტო მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა შედეგადაც საქართველოს რეგიონები უმოკლესი გზებით დაუკავშირდება ერთმანეთს, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება გახდება სწრაფი და კომფორტული როგორც შიდა მიმოსვლისათვის, ისე ტრანზიტისთვის. ამ რეფორმების შედეგები უმოკლეს ვადაში - 4 წელიწადში აისახება თითოეული ჩვენი მოქა-ლაქის კეთილდღეობაზე. პრიორიტეტული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და ახალი ბიზნესის წახალისება, სოფლის მეურნეობის განვითარება და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება; გამყარდება ქვეყნის უსაფრთხოება და საქართველოს რეგიონალური პოზიციები, კიდევ უფრო გაღრმავდება ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესები; საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი თემა იქნება ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა და, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, ქვეყნის დეოკუპაციის მიღწევა. გაგრძელდება მუშაობა აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგისა და შერიგების პროცესის დასაწყებად. ქვეყნის გამთლიანება მოხდება მშვიდობიანი გზით, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს.

პარტია ,,ქართულ ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მოახდენს გარღვევას ქვეყნის განვითარებაში და ხალხთან ერთად მიაღწევს ყველა დასახულ მიზანს. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა - ეს არის ჩვენი მიზანი! ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!

1. დემოკრატიული განვითარება

2012-16 წლებში საქართველომ განიცადა ფუნდამენტური წინსვლა დემოკრატიული განვითარების ყველა მიმართულებით: ადამიანის ღირსების, მისი უფლებების და თავისუფლების დაცვა იქცა ხელისუფლების საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად, თვისებრივად ამაღლდა მმართველობისა და პოლიტიკური სისტემების დემოკრატიულობის, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის აქტიურობის ხარისხი.

1.1. ადამიანის უფლებები: ღირსება, თავისუფლება და უსაფრთხოება

ადამიანი არის მთავარი ღირებულება და ხელისუფლების ყოველი მოქმედება ამ ღირებულების დაცვას უნდა ემსახურებოდეს. ადამიანი უნდა იყოს სახელმწიფოს ყოველი მოქმედების მიზანი და არცერთ შემთხვევაში მიზნის მიღწევის საშუალება. ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების მასობრივი ხელყოფის აღკვეთა და ადამიანის უფლებების დაცვა 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია. ადამიანის ღირსების შემლახავი რეპრესიული რეჟიმი ჩანაცვლდა ჰუმანური, ადამიანზე ორიენტირებული მმართველობით. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, ადამიანის ღირსებისა და მისი უფლებების დაცვა იქცა ხელისუფლების უმთავრეს პრიორიტეტად და 2013 წლიდან განხორციელებული ყველა სისტემური რეფორმა ამ პრიორიტეტს დაეფუძნა. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის მუდმივი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, მისი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შემუშავდა და დამტკიცდა.

ფუნდამენტურად შეიცვალა **სისხლის სამართლის პოლიტიკა.** რეპრესიული სისხლის სამართლის პოლიტიკა ლიბერალურმა, ჰუმანურმა და დამნაშავეთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ შეცვალა. სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადავსების, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკისა და ხელისუფლების ტოტალური თვითნებობის აღკვეთის ფონზე, ქვეყანაში გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება. 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს დანაშაულის (მათ შორის მკვლელობის, ყაჩაღობის, ძარცვის, ქურდობის) მაჩვენებელი 9%-ით შემცირდა. 60%-ს გადააჭარბა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა, რომელიც 2009-10 წლებში 50%-ს არ აღემატებოდა. გაუქმდა სასჯელის უპირობო შეკრებითობის წესი, რაც ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, არაადეკვატურად მძიმე სასჯელის დაკისრებას იწვევდა. განხორციელდა საპროცესო შეთანხმების რეფორმა - გაიზარდა მოსამართლის უფლებამოსილებები საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში; გაფართოვდა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლები; პროკურატურამ შეცვალა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ჯარიმის გადახდის პოლიტიკა, რის შედეგადაც ჯარიმის სახით გადახდილი თანხების ოდენობა თითქმის სამჯერ შემცირდა - საპროცესო შეთანხმება აღარ გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყაროდ. ადამიანები დაცული არიან მათი უფლებების დანაშაულებრივი ხელყოფისგან ხელისუფლების მხრიდან.

აღიკვეთა სისტემური დანაშაული **სასჯელაღსრულების სისტემაში.** 2012 წელს საქართველო 24 114 პატიმრით ევროპაში პირველ ადგილზე იყო, 2016 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი ორნახევარჯერ, 9540 პატიმრამდე შემცირდა. ოთხჯერ შემცირდა პატიმარი ქალების, ხოლო ხუთჯერ - არასრულწლოვანი პატიმრების რიცხოვნობა. აღიკვეთა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა. 2012 წლიდან დღემდე ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრის წამების ან არაადამიანური მოპყრობის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა. 2013 წლიდან, პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს სწორი პოლიტიკისა და თანმიმდევრული მიდგომის საფუძველზე, წარმატებით მოქმედებს C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამები. დროული ტესტირებისა და მკურნალობის შედეგად, ტუბერკულოზის ახალგამოვლენილი შემთხვევების რაოდენობამ 2015 წელს 56 შეადგინა, როცა 2012 წელს ეს მაჩვენებელი 457 იყო. 500-ზე მეტმა პატიმარმა იმკურნალა C ჰეპატიტის პროგრამით, რომელიც 2013 წელს დაიწყო - განკურნების მაჩვენებელი 90%-ს აღემატება. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის აღკვეთისა და სისტემაში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმის საფუძველზე, 2011 წელთან შედარებით, 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობა და ამ მაჩვენებელმა, 140-ის ნაცვლად, 2015 წელს 12 შეადგინა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით, ეტაპობრივად ინერგება სარეაბილიტაციო პროგრამები. პენიტენციურ დაწესებულებებში ეტაპობრივად იხსნება საწარმოები, სადაც საქმდებიან მსჯავრდებულები. რიგ დაწესებულებებში მსჯავრდებულებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული სწავლების პროგრამები. პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის თვისებრივი გაუმჯობესების ფონზე, უზრუნველყოფილია სისტემისა და პატიმრების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.

2012 წელს აღიკვეთა **საკუთრების უფლებისა** და ბიზნესის თავისუფლების მასობრივი ხელყოფის სისტემური პრაქტიკა. დღეს საკუთრება და ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან სრულიად თავისუფალია. 4 წლის განმავლობაში ბიზნესზე ზეწოლის არცერთი პრეცედენტი არ ყოფილა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-16 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საკუთრების უფლების კომპონენტში საქართველომ 2012 წელს დაკავებული 120-ე პოზიციიდან 58-ე პოზიციაზე გადაინაცვლა.

სამართლიანობის აღდგენის პროცესი კონსტიტუციურ ჩარჩოებში და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად მოქმედების პირობებში წარიმართა. წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელები დაისაჯნენ ან ქვეყნიდან გაიქცნენ. პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომლის მუშაობის საფუძველზე წინა ხელისუფლების პირობებში ჩადენილი წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სხვა ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით, პროკურატურამ აწარმოა გამოძიება 191 სისხლის სამართლის საქმეზე, რის საფუძველზეც სასამართლომ დამნაშავედ სცნო 81 ყოფილი თანამდებობის პირი

და საჯარო მოხელე; 38 შემთხვევაში კანონიერ მფლობელებს 15 მილიონ ლარზე მეტის ღირებულების წართმეული ქონება დაუბრუნდათ. გამოძიება გრძელდება 324 საქმეზე.

უზრუნველყოფილია **გამოხატვისა და მედიის თავისუფლება** და მედიაპლურალიზმი. თუ 2012 წლამდე სამივე ეროვნული ტელეარხი ხელისუფლების სრული გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა, დღეს მედიასივრცე ხელისუფლების კონტროლისგან სრულიად თავისუფალია. უზრუნველყოფილია ობიექტური მაუწყებლობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელიც 2012 წლამდე მმართველი პარტიის ცენზურის პირობებში ფუნქციონირებდა. ყოფილი მმართველი პარტიის მფლობელობიდან კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდა ტელეკომპანია „იმედი“, რომელიც დამოუკიდებელ მაუწყებლობას ახორციელებს. გასული 4 წლის განმავლობაში, გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად - ავტორიზაციის მარტივი პროცედურის დანერგვისა და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შედეგად, ეროვნულ დონეზე 45-მდე არხის უფასოდ მიღება გახდა შესაძლებელი, როცა რეფორმამდე მხოლოდ 4 ეროვნული მაუწყებელი იყო ხელმისაწვდომი; გაიზარდა ადგილობრივ ტელემაუწყებელთა მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი; გაუმჯობესდა სიგნალის ხარისხი. Freedom House-ის კვლევის თანახმად, ინტერნეტის თავისუფლების მაჩვენებელი, 2011 წელთან შედარებით, 11 ქულით გაუმჯობესდა, 2015 წელს 24 ქულით განისაზღვრა და საქართველო ნახევრად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფიდან თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში გადავიდა.

უზრუნველყოფილია **შეკრების თავისუფლება,** რომელსაც სახელმწიფო ძალადობას და სისასტიკეს აღარ უპირისპირებს.

უზრუნველყოფილია ადამიანის **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**. აღიკვეთა ტოტალური თვალთვალის, მოსმენისა და შანტაჟის სისტემური პრაქტიკა, რომელიც წინა ხელისუფლების ავტორიტარული მმართველობის გამყარების მთავარ იარაღად იყო ქცეული. საზოგადოებას აღარ აქვს პირად ცხოვრებაში ჩარევისა და მის საფუძველზე უფლებების შელახვის შიში. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ამოქმედდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ქმედითი ინსტიტუტი.

ადამიანებისა და მათი გაერთიანებების უფლებრივი **თანასწორობის** უზრუნველსაყოფად, მიღებულ იქნა კანონი “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”. ხელისუფლებამ გადადგა ქმედითი ნაბიჯები თანასწორობის პრინციპის დასაცავად:

- უზრუნველყოფილია **რწმენის თავისუფლება** და რელიგიური მრავალფეროვნება. სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების შემდგომ განვითარებას. რელიგიური თანასწორობის განმტკიცებისა და კონფესიური თვითმყოფადობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. სახელმწიფო ახორციელებს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსურ მხარდაჭერას. ჩამოყალიბდა რელიგიური თემების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, საიდანაც დაფინანსებას მუსლიმური, იუდეური, კათოლიკე და სომეხთა ქრისტიანული სამოციქულო თემები იღებენ. განვითარდა რელიგიური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ინტერრელიგიური ჩართულობის მექანიზმები. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებების აღდგენის მიმართულებით;
- ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **ეროვნული უმცირესობების** უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“, რომელიც საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას დაეფუძნა, აგრეთვე განსაზღვრა არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმები. მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრა ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. შემუშავდა ეთნიკური უმცირესობების განათლების პოლიტიკის დოკუმენტი სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებზე. ხორციელდება ქართული ენის სპეციალური კურსები როგორც საუნივერსიტეტო, ისე პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის და საჯარო მოხელეებისთვის. მეტი ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, მათ კულტურულ თვითმყოფადობას და საჭიროებებს. სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, ამაღლდა ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ეფექტიანობის ხარისხი. ხორციელდება სპეციალური პროგრამები, რომლის ფარგლებში 90 სკოლაში გაიხსნა ქართული ენის კლუბები, რითაც 2600-ზე მეტი მოსწავლე, 500-მდე მასწავლებელი და 400-ზე მეტი ადგილობრივი თემის წევრი სარგებლობს. ქართული ენის 78 მასწავლებელი მივლენილ იქნა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში;
- 4 წლის განმავლობაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები **გენდერული თანასწორობის** უზრუნველსაყოფად და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. გაძლიერდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის ინსტიტუციური მექანიზმები;
- გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები **ოჯახში ძალადობის** აღმოსაფხვრელად, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად. გამკაცრდა სანქციები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა მიმართ, განხორციელდა იძულებითი ქორწინების კრიმინალიზაცია, 2017 წლიდან აიკრძალება 18 წლამდე ქორწინება;
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების** რეალიზება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2013 წელს ხელისუფლებამ განახორციელა შშმპ გაეროს კონვენციის

რატიფიცირება. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. განისაზღვრა სტანდარტები დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში შშმ პირებისათვის შესაბამისი ფიზიკური გარემოს მოსაწყობად. ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, პირველ ეტაპზე, უზრუნველყოფილ იქნა სარკინიგზო ტრანსპორტის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა. დაიწყო საარჩევნო უბნების შშმ პირთა საჭიროებებზე მისადაგების პროცესი. შშმ პირთა დამოუკიდებელი გადაადგილებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამა.

გააქტიურდა ადამიანით ვაჭრობის - **ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შეფასებულ 176 სახელმწიფოს შორის, საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზე - ე.წ. „პირველ კალათაში“ მოხვდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აaღმოფხვრისათვის დადგენილ სტანდარტებს. სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, შეიქმნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო და შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისა და სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია სპეციალური სახელმწიფო ფონდი. მოქმედებს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებით მოვაჭრეთა იდენტიფიკაციას და მათ შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას.

ქართული ოცნება“ არის და იქნება გარანტი იმისა, რომ საქართველოში არ დაბრუნდება ხელისუფლების მიერ ადამიანის ღირსების უგულვებელყოფისა და შელახვის პრაქტიკა და ქვეყანა განვითარებას განაგრძობს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების განუხრელი დაცვის პირობებში.

სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, გაგრძელდება სისხლის სამართლის რეფორმა: სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა დაიხვეწება სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; უზრუნველყოფილი იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის ორიენტირება მსჯავრდებულთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე - გაფართოვდება არასაპატიმრო სასჯელების წრე და დაინერგება შესაბამისი სერვისები;

სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

- სულ უფრო მეტი მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება; შესაძლებელი გახდება უმაღლესი განათლების მიღება დაბალი რისკის დაწესებულებებში; მსჯავრდებულთათვის შეიქმნება დასაქმების ახალი კერები; გაძლიერდება პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, მათ შორის სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამები;
- დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაციას და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას შეუწყობს ხელს. შინაპატიმრობის აღსრულების კონტროლი განხორციელდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს. მოხდება შინაპატიმრობის გამოყენება პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესშიც, რაც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, გათავისუფლებული პირის სათანადო ქცევა მასზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გზით უზრუნველყოს. დაინერგება ახალი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - წინასასამართლო პრობაცია, რაც საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამცირებს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების რაოდენობას.

კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება **საკუთრების უფლების** განუხრელი დაცვა.

გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი - კონსტიტუციურ ფარგლებში და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ხელისუფლება გამოიყენებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რათა თითოეულ ადამიანს აღუდგეს წინა ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლება და დაისაჯონ შესაბამის დანაშაულში ბრალდებული პირები.

უზრუნველყოფილი იქნება **გამოხატვისა და მედიის თავისუფლება**, მედიაპლურალიზმი და სარედაქციო პოლიტიკის თავისუფლება.

ხელისუფლება უზრუნველყოფს **შეკრების თავისუფლების** სრულფასოვან რეალიზაციას. დაიხვეწება სპონტანური შეკრებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები და კიდევ უფრო გაძლიერდება შეკრებების, ასევე გამოხატვის სხვა ფორმების ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთისა და პრევენციის მექანიზმები. უზრუნველყოფილი იქნება შეკრების უფლების დარღვევის ფაქტებზე ქმედითი სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია.

კიდევ უფრო დაიხვეწება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვა **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის** მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას, უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით და მინიმუმამდე დაიყვანს ხელისუფლების მხრიდან პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის ბოროტად გამოყენების რისკს. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება იმგვარად, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობისა და ქვეყნისა და ადამიანების უსაფრთხოების ინტერესებს შორის. განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

გატარდება ქმედითი ღონისძიებები **თანასწორობის** უფლების რეალიზებისათვის და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად. გაძლიერდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის აღსრულების მექანიზმები:

- უზრუნველყოფილი იქნება **რწმენის თავისუფლების** დაცვა ყველა რელიგიური გაერთიანებისა და თითოეული ადამიანისთვის. გაგრძელდება და კიდევ უფრო გაღრმავდება ინტერრელიგიური დიალოგი. ხელისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის შემდგომ განვითარებას;
- **ეროვნული უმცირესობების** უფლებების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად, განხორციელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა მიზნად ისახავს მომდევნო წლების განმავლობაში ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რათა საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში. გააქტიურდება ძალისხმევა ყოველწლიური დეტალური გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობით, მათ შორის სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე არსებული კომისიის ფარგლებში. განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, რაც ხშირად ქმნის წინაღობას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სრულფასოვანი ჩართულობისათვის. შესაბამისად, გაიზრდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტურობა, გაფართოვდება წვდომა სახელმწიფო ენის პროგრამებზე აკადემიური პროცესის მიღმაც. უზრუნველყოფილი იქნება ქართული ენის მიზნობრივი სწავლება საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებისთვის გაუმჯობესდება ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა. განათლების სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურებზე. გაუმჯობესდება მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა, რაც წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი წინაპირობაა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის, სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის სახელმწიფოს შესაბამის პროგრამებსა და სერვისებზე მათთვის გასაგებ ენაზე სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდით; უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების და განვითარების შესაძლებლობები, ტოლერანტული გარემოს წახალისება მთლიანად საზოგადოებაში;
- განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, **გენდერული თანასწორობის** დასაცავად; უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული თანასწორობის დარღვევის თითოეულ ფაქტზე; ხელისუფლება ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვას;
- გაგრძელდება რეფორმები **ოჯახში ძალადობის** მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის ამოქმედდება სახელმწიფო კომპენსაციის სისტემა; გაგრძელდება ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანია;
- დაცული იქნება **შშმ პირთა უფლებები** გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით; საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შშმ პირთა სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შშმ პირთა დასაქმებას, ასევე ადმინისტრაციული შენობების შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირებას; ხელისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარ ხელმისაწვდომობას, შესაბამისი რეგულაციების შემუშავებისა და დანერგვის გზით.

გაგრძელდება აქტიური **ბრძოლა ტრეფიკინგის წინააღმდეგ.**

1.2. ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები

ფუნდამენტურად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც გასული 4 წლის განმავლობაში, ხელისუფლების თანმიმდევრული და პრინციპული პოლიტიკის შედეგად, თანდათანობით გათავისუფლდა ყოფილი მმართველი პარტიის გავლენისგან.

სასამართლოების პერსონალური შემადგენლობის არსებითად შენარჩუნების პირობებში, **სასამართლო ხელისუფლება** გათავისუფლდა პოლიტიკური გავლენისგან. 2012 წლის ნოემბერში დაიწყო მართლმსაჯულების ინსტიტუციური რეფორმის პირველი ეტაპი, რომლის შედეგად - პირველად ჩატარდა იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევნები დემოკრატიული წესების დაცვით, საბჭოში წევრობა შეუწყდათ პარლამენტის წევრებს და ისინი საექსპერტო წრეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებმა შეცვალეს; დაიხვეწა მოსამართლეთა დისციპლინური

დევნის პროცედურები. სასამართლო დარბაზებში დაბრუნდა სატელევიზიო კამერები, რის შედეგადაც სასამართლო პროცესები ფართო საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. 2014 წლის თებერვალში დაიწყო რეფორმის მეორე ეტაპი, რომლის შედეგად სისტემაში პირველად იქნა შემოღებული მოსამართლის შეფასების ინსტიტუტი. რეფორმის შედეგად, შეჯიბრებითობის პრინციპმა სისხლის სამართლის პროცესში რეალური მნიშვნელობა შეიძინა. მხარეთა უფლებების სათანადოდ რეალიზების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა მხარეთა მიერ სასამართლოში მტკიცებულებების პირველადი ფორმით წარდგენის მეტი შესაძლებლობა. გარდაიქმნა და გადამუშავდა ნორმები, რომლებიც ეხება აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით - პატიმრობის გამოყენებას, შეცვლასა და გაუქმებას. მოსამართლეები უპირობოდ აღარ აკმაყოფილებენ ბრალდების მხარის შუამდგომლობებს პატიმრობის მოთხოვნით. სასამართლო პრაქტიკაში გამოჩნდა აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახე, როგორიც არის შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სწრაფი მართლმსაჯულების სამართლიანად და გამჭვირვალედ განხორციელების უზრუნველსაყოფად, გაფართოვდა დაზარალებულის საპროცესო უფლებები. დაზარალებულს მიეცა უფლება - მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს საქმის მასალებს; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება. რეფორმის შედეგად შეიცვალა წინასწარი გამოძიების დროს მოწმის დაკითხვის წესი. სავალდებულო დაკითხვა ნებაყოფლობითი გამოკითხვით შეიცვალა. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა შემცირდა 90 დღიდან 15 დღემდე. განხორციელდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა, რომლის შედეგად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები საქართველოს შვიდ ქალაქში ამოქმედდება. სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის ფუნდამენტური გაუმჯობესების შედეგად, 2011 წელთან შედარებით, ადმინისტრაციულ საქმეებზე ხელისუფლების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა 55%-ით არის შემცირებული, ხოლო სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი 49%-დან 29%-მდე შემცირდა.

2012-16 წლებში ყოფილი მმართველი პარტია ინარჩუნებდა გადამწყვეტ გავლენას **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს** საქმიანობაზე. პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად, თვისებრივად შეიცვალა სასამართლოს პრაქტიკა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, პოლიტიკური დატვირთვის მქონე ყველა საქმე ერთსა და იმავე კოლეგიას ეწერებოდა. შედეგად, თუ 2009-12 წლებში საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად მხოლოდ 16 საქმე განიხილა, 2013 წლიდან ეს მაჩვენებელი ორნახევარჯერ გაიზარდა და 2016 წლის ივლისის მდგომარეობით, 38 შეადგინა. 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ამაღლდა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა გადაწყვეტის სტანდარტი, რითაც გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკური გავლენის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, შეიცვალა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესი და იგი 2016 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების მიერ აირჩევა.

ფუნდამენტურად შეიცვალა **პროკურატურის** საქმიანობის პრინციპები. პროკურატურა, რომელიც 2012 წლამდე სრულად აკონტროლებდა სასამართლო ხელისუფლებას და ადამიანებზე ზეწოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღად იყო ქცეული, დღეს დეპოლიტიზებულია და სისხლისსამართლებრივ დევნას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს. პროკურატურის დამოუკიდებლობის განმტკიცებას დამატებით შეუწყო ხელი შესაბამისმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა ცვლილებებმა - იუსტიციის მინისტრი აღარ სარგებლობს საპროკურორო ზედამხედველობის უფლებით; პროკურატურა გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისაგან. მთავარი პროკურორის არჩევის უფლებამოსილება განაწილდა პარლამენტზე, მთავრობასა და საპროკურორო საბჭოზე; მთავარ პროკურორს 6 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პროკურორების დამოუკიდებლობის განმტკიცების, გავრცელებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

უზრუნველყოფილ იქნა **შინაგან საქმეთა სამინისტროს** დეპოლიტიზაცია, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში, ადამიანების დევნისა და დაშინების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად გამოიყენებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული რეფორმის შედეგად, რეპრესიაზე ორიენტირებული პოლიციური სისტემა გარდაიქმნა პრევენციაზე ორიენტირებულ სისტემად, რომლის უმთავრეს ფუნქციად დანაშაულის თავიდან აცილება და მოსახლეობისთვის საჭირო მომსახურების მიწოდება განისაზღვრა - განახლდა პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა; განხორციელდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მოდერნიზაცია; მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მასშტაბები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში; დაიწყო სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციის, სტანდარტიზაციის და უნიფიკაციის მასშტაბური პროგრამა; დაინერგა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტი; გააქტიურდა თანამშრომლობა ევროპოლთან; განხორციელდა 100-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შეიქმნა მიგრაციის მართვის სამსახური და აშენდა მიგრანტთა დროებითი განთავსების თანამედროვე ცენტრი; გაუმჯობესდა პოლიციელთა სოციალური დაცვის გარანტიები. გატარებული რეფორმების შედეგად, პოლიციის მომსახურების სანდოობის კომპონენტში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-16 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2011-12 წლების ანგარიშთან შედარებით, 14 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილით განისაზღვრა; ორგანიზებული დანაშაულის კომპონენტში, ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა 2011-12 წლების ანგარიშთან შედარებით, 50 პოზიციით გაუმჯობესდა და

მე-17 ადგილით განისაზღვრა; პოლიციის საიმედოობის კომპონენტში, Frazer Institute-ის 2015 წლის ანგარიშის - „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა, 2012 წლის შედეგთან შედარებით, 13 პოზიციით გაუმჯობესდა და 26-ე ადგილით განისაზღვრა.

გაუქმდა სოდ-ი და კუდ-ი, რომლებიც წინა რეჟიმის დანაშაულებრივი სისტემის სიმბოლოდ იყო ქცეული. შსს სისტემიდან გამოიყო და დამოუკიდებელ, დეპოლიტიზებულ უწყებად ჩამოყალიბდა **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.** სამსახურის ხელმ-ძღვანელს 6 წლის ვადით თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი, რაც უწყების დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩამოყალიბდა ქმედითი და მაღალპროფესიული გუნდი. სამსახური საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების საპასუხოდ, უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის ქმედით ფუნქციონირებას.

გაძლიერდა **სახალხო დამცველის** ინტიტუტი, გაიზ-რდა მისი საბიუჯეტო დაფინასება და ადამიანური რესურსი. დამკვიდრდა პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის ანგარიშების განხილვისა და რეკომენდაციების გაზიარების, აგრეთვე ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვისა და მასთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდება ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები:

გაგრძელდება **სასამართლო** სისტემის რეფორმა როგორც ინსტიტუციურ დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ისე ცალკეული მოსამართლის მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად; სასამართლოს რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად, დაიხვეწება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესი და დისციპლინური წარმოების პროცედურები; საქმეები განაწილდება შემთხვევითობის წესით, ელექტრონული ფორმით. განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა გავრცელდება მომიჯნავე მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება ძვირადღირებული კომერციული საქმეების განხილვაზე - რეფორმის შედეგად, მკვეთრად გაიზრდება მართლმსაჯულების ხარისხი კომერციულ დავებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას და ეკონომიკის წინსვლას.

უზრუნველყოფილი იქნება **საკონსტიტუციო სასამა-რთლოს** დამოუკიდებლობა, როგორც მმართველი პარტიის, ისე სხვა პოლიტიკური ძალების გავლენისგან; საპარლამენტო კვოტის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდებიან მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის და სათანადო რეპუტაციის მქონე იურისტები.

პროკურატურა კვლავაც იფუნქციონირებს როგორც საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული სისტემა, რაც ბრალდებულთა და პროცესის მონაწილე სხვა მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში შემუშავდება ახალი მიდგომები, დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოვდება არსებული საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკა. გაიზრდება საზოგადოების ჩართულობა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფის პროცესში. რიგითი პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხის-მგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მ.შ. დაწინაურების) სისტემა; შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები; გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დანა-შაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის, დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღია და დახურული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, საფრთხეების იდენტიფიცირებას და მათზე დროულ რეაგირებას; პოლიციის სანდოობისა და საიმედოობის გაზრდისათვის უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ჩართვა უსაფრთხოებასა და მართლწესრიგთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტაში, აგრეთვე გაძლიერდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან, მედიასთან და ბიზნესსექტორთან მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმები; გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის მოდერნიზაცია ქვეყნის მასშტაბით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება გამოძიების ხარისხი და შესაძლებლობები; განხორციელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც ქვეითთა, მგზავრების და მძღოლების უსაფრთხოების ამაღლებას მოემსახურება და გზებზე სიკვდილიანობას შეამცირებს; დაგეგმილ ვადებში დასრულდება საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა, რაც უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას; დასრულდება საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს ქმედით კოორდინაციას და სწრაფ რეაგირებას; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არალეგალურ მიგრაციას და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას, ამ კუთხით სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებას და სხვა უწყებებთან კოორდინაციის ამაღლებას; გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან, განსაკუთრებით კი ევროპოლთან; პოლიციის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდება ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა, რათა კარიერული წინსვლა დაეფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას; მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდება შსს აკადემიაში: დაინერგება ახალი პროგრამები, განახლდება ტექნოლოგიები, აკადემიის ბაზაზე შეიქმნება პოლიციის საერთაშორისო სასწავლო ცენტრი;

პოლიციის საზოგადოებასთან დაახლოების კუთხით გაგრძელდება პოლიციის რეფორმირება იმგვარად, რომ სისტემა მაქსიმალურად მოემსახუროს საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიზანს.

უზრუნველყოფილი იქნება **სახელმწიფო უსაფრთ-ხოების სამსახურის** დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა და მისი რესურსების შემდგომი გაძლიერება.

გარანტირებული იქნება **სახალხო დამცველის** დამოუკიდებლობა, მისი აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან და სხვა საჯარო სტრუქ-ტურებთან.

1.3. მმართველობის სისტემა, პოლიტიკური სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება

2012 წლიდან ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა ხელისუფლების დანაწილების, ტერი-ტორიული მართვისა და საჯარო სამსახურის სისტემების გაძლიერების, აგრეთვე პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო სექტორის გაჯანსაღების თვალსაზრისით.

აღდგა დარღვეული ბალანსი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის და ჩამოყალიბდა **ხელისუფლების დანაწილების** დემოკრატიული სისტემა. თვისებრივად გაძლიერდა საქართველოს პარლამენტის როლი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში - პარლამენტმა რეალურად დაიწყო კონსტიტუციით გათვალისწინებული მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება; უზრუნველყოფილ იქნა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. ხელისუფლების არცერთი შტო არ სარგებლობს შეუზღუდავი და დაუბალანსებელი ძალაუფლებით, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვას დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა ტერიტორიული მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. გაძლიერდა **ადგილობრივი თვითმმართველობის** სისტემა - შემოღებულ იქნა გამგებლებისა და მერების პირდაპირი არჩევის წესი; მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლის დამატებით წყაროდ განისაზღვრა მეწარმე ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, რის შედეგადაც გაიზარდა მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსულობების ხვედრითი წილი მათ საერთო საბიუჯეტო შემოსულობებში; ტრანსფერის ახალი სახის - კაპიტალური ტრანსფერის შემოღების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კონკურენტულ საწყისებზე მიიღონ დამატებითი სახსრები საკუთარ უფლებამოსილებებში შემავალი კაპიტალური პროექ-ტების განსახორციელებლად; დაიწყო დაგეგმვის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი დოკუმენტების მომზადება და მიღება; დასახლების საერთო კრებებისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების შემოღებით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **საჯარო სამსახურის** სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. თვისებრივად ამაღლდა საჯარო სამსახურის სტაბილურობისა და აპოლიტიკურობის ხარისხი. პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, შემოღებულიქნა საჯარო მოხელეთა კონკურსის გზით დანიშვნის სავალდებულო წესი. 2014 წელს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში ძირეული რეფორმების გატარების შესახებ. შედეგად, 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება და შექმნის სათანადო სამართლებრივ საფუძვლებს საჯარო სამსახურის რეფორმის სისრულეში მოსაყვანად და „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასანერგად. საქართველო გადავიდა ანტიკორუფციული პოლიტიკის ახალ ეტაპზე, აქტიურად მუშაობს კორუფციასთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმები. უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერების მიზნით, შეიქმნა ანტიკორუფციული საბჭო. პირველად იქნა შემოღებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის გადამოწმების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს მკაცრად გააკონტროლებს და კორუფციასთან ბრძოლის სისტემურ ინსტიტუტს შექმნის. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული მექანიზმის გასაძლიერებლად, შემუშავდა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების ერთიანი დოკუმენტი ყველა საჯარო დაწესებულებისათვის, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება. გატარებული რეფორმების შედეგად, მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსის“ 2015 წლის მონაცემებით, საქართველო პირველ ადგილზეა კორუფციის დაბალი მაჩვენებლით აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 13 ქვეყანას შორის. გაუმჯობესდა სერვისების მიწოდების პროცესი. პროგრესულად ვითარდება ელექტრონული მომსახურება. „იუსტიციის სახლის“ ელ-მომსახურების გვერდის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა 40-მდე მომსახურების ელექტრონულად მიღება. ელექტრონული მთავრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ასევე გამჭვირვალე და ღია მმართველობის გაუმჯობესებას. სახელმწიფო დაწესებულებები სულ უფრო აქტიურად იყენებენ ელექტრონულ ვებ-გვერდებს საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **პოლიტიკური სისტემის** სტაბილიზაციის მიმართულებით. პოლი-ტიკურ სპექტრში ჯერ კიდევ მაღალია პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის ხარისხი, რასაც პოლიტიკური პარტიებისა და მათთან დაკავშირებული მედია-საშუალებების რიტორიკა და პოლიტიკურ დისკუსიებში სიძულვილის ენის ფართოდ გამოყენება უწყობს ხელს. კანონმდებლობა შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს, მათ შორის ნორმებს, რომლებიც ფიქტიური ბლოკების შექმნისა და პრივილეგიების სხვადასხვა არჩევნებთან დაკავშირების გზით, პარტიებს პრივილეგიების უსამართლოდ მითვისების შესაძლებლობას აძლევს. ყოველივე ეს დაბრკოლებას უქმნის პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციას. აღნიშნული პრობლემები არის იმ არადემოკრატიული პოლიტიკური გარემოს შედეგი, რომელიც საქართველოში 2012 წლამდე იყო ჩამოყალიბებული. პოლიტიკური სისტემის საერთო დემოკრატიზაცია, არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩატარება და პოლიტიკური პარტიების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა უზრუნველყოფს პოლიტიკაში რადიკალიზმის

შემცირებას და დააჩქარებს პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს. 2013-16 წლებში, პოლიტიკური სისტემის გასაჯანსაღებლად, დაიხვეწა კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების შესახებ - გაუქმდა რეპრესიული ნორმები, რომლებიც 2011-2012 წლებში ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერების შევიწროების მიზნით გამოიყენებოდა; იურიდიულ პირებს მიენიჭათ პარტიების დაფინანსების უფლება; პარტიების შემომწირველებისა და მათი ფინანსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით; 4%-დან 3%-მდე შემცირდა პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მისაღებად დადგენილი ბარიერი.

2012 წლის შემდეგ საქართველოში თვისებრივად შეიცვალა **საარჩევნო გარემო**. აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა. საერთაშორისო თანამეგობრობის საყოველთაო შეფასებით, 2013 და 2014 წლების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. გადაისინჯა საარჩევნო ოლქების საზღვრები, რის საფუძველზეც პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ხმათა თანასწორობის პრინციპის სრული დაცვით ჩატარდება. მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნებისთვის დაწესდა 50%-იანი ბარიერი, რითაც ამაღლდა მათი ლეგიტიმაციის ხარისხი. არჩევნების სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, გადაისინჯა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მთელი რიგი ნორმები - დაიხვეწა კენჭისყრის დღის პროცედურები, კენჭისყრის შენობაში, ოთახებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის ნორმები; შეიზღუდა სპეციალური უბნების შექმნა, ხოლო შსს-ს სპეციალური უბნები მთლიანად გაუქმდა; საარჩევნო სიის დაზუსტებისათვის აუცილებელი პრინციპის – „ერთი ადამიანი – ერთი დოკუმენტი“ უზრუნველსაყოფად, ორი წლის განმავლობაში გაიცა მილიონზე მეტი ახალი პირადობის მოწმობა და ა.შ. ადმინისტრაციული რესურსი, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურები, აღარ გამოიყენება ამომრჩეველზე ზეწოლის საშუალებად. ადამიანებს, მათ შორის ბიზნესმენებს, აღარ აქვთ ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერის, აგრეთვე მათ მფლობელობაში არსებულ მედიასაშუალებებში რეკლამის განთავსების შიში. საგრძნობლად ამაღლდა საზოგადოების ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.

მნიშვნელოვნად ამაღლდა **სამოქალაქო სექტორის** აქტიურობის, აგრეთვე საჯარო გადაწყვეტილებათა დაგეგმვისა და მიღების პროცესში მისი ჩართულობის ხარისხი. არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ ქმედით კონტროლს ხელისუფლების საქმიანობაზე.

ხელისუფლება განახორციელებს ქმედით და სამართლიან პოლიტიკას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მმართველობის სისტემის, პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი გაძლიერება.

პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისა და ექსპერტების სათანადო ჩართულობით, შემუშავდება კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუცია სრულ შესაბამისობაში იქნება მოყვანილი კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან. კონსტიტუციის ახალი რედაქცია დაეფუძნება **ხელისუფლების დანაწილების** პრინციპს და უზრუნველყოფს ჯეროვანი ბალანსის დაცვას ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის.

დაიხვეწება **ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის** სისტემა:

- საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, გადაისინჯება რეგიონული მართვის სისტემა;
- გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობა. სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე გაიზრდება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის უწყვეტ და თანმიმდევრულ პროცესს დაეფუძნება. ფისკალური დეცენტრალიზაციის, აგრეთვე მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებსა და რესურსებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ეტაპობრივად გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში; გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები; საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სათანადოდ აღიჭურვება მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ორგანოები; ეტაპობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდება „საზოგადოებრივი ცენტრების“ არსებული პრაქტიკა, რომლის მეშვეობით განხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურებების მიწოდება ყოველ დასახლებაში, მმართველობის ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ფიზიკური მანძილის მიუხედავად.

დაიხვეწება **საჯარო სამსახურის** სისტემა:

- ეტაპობრივად, ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანას და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად; მკაფიოდ მოწესრიგდება მოხელეებზე პრემიებისა და დანამატების გაცემის, აგრეთვე მათ მიერ საჯარო რესურსით სარგებლობის წესი;
- ადმინისტრაციული რესურსის შემცირების მიზნით, საჯარო დაწესებულებათა მიმდინარე ფუნქციურ-ინსტიტუციური ანალიზის შედეგების განზოგადების საფუძველზე, განხორციელდება ჭარბი საჯარო დაწესებულებების და დაწესებულებებს შორის ფუნქციათა გადაფარვის იდენტიფიცირება;
- უზრუნველყოფილი იქნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმული ნაბიჯების ქმედითი კოორდინაცია, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება. დაინერგება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილ მონიტორინგს, კერძოდ დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადგენას;
- დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფლებაზე ცალკეულ აქტებში გაბნეული ნორმების კონსოლიდირებას და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას; კიდევ უფრო მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა;

- შეიქმნება მთავრობის ერთიანი „ფრონტ (ბიზნეს) ოფისი", სადაც ყველა საჭირო სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება; მოხდება მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების დროის რეგლამენტირება. ამ მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნება სტრუქტურული ერთეული, რომელიც განახორციელებს მთავრობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივობის, მუშაობის პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და საქმიანობის ეფექტიანობის მონიტორინგს უწყებებს შორის უკეთესი კომუნიკაციისა და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, „ქართული ოცნება" უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომ დახვეწას. საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, გადაისინჯება საარჩევნო სისტემა. პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციის საფუძველზე, დაიხვეწება პარტიების დაფინანსებისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო მექანიზმები. „ქართული ოცნება" თავისი საქმიანობით ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური კულტურის განვითარებას და პოლიტიკაში რადიკალიზმის აღმოფხვრას.

„ქართული ოცნება" პასუხისმგებლობას იღებს მომდევნო ადგილობრივი, საპრეზიდენტო და საპარლამენტო **არჩევნების** თავისუფალ, სამართლიან და მშვიდობიან გარემოში ჩატარებაზე.

„ქართული ოცნება" ხელს შეუწყობს საქართველოში **სამოქალაქო სექტორის** შემდგომ განვითარებას, სამოქალაქო კულტურის ამაღლებას და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ჩართულობას საჯარო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

2. ეკონომიკური განვითარება

„ქართულ ოცნებას“ აქვს მკაფიო ეკონომიკური ხედვა და კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში და როგორ უნდა გამყარდეს გრძელვადიანი მდგრადი განვითარების საფუძველი. წინა ხელისუფლებებმა ვერ უზრუნველყვეს ქართული ეკონომიკის ფუნდამენტური გარდაქმნა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი არ ითვალისწინებდა გრძელვადიანი განვითარების საფუძვლების შექმნას. ყოველივე ამას დაემატა წინა ხელისუფლების ძალადობრივი მეთოდები და ეკონომიკის საყრდენი მთავარი ღირებულების - საკუთრების უფლების სრული უგულვებელყოფა, რითაც ეკონომიკამ საბოლოოდ დაიწყო ჩიხში შესვლა, სოციალური გარემო კი წლიდან წლამდე მძიმდებოდა.

„ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ეკონომიკის რეალური გაჯანსაღების რელსებზე გადაყვანა. სახელისუფლებო წნეხის მოხსნით, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვითა და მეწარმეობის ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენებით, დაიწყო სწრაფი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის მშენებლობა. ეს პროცესი შეუქცევადი გახდება, რისთვისაც „ქართულ ოცნებას“ შემუშავებული აქვს ხედვა და განვითარების გეგმა, რომელიც ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას გულისხმობს და რომლის საბოლოო მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება, სიღარიბის დაძლევა და საქართველოს მაღალშემოსავლიანი ქვეყნების რიგში ჩაყენებაა.

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური ხედვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც კერძო სექტორის გაძლიერების წინაპირობაა. ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისკენ და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ხელსაყრელი და საიმედო ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი. მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი მოდელის დანერგვა, რომლის პირობებში, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, მცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტურობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სამართლიანობის პრინციპებით. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელი ინსტრუმენტებია.

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის ფაქტორების მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით შემუშავებულია 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც მიმართულია ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის განვითარებაზე, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად ჩართვაზე ქვეყნის განვითარებაში, ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე.

2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის, როგორც ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის, პრინციპებისადმი ერთგულებას.

ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობითი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

საქართველო არის მცირე, ღია ეკონომიკის ქვეყანა. შესაბამისად, ის ვერ იქნება იზოლირებული რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისაგან. თუმცა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვანია ნეგატიური საგარეო შოკების ზემოქმედების შერბილებისათვის.

ბოლო პერიოდში რეგიონში წარმოქმნილმა შოკებმა და მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის ტემპების შესუსტებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. თუმცა, საქართველომ შეინარჩუნა რეგიონში გამორჩეული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საგარეო შოკები არ გადაიზარდა ინფლაციაში და ფასების სტაბილურობა შენარჩუნდა.

წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობად მივიღეთ დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი. გასულ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გაცემული სესხების დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა, მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და იმავდროულად, ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობას.

„ქართული ოცნება“ სრულად აცნობიერებს მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მნიშვნელობას, რისთვისაც:

- გაგრძელდება **ხარჯების ოპტიმიზაციის** უწყვეტი პროცესი, რაც მიმართული იქნება სახსრების გამოთავისუფლებაზე და მათ გადანაწილებაზე პრიორიტეტული მიმართულებებით. ამასთან, შეიზღუდება ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა;
- **სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შენარჩუნდება იმ დონეზე,** რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგს და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს;
- **არ გაძლიერდება სახელმწიფოს წნეხი ეკონომიკაზე;**
- **გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა;**
- უზრუნველყოფილი იქნება **პროგრამული ბიუჯეტის** პრინციპების სრულყოფა;

- **ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა** იქნება ხელშეუხებელი;
- უზრუნველყოფილი იქნება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის **ეფექტიანი კოორდინაცია**;
- ხელი შეეწყობა **ლარში დაკრედიტების** ზრდას.

2.2. დასაქმება

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მოსახლეობის დასაქმებაა. არასწორი პოლიტიკის გამო, წინა ხელისუფლებამ ქვეყანა 257 ათასი უმუშევრით ჩაიბარა და მმართველობა 305 ათასი უმუშევრით დაასრულა, უმუშევრობის დონე კი 12,6%-დან 15%-მდე გაიზარდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აქცენტი წარმოების განვითარებაზე გაკეთდა. მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების ამოქმედებით, გაიხსნა და გაფართოვდა ასობით საწარმო, რაც დასაქმების მაჩვენებელზე დადებითად აისახა. 2012 წლის შემდეგ, დასაქმებულთა რაოდენობა 56 ათასით გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის დონე 15%-დან 12%-მდე შემცირდა. ამასთან, დასაქმების მაჩვენებელი, ძირითადად, კერძო სექტორის ხარჯზე გაიზარდა. თუ 2004-2012 წლებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 18%-ს სახელმწიფო სექტორი შეადგენდა, 2013 წლიდან ეს მაჩვენებელი 15%-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, ხოლო თვითდასაქმებულების შემცირდა - თვითდასაქმებულები დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიაში გადადიან.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების მხრივ, უპირველესი პრობლემა კვლავ კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობაა. ამავე დროს, უმუშევრობა რჩება მწვავე პრობლემად. ეს სიტუაცია ნათლად მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსზე. ერთი მხრივ, არსებობს მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან, თუმცა, ეს მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება იმ სამუშაო ძალით, რომელიც შრომის ბაზარზეა წარმოდგენილი.

აღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად და დასაქმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად, „ქართული ოცნება“ გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

- გატარდება განათლების რეფორმა და **პროფესიული განათლების სისტემა** განვითარდება დუალური (გერმანული) მოდელის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს დამსაქმებლის ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. შედეგად, გაიზრდება სტუდენტების და მომავალი დასაქმებულების შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი;
- განხორციელდება **შრომის ბაზრის მოთხოვნების ფუნდამენტური შესწავლა** და უმაღლესი განათლება დაეფუძნება არა ასიმეტრიულ მოთხოვნას, რომელიც რამდენიმე დომინირებული პროფესიით შემოიფარგლება, არამედ რეალურ საჭიროებებს, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. ეს არ შეეხება ფუნდამენტურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოფხვრა;
- „ქართული ოცნება“ შეიმუშავებს ქვეყნის **ინდუსტრიული განვითარების** დოკუმენტს, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის ზრდის მხარდამჭერი ახალი პოლიტიკის შემუშავებას. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედება ღონისძიებებს, რომელიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;
- „ქართული ოცნება“ შემდგომი 4 წლის განმავლობაში განახორციელებს ძირეულ რეფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და თითოეული ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებას **200 ათასი ახალი სამუშაო ადგილის** შექმნით. ეს იქნება უმუშევრობის მკვეთრი შემცირებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

- მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად, ბიზნესს გაუჩნდება მეტი შესაძლებლობა, გააფართოოს საკუთარი საქმიანობა და დამატებით შექმნას **50 000** სამუშაო ადგილი;
- ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების გაგრძელებისა და ახალი კომპონენტების დამატების შედეგად, დასაქმდება **40 000** ადამიანი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების, ავტობანის, შიდა საავტომობილო გზების მასშტაბური მშენებლობის პროექტის განხორციელების შედეგად, გაჩნდება დამატებით **50 000** სამუშაო ადგილი;
- დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებით შექმნილი ფინანსური რესურსის ინვესტიციის შედეგად შეიქმნება დამატებით **10 000** სამუშაო ადგილი;
- ტურიზმის, ტურისტული მომსახურების და ტურისტული ინფრასტრუქტურის ხელშემწყობი ღონისძიებების შედეგად, ამ სექტორში დამატებით შეიქმნება **50 000** სამუშაო ადგილი.

2.3. ბიზნესგარემო

2012 წლის შემდეგ, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი წინსვლა **ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით**. წინა ხელისუფლების პირობებში, ჩამოყალიბდა ბიზნესზე ზეწოლის ტოტალური პრაქტიკა, გამარტივებული ფორმალური ადმინისტრაციული პროცედურების მიღმა, უგულვებელყოფილი იყო ბიზნესის კეთების ყველა ფუნდამენტური პრინციპი. საკუთრების უფლების დაცვის კუთხით, ვითარება ყოველწლიურად უარესდებოდა და 2012 წელს საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში 131-ე ადგილს იკავებდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, დამკვიდრდა საკუთრების უფლების განუხრელი დაცვის პრინციპი. შედეგად, ქვეყანამ უპრეცედენტო წინსვლა განიცადა და რეიტინგში 131-ე ადგილიდან 58-ე ადგილზე გადაინაცვლა.

აქტიურად დაიწყო **მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების** განხორციელება. შეიქმნა მეწარმეობის განვითარების პროგრამა - „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის ფარგლებში, ბიზნესს გაუჩნდა რეალური შესაძლებლობა, ისარგებლოს 1-3%-

იანი სესხით, რაც უპრეცედენტო მოვლენაა ქართულ რეალობაში. მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი - 5000-15000-ლარიანი გრანტების პროგრამა, რომლის ფარგლებში რეგიონებში ფინანსდება ბიზნესინიციატივები. პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, სულ დაფინანსდა 165 ახალი საწარმო, გაიცა 200 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის შეღავათიანი სესხი ეკონომიკის რეალურ სექტორში, განხორციელდა 400 მილიონამდე ლარის ინვესტიცია.

2012 წლის შემდეგ, მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა **ინოვაციებისა და ტექნოლოგიების** განვითარების მიმართულებით, სადაც 2012 წლამდე, გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით, მკვეთრი უკუსვლა აღინიშნებოდა. შეიქმნა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციასა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. აშენდა პირველი ტექნოპარკი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა ტიპის მაღალტექნოლოგიურ დანადგარებსა და სერვისებზე. მოეწყო დარგობრივი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები - ფაბლაბები. ქვეყანაში უდიდეს პრობლემად იყო ქცეული ვენჩორული კაპიტალის არარსებობა და სტარტაპების დაფინანსების მწირი პრაქტიკა. ამ მიმართულებით, ჩვენმა ხელისუფლებამ გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი და დაიწყო ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა "სტარტაპ საქართველო". პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარებს ეძლევათ საშუალება, ბიზნესიდეის განსახორციელებლად მოიპოვონ 15000-დან 100000 ლარამდე დაფინანსება. მაღალტექნოლოგიური იდეის ავტორებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მათი იდეები განიხილონ და შეაფასონ აშშ-დან, „სილიკონველიდან“ მოწვეულმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა. „სტარტაპ საქართველოს“ უკვე აქვს ხელშესახები შედეგები. მაღალტექნოლოგიური იდეების კონკურსში გაიმარჯვა ოცმა ბენეფიციარმა, რომელთა პროექტებს მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა დადებითი შეაფასება მისცეს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს მიეცათ შანსი, დაიპყრონ ტექნოლოგიური ბიზნესის მწვერვალები. მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპები მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია. „სტარტაპ საქართველო“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. ქვეყანაში ინოვაციური და სიცოცხლისუნარიანი ბიზნესიდეები დაფინანსების გარეშე აღარ დარჩება.

ხელისუფლებამ დაიწყო წლების განმავლობაში ბიზნესისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ქცეული **საგადასახადო ადმინისტრირების** რეფორმა, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ ბიზნესზე ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა. სამართლიანი საგადასახადო გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, მათ შორის: საგადასახადო დავალიანების იძულებითი გადახდევინება დაიწყება მხოლოდ საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ; საგადასახადო შემოწმების და გადასახადის დარიცხვის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა შემცირდა 3 წლამდე; საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მოხდება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით; საგადასახადო შემოწმებას განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო; განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რაც 2017 წლიდან გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის გაუქმებას გულისხმობს; საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება გათავისუფლდა დღგ-სგან, ჩათვლის უფლებით; დაწესდა საგადასახადო შეღავათები მეწარმეებისათვის, რომლებიც საქმიანობენ მაღალმთიან რეგიონში; დაბალშემოსავლიანი პირებისათვის გაფართოვდა საგადასახადო შეღავათების არეალი და დაწესდა ახალი შეღავათები; მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ჯარიმების და საურავის ოდენობები; გადამხდელებს, რომელთაც ბოლო წლებში აქტივობა არ უფიქსირდებათ, უკვე ჩამოეწერათ 1 მილიარდ ლარზე მეტის ოდენობის საგადასახადო დავალიანება.

„ქართული ოცნება“ ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით გააგრძელებს აქტიური პოლიტიკის გატარებას:

- **დაცული იქნება საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპი** - „ქართული ოცნება“ რჩება აღნიშნული პრინციპის ერთგული და არავის მოუწევს საკუთრებაზე უარის თქმა სახელმწიფოს მხრიდან მოტყუების, იძულების, მუქარის, შანტაჟის თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო;
- **უზრუნველყოფილი იქნება საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობა** - ამოქმედდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის ადმინისტრაციული (არასასამართლო) წესი, როგორც საკუთრების უფლების დაცვის ეფექტური საშუალება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სახეზე არ იქნება საოჯახო, მემკვიდრეობითი, სამეზობლო თუ სხვა სახის დავა. გარდა ამისა, ალტერნატივის სახით, შეიქმნება ამ კატეგორიის დავებზე სასამართლო წესით უფლების დაცვის ეფექტიანი საპროცესო მექანიზმი და გამკაცრდება კონტროლი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადებზე;
- შეიქმნება **ერთიანი სივრცე,** სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. შედეგად, ბიზნესს შეუმცირდება სახელმწიფოსგან შესაბამისი მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო და რესურსები;
- **კიდევ უფრო დაიხვეწება და გაუმჯობესდება არსებული ონლაინ სერვისები,** შესაძლებელი გახდება როგორც კომპანიის ონლაინ დარეგისტრირება, ასევე არსებულ მონაცემებში ცვლილებების ონლაინ განხორციელება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისვლის გარეშე;
- გამოცხადდება მორატორიუმი ახალი ლიცენზიებისა

და ნებართვების შემოღებაზე. აღნიშნული მორატორიუმი შეეხება ნებისმიერი ტიპის საქმიანობას, გარდა იმისა, რომელიც იმპერატიულად მოთხოვნილია, რომ იყოს ლიცენზირებადი საქმიანობა საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით;

- გამოცხადდება **მორატორიუმი ახალი მარეგულირებელი სტრუქტურების შექმნაზე,** გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს იმპერატიულად არის მოთხოვნილი საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით;
- მოხდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული **ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.** გაუქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქმედებებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს, როგორიცაა სასაქონლო ზედნადების არასრულად ან/და არასწორად შევსება (საქონლის რაოდენობის ან/და ფასის შემცირება), 10000 ლარზე მეტი ღირებულების საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე რეალიზაცია, ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა;
- 100000 ლარამდე **გაიზრდება გადასახადებისგან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ზღვარი,** რაც 2017 წლიდან, ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ეფექტის მომტანი იქნება ბიზნესისთვის;
- გამოცხადდება **სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება ან გამოყენება) და 218-ე (გადასახადისთვის თავის არიდება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების სრული ამნისტია.** შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულები 2013 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს;
- შესაძლებელი გახდება დაუძლეველი ძალის, მათ შორის **სტიქიური უბედურების მოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა გამარტივებული წესით;
- განხორციელდება **საგადასახადო დავების სისტემის რეფორმა;**
- განხორციელდება **სახელმწიფო სერვისების საფასურების ოპტიმიზაცია,** რაც გულისხმობს ფასიანი მომსახურებების რაოდენობისა და საფასურების ოდენობების შემცირებას;
- შემუშავდება კონცეფცია, რომლის თანახმად შესაძლებელი გახდება, შეიქმნას **სპეციალიზებული კომერციული კოლეგიები** საერთო სასამართლოების სისტემაში;
- გამარტივდება **ბიზნესის ლიკვიდაციის** პროცედურები;
- გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად, გატარდება **გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა;**
- **ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების** კუთხით, გაგრძელდება მეწარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები, მოხდება მათი ოპტიმიზაცია ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით;
- „ქართული ოცნება“ გააგრძელებს **სტარტაპების** აქტიურ მხარდაჭერას;
- ფართოდ დაინერგება **რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი,** რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ბიზნესზე იყოს წინასწარ გაანალიზებული, რითაც ბიზნესს დავიცავთ შესაძლო ნეგატიური გავლენებისგან;
- გაძლიერდება **ინვესტიციების დაცვის** საკანონმდებლო ჩარჩო;
- კონკურენტული ბიზნესგარემოს **ხელშეწყობისთვის, მოხდება სახელმწიფოს ეტაპობრივად გამოსვლა** ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებსაც აქვს დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და განვითარების პოტენციალი;
- უზრუნველყოფილი იქნება **საგადასახადო სტიმულები ბიზნესის განვითარებისთვის.** 2017 წლიდან ძალაში შევა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომლის მიხედვით საწარმოს მიერ მიღებული მოგება დაიბეგრება მხოლოდ მისი განაწილებისას. შესაბამისად, საწარმო მოგების გადასახადს გადაიხდის იმ შემთხვევაში, თუ მოგებას გაანაწილებს დივიდენდის სახით მის პარტნიორებზე ან არაეკონომიკური მიზნით გასწევს გარკვეულ ხარჯებს.

შედეგად, ბიზნესს გაუჩნდება შესაძლებლობა, დამატებითი ფინანსური სახსრები მიმართოს რეინვესტირებაზე, კერძოდ, ახალი ბიზნესის დასაწყებად, არსებული წარმოების გადაიარაღებისთვის ან/და გაფართოებისთვის. ეს რეფორმა უშუალოდ მიმართულია ქვეყანაში ბიზნესის განვითარების, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის და ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისკენ. ბიზნესსექტორში დარჩება ნახევარ მილიარდზე მეტი ლარი, რომლის რეინვესტირება განხორციელდება ბიზნესის გაფართოების მიმართულებით, რაც ასევე დამატებითი შემოსავლების გენერირებას ნიშნავს. რეფორმის შედეგად, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი 2017 წელს დაჩქარდება 0,5-0,7%-ით. გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების ბიზნესის მიერ ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირების შედეგად, დასაქმებასა და ამ მაჩვენებლის ისტორიული დამოკიდებულების გათვალისწინებით, 18 ათასი ახალი სამუშაო ადგილი მხოლოდ ამ რეფორმის ფარგლებში მხოლოდ 2017 წელს შეიქმნება. ჯამში, 4 წლის განმავლობაში კი, გაჩნდება დამატებით 50 000 სამუშაო ადგილი. ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისათვის ისტორიულად ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, მხოლოდ ამ რეფორმის შედეგად 4 წელიწადში თითქმის 1%-ით გაუმჯობესდება, რაც არსებული პროგნოზის მიხედვით, ქვეყნიდან 220-250 მლნ აშშ დოლარით ნაკლები ვალუტის გადინებას ნიშნავს.

2.4. ეკონომიკური რეფორმები

საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, "ქართული ოცნება" გეგმავს მასშტაბური რეფორმების განხორციელებას.

2.4.1. კაპიტალის ბაზრის რეფორმა

ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან შესაძლებლობას. ამით, კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებით. მეტიც, თუ რაიმე მიზეზით საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლიგაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამბალანსებლის როლს. კაპიტალის ბაზრის ფუნქცია არა მხოლოდ ბიზნესისათვის ფინანსური რესურსების მიწოდებაა, განვითარებული ბაზარი ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგების განთავსების დამატებითი ინსტრუმენტიცაა. შედეგად, განვითარებული და გამჭვირვალე კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

„ქართული ოცნების" ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მისაღწევად, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ხელი შეეწყობა **კონკურენტული გარემოს** ჩამოყალიბებას, რაც გამორიცხავს ბაზრის ცალკეული სეგმენტების, ინსტრუმენტების ან მონაწილეების დისკრიმინაციას, უპირატეს ან მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებას. სახელმწიფო და კაპიტალის ბაზრის რეგულატორები უზრუნველყოფენ სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ბაზრის მონაწილეთა ღია და გამჭვირვალე საქმიანობას;
- დაიხვეწება შესაბამისი საგადასახადო **დაბეგვრის რეჟიმები**. აღნიშნული ცვლილება მოიაზრებს საგადასახადო სისტემის უფრო მეტად ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულობას, ასევე სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების თანაბარ პირობებში ჩაყენებას;
- ხელი შეეწყობა **მოსახლეობის ფინანსური განათლების** დონის ამაღლებას;
- დაიხვეწება **მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის** გარანტიები. მაქსიმალურად დაცული იქნება წვრილი და გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების ინტერესები, რაც კაპიტალის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მარეგულირებლის, საგანმანათლებლო, კორპორაციული მართვის და ფინანსური აღრიცხვიანობის საკითხებს.

მომდევნო წლებში, განხორციელებული რეფორმის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბებული კაპიტალის ბაზარი იქნება რესურსების მოზიდვის მაღალეფექტიანი წყარო. იგი ბაზრის ყველა მონაწილეს მისცემს საშუალებას, მიიღოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების სრული სპექტრი. ამასთან, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი და მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული მარეგულირებელი გარემო უზრუნველყოფს მაღალი დონის სანდოობასა და ინვესტორთა დაცულობას.

2.4.2. საპენსიო რეფორმა

„ქართული ოცნება" გაატარებს საპენსიო რეფორმას, რომლის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმა კაპიტალის ბაზრის შედარებით ფართო რეფორმის შემადგენელი კომპონენტია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს გრძელვადიანი ფინანსური რესურსების წარმოქმნას.

საპენსიო რეფორმის უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, კერძო დაგროვებითი პენსია ოპტიმალური მოდელია საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით.

კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს, შექმნას დანაზოგი, რომელიც წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის პირდაპირპროპორციული იქნება.

გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას და საბოლოოდ, დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

რეფორმას ექნება შემდეგი ეკონომიკური ეფექტი:

- რეფორმის განხორციელება რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელს გაზრდის დამატებით 0,4-0,6%-ით. დამატებითი კაპიტალის გაჩენა ეკონომიკაში ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილიდან, რომლის შექმნასაც „ქართული ოცნება" გეგმავს, 10-15 ათასი ადამიანი მხოლოდ ამ რეფორმის შედეგად შეიქმნება;
- რეფორმის შედეგად, ქვეყანაში ლარში დენომინირებულ სესხებზე გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები დაახლოებით 2%-ით შემცირდება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ერთი მხრივ, სტიმულს მისცემს მეწარმეებს, განახორციელონ დამატებითი ინვესტიციები და გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი, ხოლო, მეორე მხრივ, გაიზრდება ეროვნული დანაზოგების გრძელვადიანი მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს.

2.4.3. მიწის რეფორმა

განხორციელდება სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია, რაც გულისხმობს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების აღრიცხვასა და ერთიან ბაზაში თავმოყრას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო აქტივების მართვა-განკარგვის პროცესს, გამოუყენებელი აქტივების ბრუნვაში ჩართვას, ქვეყანაში მიწის კადასტრის სრულყოფასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ინვენტარიზაციის პროექტი დასრულდება 2016 წლის ბოლოს.

დაინერგება ქონების გამარტივებული რეგისტრაცია, რაც პირველ რიგში განხორციელდება კერძო მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით. 2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა საჯარო რეესტრის შესახებ კანონი, რომელიც მაქსიმალურად გაამარტივებს და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომს გახდის რეგისტრაციის პროცესს, წაახალისებს რეგისტრაციას სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების საფასურის ანაზღაურების გზით. დღეისათვის, ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების 25%-მდეა რეგისტრირებული. ბარიერების დაძლევა განხორციელდება შემდეგი გზებით: დაინერგება საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი, პროექტში ჩართული ამზომველები გაივლიან სერტიფიკაციას, სახელმწიფო მოქალაქეს დაეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებასა და დავების მოგვარებაში.

დამტკიცებულია მაღალმთიან რეგიონებში ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის პროგრამა და დაიწყება მისი განხორციელება. პროგრამის მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში წლების წინ ჩატარებული მიწის რეფორმის ფარგლებში არ მიუღიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მაგრამ სულ მცირე 15 წლის განმავლობაში ფაქტობრივად ფლობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მფლობელობაში სიმბოლურ ფასად გადაეცემათ არსებული მიწის ნაკვეთი.

2.4.4. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო-კერძო პარტნიორობა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა.

იმ პირობებში, როდესაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვ., თანამშრომლობის აღნიშნული ფორმა ხელს უწყობს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების გადანაწილებას საჯარო და კერძო სექტორებს შორის და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ რესურსების მობილიზებას, რითაც უფრო რეალური და მარტივი ხდება მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

ამასთან, საჯარო-კერძო პარტნიორობა ხელს უწყობს საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას და შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას, სხვა სფეროებზე მიმართოს საბიუჯეტო სახსრები. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება პირდაპირ აისახება ეკონომიკის ზრდაზე, დამატებითი მუშახელის დასაქმებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

„ქართული ოცნება“ განავითარებს შესაბამის კანონმდებლობას და სისტემას საჯარო-კერძო პარტნიორობის გაფართოებისთვის. სისტემა ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელებას.

2.4.5. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სხვა ეკონომიკური რეფორმები

„ქართულმა ოცნებამ“ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები და ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან. შეთანხმების გაფორმების წინაპირობა იყო მთელი რიგი რეფორმების განხორციელება. ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგით უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის მოდერნიზაციას და საქართველოს ბაზრის თავსებადობას ევროკავშირის ბაზართან ერთიანი თამაშის წესების დამკვიდრების გზით.

2.5. სივრცითი მოწყობა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა დაკავშირებულია ტერიტორიულ–სივრცითი ასპექტის სექტორალური პოლიტიკის კოორდინაციასა და ინტეგრაციასთან. აქედან გამომდინარე, მისი მთავარი მიზანია საქმიანობის მეტად რაციონალური ორგანიზება და ერთმანეთის საპირისპირო პოლიტიკური ამოცანების შეთანხმება.

ტერიტორიულ–სივრცითი დაგეგმარება, როგორც წესი, დაკავშირებულია გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების, ტერიტორიული სტრატეგიებისა და სხვადასხვა დარგის პოლიტიკის კოორდინაციის გამოვლენასთან. ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების სისტემა გვეხმარება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლიანობის უზრუნველყოფაში.

საქართველოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ამოცანებია: გაუმჯობესოს ურთიერთკავშირი ქალაქსა და სოფელს შორის; ხელი შეუწყოს მაღალხარისხიანი მდგრადი ტურიზმის განვითარებას, ასევე ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას, შექმნას ინვესტირებისთვის სტიმულები და მიმზიდველი გარემო, შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ფარგლებში, უკვე დამუშავებულია არაერთი დოკუმენტი. შეიქმნა ჩოხატაურის, ბათუმის, ამბროლაურის, ფოთის, რუსთავის, კასპის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, დუშეთის, ურეკი-შეკვეთილის მიწათსარგებლობის გეგმები, ხერთვისი-ვარძია-ოლოდას ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია.

ქვეყნის სივრცითი მოწყობის მიმართულებით, „ქართული ოცნება“ გაატარებს აქტიურ პოლიტიკას:

- მომზადდება საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემა;
- დასრულდება თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;

- მომზადდება ახმეტის და მესტიის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმები, თუშეთის 12 და მულახის თემის 10 სოფლის განაშენიანების რეგულირების გეგმები, მცხეთის, კობი-გუდაურის, ბაკურიანი-დიდი მიტარბის, ბახმაროს, ქობულეთის, ხელვაჩაურის მიწათსარგებლობის გეგმები; იყალთოს ხევის, შაორის, უწერის განაშენიანების რეგულირების გეგმები;
- სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით, საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას;
- გაგრძელდება წყალტუბოს, სამცხე-ჯავახეთის, ყაზბეგი-გუდაურის, მცხეთა-მთიანეთის, თუშეთის, რაჭის რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე, საერთაშორისო დონის კურორტების შექმნა;
- ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შესაბამისად, მოხდება გუდაური-კობის, ბაკურიანის, დიდველის, კოხტა-მიტარბის, თეთნულდი-ჰაწვალის, გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება და არსებულ კურორტებზე ახალი მიმართულებების დამატება. მათ შორის გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები.

2.6. თავისუფალი საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

საქართველო არის ღია ქვეყანა. თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კერძოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს. შეთანხმების გაფორმება დაგეგმილია 2016 წელს. შედეგად, გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა.

„ქართული ოცნების“ მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით მიღებული შესაძლებლობის ეფექტური და სწრაფი გამოყენება.

„ქართული ოცნება“ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით წარმოქმნილი შესაძლებლობების გამოყენების მიზნით, გააგრძელებს აქტიური პოლიტიკის განხორციელებას:

- დაეხმარება ბიზნესს ახალ ბაზრებზე შესვლაში. კერძოდ, მოხდება ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემსუბუქება, აგრეთვე ექსპორტთან ასოცირებული რისკების დაზღვევა;
- განვითარდება ონლაინ პლატფორმა, რომელიც სრულ ინფორმაციას მიაწვდის ქართველ ექსპორტიორებს მათთვის საინტერესო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ინფორმაციას კონკრეტულ ქვეყანაში კონკრეტულ სასაქონლო კოდზე მოქმედი საიმპორტო ტარიფების, დაწესებული მოთხოვნების, აგრეთვე შესაბამის ქვეყანაში კონკრეტული პროდუქტის წარმოებისა და იმპორტის მოცულობების შესახებ;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების გაფართოების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნება კომერციული ატაშეების ინსტიტუტი;
- არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით განსაზღვრული შესაძლებლობების მაქსიმალურად ასათვისებლად და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, გაიზრდება შესაბამისი საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა (როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური). ეს განსაკუთრებით შეეხება სოფლის მეურნეობის საწარმოებს;
- ამავე დროს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული რეგულაციების გადმოღება განხორციელდება ამ შეთანხმებით მკაცრად განსაზღვრულ ვადებში და საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით. ყოველი წლის დასაწყისში მთავრობა დაამტკიცებს და გაასაჯაროებს მისაღები რეგულაციების ნუსხას.

2.7. ინფრასტრუქტურული განვითარება

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. 2012 წლის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები. 2006-2012 წლებში ავტობანზე ყოველწლიურად შენდებოდა საშუალოდ 10 კმ, ხოლო 2013-2015 წლებში - 28 კმ გზა. მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები დაიხარჯა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და განახლებაზე. 2013-2016 წლებში ამ მიმართულებით გაწეულმა ხარჯებმა ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა. შედეგად, 150 000-ზე მეტ ადამიანს საქართველოს რეგიონებში გაუუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი და ხარისხი. აქტიურად გრძელდება გაზმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესი. უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგმება ინტერნეტიზაციის მიმართულებით, რისთვისაც ჩვენს გუნდს უკვე გამოცხადებული აქვს ინტერესთა გამოხატვა და შემდგომი 4 წლის განმავლობაში „ქართული ოცნება“ დაასრულებს საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტს.

„ქართული ოცნება“ მკაფიო გეგმით განავითარებს ქვეყნის ინფრასტრუქტურას:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის „ქართული ოცნება“ გეგმავს რევოლუციური ნაბიჯების გადადგმას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, გაგრძელდება

ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. ეს იქნება ქვეყნის ხერხემალი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან და დედაქალაქთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის. ეს პროექტი გააძლიერებს საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში და გაზრდის მისი, როგორც ტრანზიტული ჰაბის დატვირთვას. **2020 წლამდე დაიგება 800 კმ-ზე მეტი სიგრძის, 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურა, დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის მშენებლობა.** შედეგად, საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეგიონების დაკავშირებას;

- ხარისხიანი სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნის მიღწევა ეტაპობრივად განხორციელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. **2020 წლისთვის, 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 360 ათასი ადამიანი**. აქტიურად გაგრძელდება წყალმომარაგების წყალარინებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, მათ შორის ქუთაისში, ზუგდიდში, ყვარელში, ხაშურში, ფოთში, ურეკში, ჭიათურაში, გუდაურში, ბაკურიანში, ბოლნისში, მარნეულში, თელავში, წყალტუბოში, ქობულეთში, ანაკლიაში, მესტიაში, ხონში, ვანში, ბაღდადში, ონში, აბასთუმანში, ვალეში, ცაგერში, ნორიოში, მარტყოფში, ვაზიანსა და ახალ სამგორში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და უახლოეს მომავალში დასრულდება წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები პანკისის ხეობის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვრისპირა სოფლებში, რის შედეგადაც 20 ათასამდე ადამიანისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სასმელი წყლის მიწოდების ხარისხი;

- **ნარჩენების მართვა** ევროპული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება - ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები, მოხდება არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობაში მოყვანა სტანდარტებთან ან დახურვა, აგრეთვე სტანდარტების შესაბამისად ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა; ეტაპობრივად დაინერგება ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების სისტემები;

- აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს **ინტერნეტს**. შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტზე წვდომა.

2.8. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს ეკონომიკის ძირეული ტრანსფორმაციის გლობალურ ღონისძიებებთან ერთად, „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი დარგების გარდაქმნა-განვითარებაზე.

2.8.1. ენერგეტიკა

„ქართული ოცნების“ ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით.

2012 წლის შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნაში გენერაციის ახალი ობიექტების განვითარების მიმართულებით, რაც შესაბამის ციფრებში აისახა: 2007-2012 წლებში შექმნილი დადგმული სიმძლავრის მოცულობამ 8 მეგავატი, ხოლო 2013-16 წლებში - 415 მეგავატი შეადგინა. 2007-2012 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა 5 ჰიდროელექტროსადგური, ხოლო 2013-2016 წლებში - 16 ელექტროსადგური, მათ შორის ერთი ქარის სადგური. 2007-2012 წლებში პოტენციურ ინვესტორებთან გაფორმდა 10 მემორანდუმი, ხოლო 2013-2015 წლებში ეს ციფრი 70-მდე გაიზარდა. 2013-2016 წლებში აშენდა 403 კილომეტრის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურა. 2007-2012 წლებში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა 135 კმ, ხოლო 2013-2015 წლებში - 168 კმ სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენი. ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების ფონზე, მაღალ დონეზე ნარჩუნდება ელექტროენერგიით თვითუზრუნველყოფის დონე. შაჰ-დენიზის პროექტის მე-2 ფაზის ფარგლებში, საქართველოში მიმდინარეობს სამხრეთკავკასიური მილსადენის გაფართოების სამუშაოები - მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე დასაქმდება 2000-მდე ადამიანი, განხორციელდება 2 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია. დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა 300 მლნ ევროს ღირებულების „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტი; საქართველოს ენერგოსისტემას შეემატა 14 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საინვესტიციო ღირებულებაა 290 მლნ. აშშ დოლარი. უახლოეს მომავალში, ექსპლოატაციაში შევა კიდევ 6 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საინვესტიციო ღირებულება 2 მლრდ დოლარამდეა. ექსპლოატაციაში შევიდა გარდაბნის 230 მგვტ სიმძლავრის მაღალტექნოლოგიური თბოელექტროსადგური; მიმდინარეობს 100-150 მგვტ სიმძლავრის ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის პროექტი. მიმდინარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის სრული რეაბილიტაცია (2015-2018 წწ.). დასრულდა საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს 210-280 მლნ კუბური მეტრის მოცულობის გაზსაცავის პროექტი.

ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა გაზმომარაგებისა და ელექტრომომარაგების მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორ-

ციელება. თუ 2008-2012 წლებში გაზმომარაგების ქსელში მხოლოდ 124 ათასი აბონენტი ჩაერთო, 2013-2016 წლებში ეს მაჩვენებელი 175 ათასს გასცდა, ანუ 4 წელიწადში გაზის მიწოდება უზრუნველყოფილ იქნა 41%-ით მეტი აბონენტისთვის, ვიდრე 5-წლიან (2008-2012) პერიოდში. 2014 წელს დაიწყო და 2015 წელს დასრულდა ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე 58 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირება, რის შედეგადაც 13459 ოჯახს მიეცა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. აქტიურად მიმდინარეობს ელექტრიფიკაციის პროცესი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უშუქო სოფლებზე, რისთვისაც 2013 წელს დაიწყო პროექტი - „სინათლე ყველა სოფელს“, რის შედეგადაც დღემდე ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში 28 უშუქო სოფელი ჩაერთო. აქტიურად გრძელდება გამრიცხველიანების სამუშაოები - 2013 წლიდან 200 ათასამდე აბონენტი ინდივიდუალურად გამრიცხველიანდა.

„ქართული ოცნება“ აქტიურად გააგრძელებს ენერგეტიკის სექტორის განვითარებას და გაძლიერებას:

- ხელისუფლება უზრუნველყოფს **იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას** ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით - 2017-2020 წლებში შეიქმნება სულ მცირე 500 მეგავატი დადგმული სიმძლავრე;
- ენერგეტიკის სექტორში ჩაიდება სულ მცირე 3 მლრდ ლარის **ინვესტიცია**;
- განვითარდება ინფრასტრუქტურა **გაზისა და ელექტროენერგიის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის** შესაქმნელად;
- ქვეყანაში აშენდება **გაზსაცავი**, რომელიც უზრუ-ნველყოფს ქვეყნისთვის აუცილებელი სტრატეგიული მარაგის შექმნას;
- გაძლიერდება საქართველოს **სატრანზიტო როლი**;
- დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებს დაუახლ-ოვდება ენერგეტიკული **კანონმდებლობა**;
- სექტორში გამჭვირვალობის, კონკურენციისა და დამოუკიდებელი რეგულირების ხელშეწყობით გაუმჯობესდება **საინვესტიციო გარემო;**
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს **სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ინოვაციების დანერგვას;**
- პრიორიტეტად დარჩება **განახლებადი ენერგიის წყაროების** ოპტიმალურად ათვისება;
- განხორციელდება **ენერგოდამზოგველი და ენერგოეფექტური პოლიტიკა;**
- 2020 წლის ბოლომდე დამატებით **200 ათასი ოჯახი მიიღებს ბუნებრივ აირს;**
- ე.წ. **„უშუქო სოფლებში“ 1000 ოჯახი პირველად მიიღებს ელექტროენერგიას** და ქვეყანაში ელექტ-როენერგიის გარეშე აღარ დარჩება არცერთი სოფელი.

2.8.2. სოფლის მეურნეობა

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლი-სთანავე სოფლის მეურნეობის სფეროში მასშტაბური რეფორმები წამოიწყო. შემუშავდა დარგის განვითარების **სტრატეგია** (2015-2020), რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული უახლოესი წლების მიზნები და ამოცანები: ფერმერების ფინანსური მხარდაჭერა, ცოდნის ამაღლება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოძიება. მიღებულია სამოქმედო გეგმა, სადაც უწყებრივად არის გაწერილი ყველა ტიპის აქტივობა, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა, სისტემური რეფორმა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ვალდებულებები. პირველად ბოლო 25 წლის განმავლობაში, შეიქმნა დოკუმენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დარგის აქტიური, შეუქცევადი, დინამიური და სისტემური განვითარება. ამასთან, მიმდინარეობს მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში, დადებით გავლენას მოახდენს დარგის მდგრად განვითარებაზე.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო **დაფინანსება**, რის საფუძველზეც განხორციელდა არაერთი წარმატებული პროექტი: ამოქმედდა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, საიდანაც 800 ათასამდე გლეხმა 349 მლნ ლარის დახმარება მიიღო, დამუშავდა 800 ათას ჰექტარზე მეტი მიწა; ფერმერებს უსასყიდლოდ დაურიგდათ 250 მლნ ლარამდე ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცენარეთა მოვლის საშუალებები; 2013-2016 წლებში დაფინანსდა 150 ახალი საწარმოს შექმნა, ჯამური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 111 მილიონი დოლარი; გაფართოვდა და გადაიარაღდა 700 საწარმო; შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაიცა 26 300 სესხი (24 426 სესხი 693 960 821 ლარის ოდენობით და 1 874 სესხი 202 557 257 აშშ დოლარის ოდენობით); მევენახეებმა კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ბოლო სამი წლის განმავლობაში 400 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღეს, 2015 წელს კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მხარეებში გადამუშავდა 148 358 ტონა ყურძენი, რაც ბოლო 25 წლის რეკორდული მაჩვენებელია; ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა, რომლის ფარგლებში 2014-15 წლებში გაცემულია 28,690 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებაა 193 343 048 ლარი, დაზღვეული ფართობი შეადგენს 23,667 ჰა-ს; ამოქმედდა გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 28 პროექტი 18 610 197 აშშ დოლარის ჯამური ღირებულებით, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 6 710 445 აშშ დოლარს (პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს 11 და დასრულების სტადიაზეა 5 ახალი საწარმო); მეხილეობისა და სანერგე მეურნეობის განვითარების მიზნით, ხორციელდება პროგრამა - “დანერგე მომავალი“, რომლის ფარგლებში დამტკიცდა 241 განაცხადი, სადაც თანადაფინანსება ნერგებსა და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 7 405 160 ლარს, გაშენდა და გაშენების პროცესშია 1 438 ჰა ახალი მრავალწლოვანი სხვადასხვა კულტურის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ტიპის ბაღები; დაიწყო ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებში დამტკიცებულია 7 განაცხადი, ჯამური ფართობი შეადგენს 147,9 ჰა-ს, პროექტების ჯამური

ღირებულება - 348 905 ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 255 485 ლარს; დამონტაჟდა 80 ერთეული სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო გამშვები დანადგარი, რის შედეგადაც კახეთში მოსავალი 30%-ით გაიზარდა; შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამები - თხილის წარმოების განვითარება, მეფუტკრეობის მხარდაჭერა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა; სახელმწიფოს დახმარებით შეიქმნა 1540 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 117 სარეაბილიტაციო პროექტი, რაზეც 93 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აღდგა ისეთი სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, რომელზეც ათწლეულებია სამუშაოები არ ჩატარებულა; სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1193 კმ საირიგაციო და 673 კმ სადრენაჟე არხს, 25 სათავე ნაგებობას, 15 სატუმბ სადგურს და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ტექნიკური ექსპლოატაციის ფარგლებში გაიწმინდა და მოწესრიგდა 6 080 კმ სამელიორაციო არხი, გარემონტდა ან ახლით შეიცვალა 4 170 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა; საქართველოში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 45 000 ჰექტრიდან 106 000 ჰექტრამდე, ხოლო დამშრალი - 14 000 ჰექტრიდან 28 575 ჰექტრამდე გაიზარდა; გამკაცრდა სურსათის კონტროლი - სავალდებულო გახდა გენმოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირების წესები, გამკაცრდა რძისა და რძის ნაწარმის კონტროლი და ეტიკეტირება, დაინერგა კვლევის ახალი მეთოდები სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში; მრავალწლოვანი კულტურების კვლევის მიმართულებით აღდგენილი და გაშენებულია ვაზის ენდემური 450 და ინტროდუცირებული 350 ჯიში.

ქმედითი პოლიტიკის შედეგად, გაჩნდა პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში **ინვესტიციების** მოზიდვის თვალსაზრისით. სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტო“, რომლის საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება საბანკო სექტორის მხრიდან. 2015 წელს გაცემული სესხების მოცულობა სოფლის მეურნეობის სექტორში შეადგენდა 298 მლნ ლარს, რაც 2012 წლის მაჩვენებელს ხუთჯერ აღემატება.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ'' კანონის მიღების საფუძველზე შეიქმნა სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობს **კოოპერატივების** სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის მეურნეობის **სამეცნიერო-კვლევითი** ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მცენარეთა ჯიშების გამოცდისა და სასელექციო სადგურების აღდგენა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკების შეფასების უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება და ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვ.

„ქართული ოცნება“ გააგრძელებს აქტიურ აგროპოლიტიკას, რომლის მიზანი ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, მაღალი ხარისხის აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება და ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება იქნება:

- სასოფლო-სამეურნეო დარგში **კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა** იქნება „ქართული ოცნების“ აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. ამ მიმართულებით, განხორციელდება **სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის რეფორმა,** რაც მიმართული იქნება სასოფლო მიწების ფრაგმენტაციის აღმოფხვრისკენ, შემუშავდება ფართობების კონსოლიდაციის გეგმა;
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს **მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას** - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაცია, რაც აამაღლებს წარმოების კონკურენტუნარიანობას;
- მცირემიწიანი ფერმერებისთვის ამოქმედდება საყოველთაო **აგროდაზღვევის** პროექტი, აღარ დარჩება დაუზღვეველი მოსავალი, რაც მოსახლეობას მნიშვნელოვან ზარალს ააცილებს;
- გაგრძელდება და კიდევ უფრო დაიხვეწება აგროდაზღვევის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ინტერესების დაცვას და აგროსექტორში მეტი ფინანსების მოზიდვას;
- 200 ათას ჰექტრამდე გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება **სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები.** დაინერგება მორწყვის თანამედროვე სისტემები. განხორციელდება ეფექტური პროექტები წყალშეგროვების სფეროში. შემუშავდება ეფექტური ტარიფი და დაინერგება ფერმერთა წყალუზრუნველყოფის მართვის ახალი სისტემა;
- მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა **ცოდნის ამაღლებას,** რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- გაგრძელდება მუშაობა **ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის** მიმართულებით, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ფერმერთა შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო **ტექნიკის ხელმისაწვდომობის** ასამაღლებლად;
- ქვეყნის **სასურსათო უსაფრთხოების** უზრუნველ-

საყოფად განხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები მონიტორინგის კუთხით, განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორები და შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია;

- გაგრძელდება **სურსათის უვნებლობის** სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის კუთხით DCFTA-ს გეგმით გათვალისწინებული ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის დაახლოების პროცესი უზრუნველყოფს სურსათის ბაზარზე ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის განვითარებაში;
- გაგრძელდება მუშაობა **ბიოაგრომეურნეობების, ქართული ადგილწარმოშობის, დასახლებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის** მიმართულებით;
- **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის** პრაქტიკის დამკვიდრება დარგის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რისთვისაც შემუშავდება შესაბამისი საერთოეროვნული და რეგიონული პროგრამები;
- გაუმჯობესდება **მონაცემთა შეგროვების,** გავრცელების და გამოყენების კოორდინირებული სტატისტიკური სისტემა. დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრის საინფორმაციო ბაზა. პერმანენტულად გაგრძელდება საერთაშორისო ბაზრის ანალიზი. ჩატარდება სისტემური კვლევები და მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები. სახელმწიფო მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მუდმივად ითანამშრომლებს კერძო სექტორთან.

2.8.3. ტრანსპორტი

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამ მიმართულებით, „ქართულმა ოცნებამ“ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტის - ანაკლიის საზღვაო პორტის მშენებლობას, რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოჯისტიკურ ჰაბად.

დასრულდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროს და ჩვენი ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის საწინდარია.

ტრანსპორტის სფეროს შემდგომი განვითარებისა და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის, პოტენციალის სრულად ათვისებისთვის, „ქართული ოცნება“ გაატარებს აქტიურ პოლიტიკას:

- სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, გაგრძელდება **საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია** და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება;
- განხორციელდება **სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით;
- **სამოქალაქო ავიაციის** სფეროში ხელი შეეწყობა „ღია ცის“ პოლიტიკის გატარებას;
- მოხდება **„ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაცია,** რაც უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ფრენის უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა მიმართულებების ევროპულ დონეზე განვითარებას და საქართველოს საავიაციო სივრცის ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციას;
- **ხელი შეეწყობა მცირე ავიაციის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას** მთიან რეგიონებში, რაც ამ რეგიონების ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს;
- გაგრძელდება **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება;**
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, **მოხდება საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან,** რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოების ზრდას.

2.8.4. ტურიზმი

ტურიზმის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. დარგის განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ დიდი პროგრესი აჩვენა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა და 2012 წელს აღრიცხული 4,4 მილიონი ვიზიტორიდან 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5,9 მილიონს გადაცდა. არსებული პროგნოზით 2016 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2,1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბებს, ხოლო საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 6,5 მილიონს მიაღწევს. გარდა ამისა, ყოველწლიურად მატულობს განთავსების ობიექტების რიცხვი როგორც საერთაშორისო კლასის, ისე საშუალო კლასის სასტუმროებში. ამ მიმართულების ხელშეწყობისთვის, სახელმწიფო პროგრამას - „აწარმოე საქართველოში“ დაემატა სასტუმრო ბიზნესის განვითარების კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს რეგიონებში სასტუმროების მშენებლობის წახალისებაზე.

ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული დარგის შემდგომი განვითარებისთვის, „ქართული ოცნება“ განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- მოწესრიგდება და განვითარდება საგზაო ინფრასტრუქტურა, კეთილმოეწყობა კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის სტიმულირებას;
- გააქტიურდება მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტის და შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას ქვეყანაში;
- მოხდება დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა;
- ხელი შეეწყობა ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას (მათ შორის სამედიცინო, სპორტული, ღვინის და ა.შ.);
- საქმიანი ტურიზმის განვითარების მიზნით, საკონვენციო ბიუროს საშუალებით მოხდება მეტი მაღალმხარჯველიანი ტურისტის მოზიდვა საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით ინვესტიციების წახალისება და ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მომსახურების სფეროში მომუშავე პერსონალის გადამზადებაზე, მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით;
- ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას;
- ზამთრის კურორტების შემდგომი განვითარება მოხდება გააზრებული განვითარების და განაშენიანების გეგმების მიხედვით, მათ შორის გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები;
- ხელი შეეწყობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით;
- 40%-ით გაიზრდება და 2020 წლისთვის 8 მილიონს გადააჭარბებს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა;
- თითქმის გაორმაგდება საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და „ქართული ოცნების“ მმართველობის შემდგომი 4-წლიანი ციკლის ბოლოს 3,5 მლრდ დოლარს მიაღწევს;
- ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა გაიზრდება არანაკლებ 80 ათასით.

2.9. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი **რეგიონების განვითარება** და მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრაა. წლების განმავლობაში არასწორად წარმართულმა და სპონტანურ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ ეკონომიკის ასიმეტრიული განვითარება გამოიწვია. რეგიონებში შემცირდა ეკონომიკური აქტივობა, გაიზარდა უთანაბრობა დედაქალაქსა და რეგიონებს შორის. ბიზნესის მთლიან ბრუნვაში თბილისის წილი 2004 წელს არსებული 61%-დან 2012 წლისთვის 75%-მდე გაიზარდა. უგულვებელყოფილ იქნა ცალკეული რეგიონების მრავალმხრივი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი, რამაც მძიმე კვალი დატოვა რეგიონულ ეკონომიკაზე. „ქართულ ოცნებას“ აქვს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს, გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ განვითარების დაგეგმვას და შესაბამისი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას. 2012 წლის შემდეგ შემუშავდა და დამტკიცდა თითოეული რეგიონის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2014 წელს დამტკიცდა „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს, მათი დაფინანსების კონკრეტულ წყაროებს. პროგრამის საერთო ბიუჯეტი დაახლ. 3 მილიარდი ლარია. როგორც აღნიშნული პროგრამის, ისე ცხრავე რეგიონის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად, შემუშავებული და ამოქმედებულია შესაბამისი სამოქმედო გეგმები და მონიტორინგის ინსტრუმენტები, რომლებიც საერთაშორისოდ აპრობირებული საუკეთესო ანალოგების მიხედვით მომზადდა.

„ქართული ოცნება“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას.** შემუშავდა და ამოქმედდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი, რომლის მიზანი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მასტიმულირებელი შეღავათების განსაზღვრა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის დონის ამაღლებაა. ამ მიზნის მისაღწევად მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ პირთათვის კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ სოციალურ შეღავათებს: კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცემა დახმარება 100 ლარის, მესამე და შემდეგ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში - 200 ლარის ოდენობით; სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს დაუწესდათ 20%-იანი დანამატი; მასწავლებლებს დაუწესდათ სახელფასო დანამატი, საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35%-ის ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს, საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებიან; საჯარო სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში, გაეზარდათ ვაუჩერული დაფინანსება; სპეციალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლებს დაუწესდათ დამატებითი ანაზღაურება ხელფასის არანაკლებ 50%-ის ოდენობით; 2017 წლის 1 იანვრიდან ანაზღაურდება ელექტროენერგიის ხარჯების 50% (არაუმეტეს 100 კვტ. საათისა თვეში); დაწესდა ყოველთვიური დანამატი ექიმებისთვის, პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისთვის - პენსიის ოდენობით; მოსახლეობა ზამთრის პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება

გათბობით. გარდა სოციალური შეღავათებისა, კანონი ითვალისწინებს მეწარმეებისათვის სპეციალური საგადასახადო შეღავათების შემოღებასაც: მეწარმე ფიზიკური პირები და საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონებისა და მოგების გადასახადებისგან 10 წლის ვადით; საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თავისუფლდება ქონების გადასახადისგან. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა მთის განვითარების სტრატეგიის და სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისთვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება საშუალოვადიან პერიოდში დამატებით განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. მაღალმთიან რეგიონებში შეღავათების შემოღების მიზანია მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი წარმოების განვითარება, ინვესტიციების წახალისება და სამუშაო ადგილების შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობით დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება და ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

„ქართული ოცნება“ განახორციელებს ქმედით პოლიტიკას რეგიონების სწრაფი და თანაბარი განვითარებისთვის:

- უზრუნველყოფილი იქნება **რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება** რეგიონული განვითარების პროგრამისა და სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად;
- რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული **კონფლიქტისპირა რეგიონებისა და მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის საჭიროებები და პრიორიტეტები;**
- უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში **დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებასა** და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას;
- ხელისუფლება მხარს დაუჭერს რეგიონულ დონეზე სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი, განათლების, ინოვაციების, კვლევის, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში **კერძო ბიზნესის ჩართვას;**
- კიდევ უფრო დაიხვეწება რეგიონული განვითარების **დაფინანსების სისტემა,** მათ შორის ხარჯსარგებლიანობის ანალიზის გამოყენების ფართოდ დანერგვის გზით;
- გაუმჯობესდება რეგიონული განვითარების **ზედამხედველობისა და ანგარიშგების** ინსტრუმენტები და მექანიზმები;
- დაიხვეწება რეგიონული განვითარების **სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის** მექანიზმები;
- განხორციელდება ადგილობრივი **ეკონომიკური და მატერიალური აქტივების და მათი პოტენციალის სრულფასოვანი შესწავლა და სისტემატიზაცია** მათი გონივრული მართვისა და გამოყენების პოტენციალის ამაღლების მიზნით;
- ხელისუფლება მხარს დაუჭერს რეგიონებში **კერძო-საჯარო პარტნიორობის** მოდელის დანერგვას;
- ხელისუფლება მხარს დაუჭერს რეგიონებში **საინვესტიციო და საინოვაციო აქტივობებს;**
- დაინერგება გაუმჯობესებული სისტემა ადგილობრივი **ინფრასტრუქტურის** განვითარებისათვის შესაბამისი პროექტების დასაგეგმად;

- მაღალმთიანი რეგიონების განვითარების მიზნით, „ქართული ოცნება“ განახორციელებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ **კანონის განხორციელების ქმედით მონიტორინგს** და საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფს კანონის და მისი რეალიზების მექანიზმების შემდგომ დახვეწას.

2.10. გარემოს დაცვა

ეკონომიკური განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტებს და პრინციპებს ითხოვს. 2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მართვის პრინციპები: გარემოს დაცვის სამინისტროს დაუბრუნდა ბუნებრივი რესურსების მართვისა და კონტროლის ფუნქციები; გაიზარდა ტყის მცველების, რეინჯერების, ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული თანამშრომლების რაოდენობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მერქნული რესურსის სამართლიანი განაწილებისთვის. 2012-2015 წლებში სხვადასხვა რეგიონში მოეწყო 57,5 კმ ახალი გზა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 122,2 კმ გზას; 2013-2015 წლებში აღდგენილ იქნა 96 ჰა ტყე; გაუმჯობესდა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა; გამკაცრდა ბენზინისა და დიზელის ხარისხობრივი ნორმები: 2015 წლიდან ბენზინში გოგირდის შემცველობა 3-ჯერ შემცირდა, ხოლო 2017 წელს 5-ჯერ შემცირდება და ევროსტანდარტს გაუტოლდება.

მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად, „ქართული ოცნება“ განაგრძობს რეფორმებს:

- თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, გაუმჯობესდება გარემოსდაცვითი **მმართველობა**;
- ჩამოყალიბდება გამჭირვალე პროცედურებზე დაფუძნებული **გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.** დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი. საპროექტო იდეის შემუშავების საწყის ეტაპზევე შეფასდება დაგეგმილი საქმიანობის მიზანშეწონილობა, რაც ინვესტორს დაიცავს ფუჭი ფინანსური დანახარჯებისგან; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო ეფექტიანი გახდება;
- ქვეყნის **სივრცითი მოწყობის და ქალაქების**

განვითარების გეგმებს, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში მომზადებულ გეგმა-პროგრამებს ჩაუტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების გეგმარებით პროცესში გაითვალისწინოს ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის ასპექტები;

- გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ეკოლოგიური დანაკარგების კომპენსაციის მიზნით, ჩამოყალიბდება **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა;**
- მოწესრიგდება სასარგებლო **წიაღისეულის** შესწავლისა და მოპოვების საკითხები, რათა სტიმულირებული იყოს ამ სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესება; ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები; სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიანად გამოყენება-ათვისებას;
- სახელმწიფო უზრუნველყოფს **დაცული ტერიტორიების** გაფართოებას და ეკოტურიზმის ხელშეწყობას;
- **ტყის მდგრადი მართვის** დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძელდება **მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება;**
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს **ბიომასისა და ტყეში არსებული ნარჩენების გადამუშავებით** ალტერნატიული ენერგორესურსების შექმნას, თბოეფექტური ღუმელების ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობას და გავრცელებას;
- გაგრძელდება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების **გამწვანებისათვის,** ქარსაფარი ზოლებისა და ტყეების აღდგენა-განაშენიანებისთვის ხე-მცენარეების ნერგების გამოყვანა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობების გამოყვანა და ბუნებრივ გარემოში გამრავლება;
- **კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული საფრთხეების რისკების შემცირების** მიზნით გაფართოვდება მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაკვირვების ქსელი, რაც ხელს შეუწყობს ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვას;
- გაუმჯობესდება **ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის** მონიტორინგისა და შეფასების სისტემა; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დადგინდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები;
- გაუმჯობესდება **ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების** სფეროში კონტროლის სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის, პაციენტებისა და სამედიცინო დასხივების გავლენაში მყოფ სხვა პირთა დაცვისკენ;
- გაგრძელდება **გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისკენ და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ** მიმართული ღონისძიებები.

3. სოციალური განვითარება

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება მძიმე სოციალური პრობლემების, სიღარიბისა და უმუშევრობის ძალზე მაღალი მაჩვენებლის, სახელმწიფოს ქმედითი სოციალური პოლიტიკის არარსებობის ფონზე ჩაიბარა. მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის საშუალო ფენა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის პრობლემის გამო, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაკარგვის ან უკიდურესი გაღარიბების საფრთხის წინაშე იდგა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ჩვენმა ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკას, რომლის შემდგომი სრულყოფა საქართველოში თითოეული ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

3.1.1. ჯანმრთელობის დაცვა

ჯანდაცვის ბიუჯეტი 2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა.

„ქართული ოცნების“ ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის მთავარი მიღწევა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებაა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან უკვე დაფინანსდა 2,4 მილიონზე მეტი შემთხვევა, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ოჯახების გაღარიბების თავიდან აცილება უზრუნველყო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2012 წლამდე საქართველოს მოსახლეობის მიერ პირდაპირ, ე.წ. „ჯიბიდან გაღებული“ თანხების წილი მთლიან ჯანდაცვის დანახარჯებში 75%-ზე მეტი იყო, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ჯანდაცვის დაფინანსებისა და ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების გაფართოების შედეგად, 2015 წლისთვის ჯანდაცვაზე მოსახლეობის პირდაპირი დანახარჯები თითქმის 400 მილიონი ლარით შემცირდა. საქართველოს თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების პაკეტით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ფარავს გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ-სტაციონარულ (დაფინანსდა 2 მილიონამდე შემთხვევა) და გეგმიურ ქირურგიულ (დაფინანსდა 220 ათასზე მეტი შემთხვევა) მომსახურებას, ასევე ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას (დაფინანსდა 95 ათასზე მეტი შემთხვევა) და მშობიარობას (დაფინანსდა 130 ათასზე მეტი შემთხვევა). „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული ჯანდაცვის რეფორმის შედეგად სასიცოცხლოდ აუცილებელი ჯანდაცვითი მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის და შესაბამისად, მოქალაქეების კატასტროფული დანახარჯებისგან ფინანსური დაცულობის ზრდას ადასტურებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, როგორიცაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). USAID-ის კვლევის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეების 96,4% კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია ჰოსპიტალურ დონეზე მიღებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით. ყოველივეს შედეგად, მკვეთრად გაიზარდა როგორც პირველადი ჯანდაცვის (67%-ით), ისე სტაციონარული მომსახურების (3-ჯერ) მოხმარება, რაც, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, ზრდის საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხარისხს - ჯანმრთელი და უნარშეზღუდულობისაგან თავისუფალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. აღნიშნულის დასტურია უკვე მიღწეული შედეგები ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების სახით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ჯანმრთელობისთვის გაზრდილმა სახელმწიფო დაფინანსებამ და სამედიცინო მომსახურებაზე გაიოლებულმა წვდომამ შეასრულა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, საქართველომ ჯანდაცვის სექტორში გატარებული რეფორმებით აჩვენა, რომ დროის ძალზე მცირე მონაკვეთში შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი ცვლილებების განხორციელება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა, ხორციელდება **ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამები,** რომელთა უმეტესობის დაფინანსება, 2012 წელთან შედარებით, გაორმაგდა, ხოლო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა 2013 წლის შემდეგ დაინერგა:

- მსოფლიო მასშტაბით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, სადაც ხორციელდება უპრეცედენტო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა.** მხოლოდ საქართველოში, პაციენტებს C-ჰეპატიტის სამკურნალოდ უფასოდ შეუძლიათ მიიღონ ყველაზე თანამედროვე და განსაკუთრებით ძვირადღირებული მედიკამენტები. აღნიშნული მედიკამენტებით მკურნალობას 12 ათასზე მეტი პაციენტი გადის. მკურნალობის კურსი დაასრულა 10 ათასზე მეტმა პაციენტმა, რომელთაგან 90%-ზე მეტმა უკვე დაამარცხა ვირუსი;
- 2016 წლიდან, ჯანდაცვის სამინისტროს და თბილისის მერიის ერთობლივი ინიციატივით, ამოქმედდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამა, რომელიც სოციალური სტატუსის შესაბამისად, სრულად ან მნიშვნელოვანი თანადაფინანსებით ფარავს ძვირადღირებული პრეპარატით - **ჰერცეპტინით მკურნალობას** ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე (I-III) HER 2-დადებითი პაციენტებისთვის;
- **რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში, დამატებით, განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებების შემთხვევაში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, დაფინანსდა 32 ათასზე მეტი შემთხვევა. ამასთან, პირველად 2013 წლიდან დაინერგა რეფერალური პროგრამის დაფინანსების სამართლიანი კრიტერიუმები, რაც პაციენტებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, სახელმწიფოსგან მიიღონ სასიცოცხლოდ აუცილებელი დახმარება;
- 2014 წელს შეიქმნა **საქართველოს სოლიდარობის ფონდი,** რომელმაც სიმსივნით დაავადებული 270-ზე მეტი ბავშვისა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ფონდი გახდა საჯარო, კერძო და საზოგადოებრივი სოლიდარობისა და ფილანტროპიის

ერთიანი პლატფორმა და გაეროსთან აქტიური თანამშრომლობით, „ინოვაციური დაფინანსების“ გლობალური დიალოგის მნიშვნელოვანი მონაწილე. სოლიდარობის ფონდის დაფუძნების შემდეგ, საქართველოში, უსახსრობის გამო, რეგისტრირებული შემთხვევებიდან, სიმსივნით დაავადებული არცერთი ბავშვი და ახალგაზრდა არ დაღუპულა;

- **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისთვის** გაზრდილმა სახელმწიფო დაფინანსებამ და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე გაიოლებულმა წვდომამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაში.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის **გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.** ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე, საქართველოს თითოეულ მუნიციპალიტეტში აშენდა და აღიჭურვა სულ მცირე ერთი ამბულატორია. სულ აშენდა და აღიჭურვა 82 ამბულატორია, მათ შორის - გამყოფი ხაზის მიმდებარე 22 სოფელში. ყველა რაიონში ფუნქციონირებს პირველადი ჯანდაცვის ცენტრები. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის რეაბილიტირებული საქართველოს სტაციონარული ფონდის 65%-ზე მეტი. მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისების მოცულობის და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ 9 საავადმყოფო გამოისყიდა ოპერატორი კომპანიებისგან და უზრუნველყო მათი სრული სიმძლავრით ოპერირება.

ქვეყნის მასშტაბით 200 ახალი ავტომობილით განახლდა **სასწრაფო სამედიცინო დახმარების** ავტოპარკი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრებს გადაეცა ახალი შენობები და მოხდა პერსონალის ეკიპირებისა და ფორმების განახლება, გაიზარდა პერსონალის ხელფასი.

ჯანდაცვის სექტორში შეიქმნა **კონკურენტული გარემო** როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სუბიექტების ფუნქციონირებისათვის. დღეისათვის, სტაციონარული დაწესებულებების 80%-ზე მეტი კერძო მფლობელობაშია და თითქმის ყველა მათგანი მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში. კერძო ჰოსპიტალებს შექმნილი აქვთ ხელსაყრელი გარემო ფუნქციონირებისათვის. ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების მნიშვნელოვანმა ზრდამ და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ ხელი შეუწყო საავადმყოფოებში რეინვესტირების შესაძლებლობებს - ინფრასტრუქტურისა და აპარატურის განახლებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ პოლიტიკის შედეგად, მხოლოდ 2014-2016 წლებში ქვეყანაში 45 ახალი კერძო კლინიკა გაიხსნა, რაც სწორი ჯანდაცვითი სტრატეგიის კიდევ ერთი დადასტურებაა.

სახელმწიფო ხელს უწყობს **ფარმაცევტულ სექ-ტორში და კერძო სადაზღვევო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის** განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა **სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ბიოეთიკური ნორმების შესრულების** საკითხებს.

ამოქმედდა მედიკამენტების რეცეპტით გაცემის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობაში თვითმკურნალობით გამოწვეული ზიანის შემცირებას. ამასთან, გაძლიერდა რეგულაციები ფსიქოტროპულ აფთიაქებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ე.წ. სააფთიაქო ნარკომანია.

ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად:

- შენარჩუნდება არსებული **საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა.** საქართველოს ყველა მოქალაქე კვლავაც იქნება დაცული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯებისაგან. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განიხილება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები და შემუშავდება მექანიზმები, რათა ადამიანებმა, რომლებსაც მაღალი შემოსავალი აქვთ, მეტი წვლილი შეიტანონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში. გაუმჯობესდება საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის და პენსიონერებისთვის;
- განხორციელდება **პირველადი ჯანდაცვის** რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მოცულობა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა, რის საფუძველზეც დაიზოგება როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის მიერ გაწეული დანახარჯები, პაციენტებს მიეცემათ საშუალება დაავადების ადრეულ ეტაპზევე დაიწყონ მკურნალობა და თავიდან აიცილონ გართულებები;
- დაიხვეწება **პირველადი ჯანდაცვისა და საზო-გადოებრივი ჯანდაცვის** ცენტრების მუშაობა. დაავადებათა პროფილაქტიკა (პრევენცია) ჯანდაცვის პოლიტიკისთვის იქნება პრიორიტეტული. დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე, ისე დაავადების დროულად აღმოჩენასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე;
- გაიზრდება **ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება:** C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს; გაგრძელდება საქართველოს სოლიდარობის ფონდის ფუნქციონირება; ინდივიდუალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა გააგრძელებს ფუნქციონირებას და მოიცავს განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებების მქონე ყველა პირს; გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის მოცულობა და ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას - ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაციის პროგრამა და 2014 წლიდან მოქმედი პროგრამა, რომელიც ორსულებს და ახალშობილებს უზრუნველყოფს ჯანსაღი განვითარებისთვის

აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით; საფუძველი ჩაეყრება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტურ მეთოდებს, როგორიცაა ადრონული თერაპია და ღეროვანი უჯრედების გადანერგვა;

- **ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება** დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დაიხვეწება არსებული სტანდარტიზებული საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტი; შემავსებელი და დამატებითი მომსახურების გაწევის უფლება დარჩება კერძო სადაზღვევო კომპანიებს; ბაზისური სარგებლობის კალათა განსაზღვრული იქნება დაფინანსების დიაგნოზთან შეჯიდული ჯგუფების და გლობალური ბიუჯეტების მეთოდით, რაც უზრუნველყოფს ამ პროგრამის ხარჯების უფრო ეფექტიან და პროგნოზირებად გაწევას;
- **მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის** დაბალ მაჩვენებელზე ზემოქმედება მოხდება ერთიანი სისტემური რეფორმის სახით, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს სტრატეგიული მედიკამენტების სახელმწიფო კონსოლიდირებულ შესყიდვას, ხოლო, მეორე მხრივ, წამლის ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვას და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას;
- ჯანდაცვის სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური **სახელმწიფო მონიტორინგის** განხორციელების მეშვეობით, ასევე საკანონმდებლო ბაზის დახვეწის საფუძველზე;
- ქვეყნის მასშტაბით დაინერგება **ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა,** რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას;
- გამოწვევების შესაბამისი გახდება **სალიცენზიო და სანებართვო პირობები;**
- ჯანდაცვის ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება **სამედიცინო განათლების** სისტემური რეფორმით, რაც უზრუნველყოფს მაღალი კომპეტენციის მქონე სამედიცინო პერსონალის აღზრდას. დაიხვეწება სამედიცინო პერსონალის დიპლომისშემდგომი განათლების სისტემა. შედეგად, საგრძნობლად შემცირდება გართულებების რაოდენობა და სიმწვავე, რაც, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს პაციენტებისათვის წარმატებული პრევენციული და სამკურნალო პროცესების შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეამცირებს სამედიცინო დაწესებულებების დანახარჯებს, კლინიკებს მიეცემათ საშუალება, საგრძნობლად გაზარდონ პერსონალის სახელფასო ანაზღაურება და მეტი თანხა მიმართონ განვითარებისკენ.

3.1.2. სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის პროგრამების **დაფინანსება** 2012 წლის შემდეგ 62,1%-ით, 1,4 მილიარდიდან 2,3 მილიარდ ლარამდე გაიზარდა.

გაიზარდა ყველა კატეგორიის **პენსია**. 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს საპენსიო უზრუნველყოფაზე 600 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება. საპენსიო ასაკის მიხედვით დანიშნული პენსია 180 ლარამდე გაიზარდა, ხოლო მთაში მცხოვრები სტატუსის მქონე პენსიონერებისთვის – 216 ლარით განისაზღვრა. ასაკით პენსიონერებს, გარდა ყოველთვიური პენსიისა, მინიჭებული აქვთ საყოველთაო ჯანდაცვის ულიმიტო პაკეტი, რომელიც სრულად უფინანსებს სამედიცინო მომსახურებების უმეტესობას. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების პენსია 100 ლარიდან 180 ლარამდე, მთაში კი - 216 ლარამდე გაიზარდა.

გაორმაგდა **სოციალური დახმარების** ბიუჯეტი და სოციალური დახმარების ოდენობა. შეიქმნა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების ახალი, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია. ოჯახებს ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ენიჭებათ განსხვავებული სარეიტინგო ქულები და ისინი იღებენ სხვადასხვა რაოდენობის სოციალურ დახმარებას. 57 000 ქულიდან 65 000 ქულამდე გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღებთა ზედა ზღვარი. ახალი მეთოდოლოგიით, ბავშვიან ოჯახებში (100 000 ქულამდე) ყოველ ბავშვზე დანამატი დაწესდა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს, შესაბამისი პროგრამის ფარგლებში, საჭიროებების მიხედვით, მიეწოდებათ 1000 ლარის ღირებულების საკვები, ტანსაცმელი თუ პირველადი მოთხოვნილების სხვა საქონელი. ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის დაღუპული გმირების, ასევე კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლისას დაღუპული პოლიციელების, საერთაშორისო მისიებში დაღუპული გმირების ოჯახების ყოველთვიური კომპენსაცია არის 1000 ლარი, ხოლო ოჯახებს, 2012 წლამდე არსებული 15 000-ლარიანი ერთჯერადი კომპენსაციის ნაცვლად, გადაეცემა 100 000 ლარი. 200 000-მდე სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის ხორციელდება მოხმარებული ელექტროენერგიის ნაწილობრივი სუბსიდირება. გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაცია და მთლიანად სოციალური პაკეტი, რომელიც ენიშნებათ წარსულში ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე და მთაში მცხოვრებ შშმ პირებს, პოლიტრეპრესირებულებს და მარჩენალდაკარგულებს.

გაუმჯობესდა **სოციალური სახლების** მდგომარეობა. მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის დიდი ზომის ბავშვთა სახლებიდან მოხდა მცირე ზომის ბავშვთა სახლებზე გადასვლა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვების სწორი აღზრდისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის, შეიქმნა დღის ცენტრები, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვების კვება, აკადემიური და ჰიგიენური საჭიროებების დაკმაყოფილება, სამედიცინო და განათლების სერვისების შეთავაზება, სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა. აღნიშნულ ცენტრებში შშმ ბავშვებისთვის ხორციელდება რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამა, ადრეული განვითარების შეფერხების პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვანია შშმ ბავშვების საჭირო უნარების ჩამოყალიბებისთვის. ფუნქციონირებს მოხუცთა თავშესაფრები.

2012 წლის შემდეგ **იძულებით გადაადგილებულ პირთა** პრობლემების მოგვარებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო დაფინანსება გაორმაგდა და 24 მილიონიდან 84,7 მილიონამდე გაიზარდა. ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომლითაც მნიშვნელოვნად

გაუმჯობესდა დევნილთა უფლებების დაცვა. გაუქმდა 2012 წლამდე არსებული სახელისუფლებო პრაქტიკა, რომელიც მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართებიდან დევნილთა იძულებით გამოსახლებას და თბილისში დევნილთა განსახლების აკრძალვას ითვალისწინებდა. გაორმაგდა დევნილთა შემწეობა. აქტიურად მიმდინარეობს დევნილთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროცესი. პრიორიტეტების მიხედვით კანონმდებლობით განსაზღვრულია ობიექტური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე დევნილს ან დევნილ ოჯახს ენიჭება უპირატესობა საცხოვრებელი სახლის მიღებისას. დაიხურა 50 ნგრევის საფრთხის მატარებელი ობიექტი და ამ ობიექტებში მცხოვრებმა 830-მა დევნილმა ოჯახმა საცხოვრებელი ბინა რეაბილიტირებულ ან ახალაშენებულ კორპუსებში მიიღო. სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში, სამინისტრომ 950 დევნილ ოჯახს, ხოლო იპოთეკური სესხით სახლის შეძენის პროექტის ფარგლებში - 92 დევნილ ოჯახს შეუძინა სახლი, რეაბილიტირებულ და ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი კი 5 000-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა მიიღო. საცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სამინისტრომ მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარა 293 ობიექტს. 12 300-ზე მეტ დევნილ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართები და ეს პროცესი გრძელდება. სახელმწიფომ დევნილი ოჯახებისთვის სოციალური პაკეტების განხორციელებაში (ქირა, ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვ.) 20 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. დევნილთათვის სრულად დაიფარა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართებში არსებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დავალიანება.

2006 წლის შემდეგ, სახელმწიფომ შეწყვიტა **ეკომიგრანტების** უსაფრთხო ადგილებში განსახლების პროგრამა. 2013 წლიდან, „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ეკომიგრანტების განსახლება ახალი კრიტერიუმებით. ამ ხნის განმავლობაში, სამინისტრომ 300-ზე მეტი სახლი შეიძინა ეკომიგრანტი ოჯახებისთვის და დაიწყო საცხოვრებელი სახლების დაკანონების პროცესი მათთვის, ვისაც სახლები სახელმწიფომ 2006 წლამდე შეუძინა. ამ პროგრამის ფარგლებში, 306 ეკომიგრანტი ოჯახი უკვე გახდა საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე. სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი გრძელდება და წლის ბოლომდე საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახი გახდება.

„ქართული ოცნება“ ახორციელებდა თანმიმდევრულ პოლიტიკას **დემოგრაფიული მდგომარეობის** გასაუმჯობესებლად. შემუშავდა დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია და გატარდა კონკრეტული ღონისძიებები დემოგრაფიის გასაუმჯობესებლად. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მთაში არსებულ დემოგრაფიულ პრობლემებს. შემუშავდა ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ხანდაზმულებისთვის. შედეგად, ქვეყანამ მიიღო პოზიტიური დემოგრაფიული ცვლილებები: გაუმჯობესდა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, იკლო ბავშვთა სიკვდილიანობამ, შემცირდა აბორტების რაოდენობა, გაიზარდა ქორწინებათა რიცხვი. განსაკუთრებით გაზრდილია მესამე და შემდეგი ახალშობილების რაოდენობა იმ რეგიონებში, სადაც ხორციელდება მათთვის ფინანსური დახმარება.

შეიქმნა კანონმდებლობა, რომლის მიზანია თითოეული დასაქმებულისთვის **შრომის** ღირსეული პირობების უზრუნველყოფა.

რეპრესიული **ნარკოპოლიტიკა** ჩანაცვლდა სახელმწიფოს დაბალანსებული ნარკოპოლიტიკით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებული პირებისათვის. გაუქმდა ზედოზირების შემთხვევების სამედიცინო პერსონალის მიერ პოლიციისათვის ცნობების პრაქტიკა. სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შედეგად, ქვეყანაში 99%-ით შემცირდა კუსტარული ნარკოტიკების, ხოლო 90%-ზე მეტით - ე.წ. „ბიონარკოტიკის“ მოხმარება. ნარკოტიკული დანაშაულისა და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. განისაზღვრა ფარმაცევტის პასუხისმგებლობა ფსიქოტროპული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემაზე.

დაიწყო პოლიტიკის შემუშავება **აზარტულ თამაშებზე** არასრულწლოვანთა ხელმისაწვდომობის შემცირების მიზნით.

„ქართული ოცნების“ სოციალური დაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია: სიღატაკის დაძლევა და სიღარიბის შემცირება, სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, დასაქმების მოტივაციის გაზრდა და ხელშეწყობა. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

- დაიხვეწება **სოციალური დაცვის სისტემა;** უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფუნქციონირება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით იმგვარად, რომ გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორები; გამკაცრდება მონიტორინგის სისტემა;
- დაინერგება **დაგროვებითი საპენსიო სისტემის** ახალი მოდელი, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია. დაგროვებითი სისტემა გულისხმობს თანადაფინანსებას დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან;
- დაინერგება სახელმწიფო პროგრამა - **„ცხოვრება გრძელდება“**, რომლის ფარგლებში კერძო კომპანიები წახალისდებიან საპენსიო ასაკის კვალიფიციური პირების დასაქმებისათვის;
- ხელისუფლება გააგრძელებს **დევნილთა** საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. უკვე მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება ისეთი მშენებლობები, როგორიცაა ზუგდიდში 26 თორმეტსართულიანი კორპუსი 2000 ოჯახისთვის, ქუთაისში 25 თექვსმეტსართულიანი კორპუსი 2200 ოჯახისთვის, გორში 8 ათსართულიანი კორპუსი 480 ოჯახისთვის, წყალტუბოში 8 ათსართულიანი კორპუსი 560 ოჯახისთვის და მცხეთაში 2 კორპუსი 130 დევნილი ოჯახისთვის. დამატებით, 2017 წელს გორში დამთავრდება 32-ბინიანი ახლადაშენებული კორპუსის რემონტი, ბორჯომში კი 64- ბინიანი კორპუსის რეაბილიტაცია. მოხდება 2000-მდე ბინის შესყიდვა მენაშენეებისგან თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში. სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში მოხდება სულ მცირე 3000 დევნილი ოჯახისთვის

საცხოვრებელი სახლის შეძენა. 24 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში აქვს გადაცემული საცხოვრებელი ფართი, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს საკუთრებაში გადაეცემათ საერთო სარგებლობის ფართებიც (სხვენები, სარდაფები და სხვ.). გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული. ამ პროექტის ფარგლებში, სულ მცირე 1500 დევნილი ოჯახი ბინით დაკმაყოფილდება. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებლები დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. მნიშვნელოვნად გაძლიერდება მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. გაგრძელდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი. დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის სახლების შეძენა;

- **დემოგრაფიული მდგომარეობის** გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების როლი; სახელმწიფო წაახალისებს მრავალშვილიანობას; მომზადდება სოციალური პაკეტი მრავალშვილიანი მშობლისთვის; გაძლიერდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამები დემოგრაფიული მდგომარეობის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. გაძლიერდება ხანდაზმულთა პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებები, გაძლიერდება შინ მოვლის პროგრამები. პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებაში გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი;

- მოხდება სასჯელის ლიბერალიზაცია მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით. სახელმწიფო გააუმჯობესებს ნარკოდამოკიდებული პირებისათვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს. პრევენციული პროგრამებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს **ნარკოტიკების** უკანონო მოხმარებაში ადამიანების, განსაკუთრებით - ახალგაზრდების ჩაბმის თავიდან არიდებას;

- სახელმწიფო, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს რეგულაციებს **აზარტული თამაშების** ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კუთხით, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან და დამოკიდებულ პირებთან მიმართებაში. გამკაცრდება სახელმწიფო კონტროლი რეგულაციების შესრულებაზე. გაძლიერდება პრევენციული საგანმანათლებლო კომპონენტი, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აზარტულ თამაშებში ჩაბმა;

- ხელისუფლება განახორციელებს ქმედით **დასაქმების** პოლიტიკას. საამისოდ გაძლიერდება ინსტიტუციური მექანიზმი და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის. სახელმწიფო პერმანენტულად განახორციელებს შრომის ბაზრის დეტალურ კვლევას და ინფორმაციულ დახმარებას გაუწევს სამუშაოს მაძიებლებს პროფესიის არჩევის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით. სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროცესში.

3.2. განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია იმგვარი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

2012 წლის შემდეგ, განათლების სფეროში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები. მთავრობამ განათლება პრიორიტეტად გამოაცხადა. 4 წლის განმავლობაში, **განათლების დაფინანსება** 348 მლნ ლარით გაიზარდა.

განათლების სისტემის მართვის ავტორიტარული პრაქტიკა ჩაანაცვლა **მართვის დემოკრატიულმა პრაქტიკამ.** 2012 წლიდან, დაიწყო განათლების სისტემის მართვის დეპოლიტიზაცია. დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს როგორც კანონმდებლობით, ისე ფაქტობრივად, გარანტირებული აქვთ აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია; განხორციელდა მანდატურის სამსახურის ძირეული რეფორმა, რის შედეგადაც მოიხსნა პოლიტიკური წნეხი და მანდატურის მთავარი ფუნქცია ბავშვის უსაფრთხოებაზე ზრუნვა გახდა. საგრძნობლად გაიზარდა სამინისტროს მუშაობის გამჭვირვალობის ხარისხი; მნიშვნელოვნად დაიხვეწა განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების მექანიზმები; გაიზარდა განათლების ხელმისაწვდომობა; ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

სისტემური ცვლილებები განხორციელდა **ადრეული და სკოლამდელი განათლების** სისტემაში. სახელმწიფო სრულად აფინანსებს ადრეულ და სკოლამდელ განათლებას საჯარო დაწესებულებებში, რის შედეგადაც ქვეყნის მასშტაბით 42%-ით გაიზარდა აღსაზრდელების რიცხვი. პირველად შეიქმნა კანონი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ და განისაზღვრა საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და სტანდარტების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები. კანონის შესაბამისად, სკოლამდელ დაწესებულებებში განათლება და აღზრდა გახდება ერთიანი პროცესი. გაეროს პრინციპების შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია განათლების, უსაფრთხოების, კვების, ჰიგიენის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალი სტანდარტები, რომელიც სავალდებულოა ყველა საჯარო თუ კერძო სკოლამდელი დაწესებულებისთვის.

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა **ზოგადი განათლების** სფეროში. 2012 წელთან შედარებით,

ზოგადი განათლების დაფინანსება 54%-ით გაიზარდა და 2016 წელს 572,4 მლნ ლარი შეადგინა. მაღალი ხარისხის, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, დაიწყო მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებაზე. ამოქმედდა მასწავლებლის პროფესიის რეგულირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა - მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა კარიერული საფეხურების შესაბამისი სახელფასო დანამატები, მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 65%-ით, საშუალო ხელფასი კი - 70%-ით გაიზარდა. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლების პროფესიული განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობს. გადამზადებულ პედაგოგთა რიცხვმა 38 ათასს გადააჭარბა. სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი წესი. მოსწავლეების სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ მასშტაბური პროგრამა განახორციელა და ყოველწლიურად 550 ათასამდე მოსწავლე სარგებლობს უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით. 1200-მდე საჯარო სკოლის 65 ათასზე მეტ მოსწავლეს ემსახურება უფასო ტრანსპორტი. შედეგად, სკოლაში მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელმა 95%-ს გადააჭარბა. ყოველწლიურად, საჯარო სკოლის ყველა პირველკლასელს, მათ მასწავლებლებს და იმ მოსწავლეებს, რომელთაც საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულეს, ახალი თაობის პერსონალური კომპიუტერები გადაეცემათ. სახელმწიფო განსაკუთრებულად ზრუნავს მაღალმთიან სოფლებში სკოლების შენარჩუნებაზე. საჯარო სკოლებში ამოქმედდა ახალი სერვისები: თბილისსა და რეგიონებში დაფუძნდა 7 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ყველა მოსწავლეს ემსახურება, 500-მდე სკოლაში ამოქმედდა ექიმის კაბინეტი, 1000-ზე მეტ სკოლაში დაინერგა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა; მსოფლიო ბანკის მონაცემებით, აღნიშნული სოციალურად ორიენტირებული პროგრამების განხორციელებით, ზოგად განათლებაზე ოჯახის წლიური დანახარჯი 60%-ით შემცირდა. 2013-2015 წლებში მომზადდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 20 ახალი საჯარო სკოლის პროექტი. აქედან 10 სკოლის მშენებლობა (14,4 მლნ ლარი) უკვე დასრულდა. მიმდინარეობს 10 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (საერთო ბიუჯეტი - 28,7 მლნ ლარი), რომელთაგან 5 დასრულდება 2016 წლის შემოდგომაზე, 5 კი - 2017 წელს. 2016 წელს დამატებით მომზადდა 7 ახალი საჯარო სკოლის პროექტი (22,3 მლნ ლარი) და მშენებლობა დაიწყება უახლოეს მომავალში; განხორციელდა 1300-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ხოლო ინვენტარი განახლდა 1700-მდე საჯარო სკოლაში. სახელმწიფომ სრულად უზრუნველყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან პირთა ზოგადი განათლება. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სპეციალური პროგრამით გადამზადდა 1400-მდე სპეციალისტი, რომლებიც 5600-მდე შშმ მოსწავლეს ემსახურებიან. 2013 წელს პირველად დაიბეჭდა სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით, ჟესტური ენის განვითარებისათვის შეიქმნა სხვადასხვა საგნების 1500-მდე ჟესტი, სენსორული დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის შემუშავდა ალტერნატიული სასწავლო გეგმა. 2013 წელს საქართველომ მოიპოვა აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე, 140 მილიონი დოლარის მოცულობის გრანტი, რომლის საფუძველზე მიმდინარეობს 100 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის პროგრამა, აგრეთვე სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული სხვა პროგრამები. აღნიშნული პროგრამების შედეგად, 37 ათასზე მეტი მოსწავლისათვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **პროფესიული განათლების** განვითარების მიმართულებით. 2012 წელთან შედარებით, 2016 წელს პროფესიული განათლების დაფინანსება გაზრდილია დაახლოებით 100%-ით. ბიუჯეტიდან გამოიყო 36.2 მლნ ლარი. სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას სახელმწიფო სასწავლებლებში. 2013 წლიდან, პროფესიული განათლების მიღება სახელმწიფო დაფინანსებით შეძლო 30 ათასზე მეტმა პირმა, მათ შორის 426 შშმ და სსსმ პირია. შემუშავდა ახალი პროფესიული სტანდარტები. დაინერგა 80 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, და სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სამი პროგრამა, რისთვისაც ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სიღრმისეული რეფორმა, რაც გულისხმობს კოლეჯებში კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელის დანერგვას და საგანმანათლებლო პროცესში დამსაქმებლის ჩართულობას. ინოვაციისა და მეწარმეობის მხარდასაჭერად, 14 პროფესიულ სასწავლებელში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის ფარგლებში, ხორციელდება პროექტი - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“, რომლის ამოცანაა საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული, საერთაშორისო სტანდარტის და ხარისხის პროფესიული განათლების მიღება საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, მათემატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების (STEM დარგებში) მიმართულებით. წარმატებით ხორციელდება ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა - „დასაქმება და პროფესიული განათლება და მომზადება“, რომლის სრული ბიუჯეტია 27 მლნ ევრო. 2012 წლიდან დაფუძნდა 4 ახალი პროფესიული სასწავლებელი და 8 დამატებითი სასწავლო კორპუსით გაფართოვდა არსებული ქსელი რეგიონებში; ორ პროფესიულ კოლეჯში დაინერგა ISO-9001 სტანდარტი, ხოლო სამ სახელმწიფო და სამ კერძო კოლეჯში EFQM-ის ხარისხის მართვის ევროპული მოდელი. დაწყებულია პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების საერთო საცხოვრებლების რეაბილიტაცია-მშენებლობა ქუთაისში, ზუგდიდსა და სენაკში. დაიწყო მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიული მომზადების პროგრამები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო **უმაღლესი განათლების** სისტემას. დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა განათლების ხარისხის განვითარების სისტემის მოდერნიზაციის, უმაღლესი განათლების მიმართ

ნდობის ამაღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის ინტერნაციონალიზაციის და დაფინანსების მიმართულებით. 2012 წელთან შედარებით, უმაღლესი განათლების დაფინანსება 41%-ით გაიზარდა. სახელმწიფო სრულად აფინანსებს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის 21 პრიორიტეტულ მიმართულებას, რისთვისაც 2013-2015 წლებში გამოყოფილი იყო 46,9 მლნ ლარი, 2016 წლის ბოლომდე კი გამოიყოფა 30 მლნ ლარი. პროგრამით უკვე ისარგებლა 12 ათასზე მეტმა სტუდენტმა. 2012 წელთან შედარებით, 136%-ით გაიზარდა სოციალური პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო საგრანტო დაფინანსების წლიური მოცულობა, რამაც 2013 წლიდან, ყოველ სასწავლო წელს, დამატებით 650-მდე სტუდენტს მისცა სახელმწიფო დაფინანსებით განათლების მიღების შესაძლებლობა. 2013 წლიდან, 2012 წელთან შედარებით, გაორმაგდა სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა. 2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფო სტიპენდიას იღებს 2600-მდე სტუდენტი. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, საერთო ჯამში, უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სტუდენტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. განათლების საერთაშორისო ცენტრმა 2014-16 წლებში 200-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის. მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა სამშობლოში და მიღებული ცოდნის რეალიზებას საქართველოში განაგრძობს. WEBOMETRICS-ის საერთაშორისო რანჟირებით, მსოფლიოს 23 887 უნივერსიტეტს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2006-ე ადგილიდან, 2016 წლის დასაწყისში კი 734-ე ადგილზე გადავიდა. უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP) რეიტინგებში კი მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის აკადემიური აქტიურობით 985-ე ადგილი დაიკავა და კავკასიაში კვლავ ლიდერია. ტომსონის პრესტიჟული რანჟირების სისტემის მიხედვით კი, ფიზიკის მიმართულებით მსოფლიოს 248 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის 187-ე ადგილს იკავებს. განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის გაზრდისა და მონიტორინგის მექანიზმების დასანერგად. 2014 წელს, აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის გრანტის ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტებში ამოქმედდა აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აშშ-ში აკრედიტებული პროგრამები საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში. შედეგად, ქართველი სტუდენტები საქართველოში იღებენ ამერიკულ დიპლომს. ევროკომისიის პროგრამა „ერაზმუს პლუსის“ საერთაშორისო მობილობის კონკურსში საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სტიპენდიათა უპრეცედენტო რაოდენობა მოიპოვეს და მსოფლიოს ხუთეულში მოხვდნენ. 938 ქართველი სტუდენტი და პროფესორი გაემგზავრება ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში და 527 ევროპელი სტუდენტი, აგრეთვე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ეწვევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სწავლის, სწავლებისა და კვლევების მიზნით.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახელმწიფო პოლიტიკა **მეცნიერებასთან** მიმართებით. 2012 წლის შემდეგ, მეცნიერების დაფინანსება 82%-ით გაიზარდა. 3-ჯერ გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება, ხოლო 2,5-ჯერ - მეცნიერ-თანამშრომელთა ხელფასები. 2016 წელს კვლევითი ინსტიტუტების (რომლებიც სრულიად მიტოვებული იყვნენ 2012 წლამდე) პროგრამული დაფინანსება უკვე შეადგენს 22 მლნ ლარს. 42 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ინტეგრირებულია 5 უნივერსიტეტში. გაჩნდა ახალი პოზიციები ახალგაზრდა მეცნიერთა სისტემაში მოსაზიდად. ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა ხელშეწყობისათვის შემუშავდა და დაინერგა ახალი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო უნივერსიტეტების და კვლევითი დაწესებულებების პარტნიორობის ფარგლებში ხარისხიანი კვლევის წარმოებას (ბიუჯეტი - 33,5 მილიონი ლარი). ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლიდან პირველად ამოქმედდა და დღემდე მიმდინარეობს დოქტორანტების დაფინანსების პროგრამა, რომლითაც 2015 წელს ისარგებლა 87 დოქტორანტმა (გრანტების ბიუჯეტი შეადგენდა 1,5 მლნ ლარს), 2016 წლის ბოლომდე პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1.6 მლნ ლარს. განხორციელდა რეფორმა განათლებისა და კვლევის ჰარმონიზაციისათვის, რისთვისაც კანონში შევიდა ცვლილებები, გამოიყო რესურსი - 72 მილიონი ლარი უნივერსიტეტებში კვლევების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. 2016 წლის აპრილში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკომისიის პროგრამა Horizon2020-თან თანამშრომლობის შესახებ (პროგრამის საერთო ბიუჯეტი 80 მლრდ ევროა), რაც ქართველ მეცნიერებს საერთაშორისო თანამშრომლობის და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, განხორციელდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის რეფორმა და 64,8 მილიონ ლარამდე გაიზარდა სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, მათ შორის - ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განსახორციელებლად. პირველად კავკასიაში, ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული და საფუძველი ჩაეყარა თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს. 2016 წელს, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, საფუძველი ჩაეყარა რეგიონში უპრეცედენტო სამეცნიერო პროექტს 500 მილიონი დოლარის ბიუჯეტით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, იქმნება ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომლის მხოლოდ სამი ანალოგი არსებობს მსოფლიოში. ინსტიტუტის მიზანია სამეცნიერო კვლევების, აგრეთვე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის სფეროში. პარალელურად, შეიქმნება თანამედროვე ექსპერიმენტული ბაზა ფუნდამენტური მეცნიერებებისათვის, რომელიც აუცილებელია ქვეყნის კვლევითი პოტენციალის განვითარებისა და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად. ინსტიტუტს გამოყენებითი მნიშვნელობაც ექნება, რაც მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უახლეს მეთოდს - სიმსივნის ადრონულ თერაპიას ეფუძნება.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, განხორციელდება სისტემური ცვლილებები, რათა განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი განათლება. განათლების სისტემა იქნება ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ საქართველოს განათლების სისტემამ რეგიონში ლიდერის პოზიციები დაიკავოს და რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

- საყოველთაო ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება **უფასო**;
- ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბარი მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ყველა საჯარო და კერძო ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში 2017 წლიდან ამოქმედდება **ერთიანი ხარისხის სტანდარტები,** სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალი სტანდარტები, კვებისა და ჰიგიენის ერთიანი სტანდარტი. უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება და არაძალადობრივ გარემო;
- ამოქმედდება აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ახალი **პროფესიული სტანდარტი.** დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების პოპულარიზაცია, კვალიფიციური კადრების მომზადება და პროფესიაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, აგრეთვე სკოლამდელ განათლებაში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება სოციალური გარანტიების გაუმჯობესებით;
- გაძლიერდება **სტანდარტის შესრულების კონტროლი,** რომელსაც არ ექნება ფორმალური ხასიათი, არამედ რეალურად უზრუნველყოფს მაღალი მოთხოვნების შესრულებას;
- გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების **ინფრასტრუქტურის** გაუმჯობესება და ახალი დაწესებულებების დაფუძნება;
- წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება **სასკოლო მზაობის** ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.

ზოგადი განათლება

- ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა კვლავ პრიორიტეტი იქნება. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური, მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული სისტემისა და საგანმანათლებლო გარემოს განვითარება. ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება **ავტორიზაციისა და აკრედიტაციის** ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები;
- ხარისხის ამაღლების მიზნით, შეიქმნება **ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამები და სახელმძღვანელოები,** რომელთა დანერგვა I-VI კლასებში უკვე 2017-18 სასწავლო წელს დაიწყება და შემდგომ, ეტაპობრივად დაფარავს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს;
- სკოლებში განსაკუთრებით გაძლიერდება **ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება და სახელოვნებო მიმართულებები;**
- კიდევ უფრო დაიხვეწება **ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა.** გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი;
- ხელისუფლება იზრუნებს **პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის** ამაღლებაზე. განისაზღვრება პედაგოგების პროფესიული სტანდარტი. სახელმწიფო უზრუნველყოფს პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად, გაგრძელდება მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობა, ანაზღაურების სისტემისა და სამოტივაციო პაკეტების განვითარება. 2017 წლის 1 იანვრიდან, მასწავლებელთა ხელფასების ზრდა დაგეგმილი სქემის მიხედვით განხორციელდება და საშუალო ხელფასი 800 ლარს მიაღწევს. 2018 წლიდან, ხელფასები გაიზრდება ქვეყნის ბიუჯეტის ზრდის შესაბამისად. გაიზრდება პედაგოგთა სოციალური დაცვის გარანტიები. სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2016-19 წლებში განხორციელდება მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მასშტაბური პროგრამები, რომელიც დაფინანსდება როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის 14-მილიონიანი პროექტის ფარგლებში;
- **თავისუფალი გაკვეთილები,** რომელიც მოსწავლეების ინტერესებზე იქნება მორგებული, გახდება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც მათ დაეხმარება ანალიტიკური, კრეატიული, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების, გუნდური მუშაობისა და ლიდერობისა და სამეწარმეო უნარების, ასევე სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში, წაახალისებს ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სპორტულ აქტივობებს;
- სწავლა-სწავლების პროცესში გაიზრდება **თანამედროვე ტექნოლოგიების,** აგრეთვე დისტანციური სწავლების როლი. მნიშვნელოვნად გაძლიერდება სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები; მომზადდება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები დამხმარე სასწავლო მასალისა და განმავითარებელი თამაშების სახით. დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში;
- მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება უახლესი სტანდარტების შესაბამისად სასკოლო **ინფრასტრუქტურის** განვითარებაში. მათ შორის ახალი სკოლების მშენებლობაში. 2016-19 წლებში, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის

დაფინანსებით, განხორციელდება 100-მდე სკოლის სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, რის შედეგადაც 37 ათასზე მეტი მოსწავლე საქართველოს რეგიონებში მიიღებს საერთაშორისო სტანდარტის სკოლებს;

- ამოქმედდება **მცირეკონტინგენტიანი, მაღალ-მთიანი და სოფლის სკოლების გაძლიერების პროგრამები.**

პროფესიული განათლება

- პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება **დუალური სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით,** სადაც კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო და საწარმო გაინაწილებენ კომპეტენციებს, პროფესიული განათლების თეორიული და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების მიმართულებით;
- შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალ-კეულ **პრიორიტეტულ მიმართულებებს** და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და სტუდენტთა შეფასების პრო-ცესებში;
- პროფესიული განათლება ფოკუსირებული იქნება, როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებებზე. შეიქმნება **ზრდასრულთა განათლების** სისტემა. კერძო სექტორთან თანამშრომლობით ამოქმედდება პროფესიული მომზადება-გადამზადების მრავალ-ფეროვანი პროგრამები. პარალელურად, შეიქმნება პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის მოქნილი მექანიზმები, სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური;
- დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების პარალელურად, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე პრიორიტეტი იქნება **სამეწარმეო განათლება.** პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სტუდენტები ისწავლიან მეწარმეობას. ამგვარად, მომზადდება მცოდნე კადრი, რომელიც დასაქმების გარდა, სახელმწიფოს თუ საბანკო სექტორის მიერ გატარებულ სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებში (კონკურსები, დაფინანსებები, სტარტაპების წახალისება) მონაწილეობას და ბიზნესის დაწყებას საკუთარი პროფესიის შესაბამისად შეძლებს;
- ამოქმედდება ევროპული მიდგომების შესაბამისად მომზადებული **ხარისხის უზრუნველყოფის** მოდელი და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობას და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ განახორციელონ ერთობლივი პროგრამები ევროპულ და სხვა წარმატებულ სასწავლებლებთან ერთად, მოამზადონ კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ამოქმედდება **პროფესიული განვითარების** მწყობრი სისტემა, წახალისებული იქნება მათი სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ. სახელფასო პოლიტიკა დაეფუძნება ცოდნის, გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს;
- აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილი **ათასწლეულის გამოწვევის** კომპა-ქტით, 16 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა 2016-19 წლებში, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის პროფესიული განათ-ლების ახალი პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით;
- განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინფრასტრუქტურა** და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში გაფართოვდება არსებული გეოგრაფიული ქსელი.

უმაღლესი განათლება

- უმაღლესი განათლების **დაფინანსება** ორიენ-ტირებული იქნება ქვეყნის განვითარების საჭირო-ებებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პრიორიტე-ტებსა და ეკონომიკის გაძლიერებაზე. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორი-ტეტული მიმართულებები;
- დაინერგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბა-მისი უმაღლესი განათლების **ხარისხის მართვისა** და დაფინანსების ახალი, ეფექტური მოდელები; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, შედეგებსა და განვითარებაზე ორიენტირებული სტანდარტები და პროცედურები ორიენტირებული იქნება ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფაზე. განხორციელდება მეცნიერული **კვლევის** ინტეგრაცია სწავლების პროცესში;
- დაინერგება **ახალი, ინტეგრირებული საბა-კალავრო–სამაგისტრო** სწავლების მოდელი მასწავლებლის მომზადების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი განათლების მქონე პირთა-თვის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმა-ნათლებლო დაწესებულებებში ამოქმედდება მასწა-ვლებლის მომზადების აკრედიტებული ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც სახელ-მწიფოს მიერ ყოველწლიურად დაფინანსდება 1000-მდე პირი და ხელი შეეწყობა სკოლებში მათ დასაქმებას;
- მხარდაჭერილი იქნება სპეციალური პროგრამები საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში მოღვაწე წამყვანი ქართველი მეცნიერების უმაღლესი განათლების სისტემაში **რეინტეგრაციის მიზნით;**
- ხელისუფლება განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროცესში **თანამედროვე ტექნოლოგიების** როლისა და მნიშვნელობის ზრდას, მათ შორის, დისტანციური სწავლების განვითარებას;
- ხელისუფლება ხელს შეუწყობს უმაღლესი განათ-ლების **ინტერნაციონალიზაციას** და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას;

- საქართველოს რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - **„ისწავლე საქართველოში“.**
- ქუთაისში აშენდება ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც წამყვანი რეგიონული ცენტრი გახდება ზუსტი, საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და საინჟინრო მიმართულებით.

მეცნიერება

- განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები საქართველოს ძლიერ, **რეგიონულ სამეცნიერო ცენტრად** გადაქცევისთვის;
- ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება **პრიორიტეტული სამეცნიერო დარგების იდენტიფიკაცია** და მათი გაძლიერების მხარდაჭერა;
- ხელი შეეწყობა **საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას** და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას - მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებას. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით;
- გაძლიერდება მეცნიერების **ინფრასტრუქტურული** შესაძლებლობები;
- სახელმწიფო მხარს დაუჭერს **თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.**

3.3. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოხდა კულტურის, ახალგაზრდობის პოლიტიკისა და სპორტის სფეროების სრული დეპოლიტიზაცია.

2012 წლის შემდეგ, ყოველწლიურად იზრდება **კულტურის** განვითარებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებს და აამოცანებს კულტურის სექტორში. საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველია, რომელიც ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპის“ წევრი გახდა. გაიზარდა სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურება, მიმდინარეობს პროფესიული პროგრამების დაფინანსება, უზრუნველყოფილია სასწავლებლების სტუდენტების უცხოეთში გაგზავნა. 2013 წლიდან, სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 437 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, რისთვისაც დაიხარჯა 35 მლნ ლარზე მეტი. სახელმწიფომ დაიწყო უპრეცედენტო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 50-მდე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოს განხორციელებას. საქართველოში პირველად შემუშავდა სამუზეუმო ფასეულობათა ერთიანი ელექტრონული ბაზა. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მცხეთის ისტორიული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების ნუსხიდან ძირითად ნუსხაში დააბრუნა. „ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს“ UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მომზადდა და UNESCO-ს მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტატიულ ნუსხაში შესატანად წარსდგა ახალი ნომინაცია - “ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა“. ქართული ფოლკლორის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით იხსნება სალოტბარო სკოლები. საქართველომ მოიპოვა უფლება, 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგეს. ჩვენს ქვეყანას ეძლევა უპრეცედენტო შესაძლებლობა, წარმოაჩინოს თავისი კულტურული მრავალფეროვნება. კინოწარმოებაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შემუშავდა პროგრამა “გადაიღე საქართველოში“. ასევე, კინოწარმოების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. სახელმწიფოს ხელშეწყობით, 2013-2016 წლებში მოეწყო ქართული კინოს 400-ზე მეტი რეტროსპექტივა ამერიკის, ევროპისა და აზიის კინოფესტივალებზე. 5 ქვეყანაში ჩატარდა ქართული კინოს დღეები. „ოსკარზე“ და „ოქროს გლობუსზე“ წარსდგა ქართული ფილმები. მიღწეულია შეთანხმება რუსეთის სახელმწიფო კინოფონდიდან ქართული კინომემკვიდრეობის დაბრუნებაზე. 2013-2016 წლებში თეატრებმა გამართეს 12 ათასზე მეტი სპექტაკლი, მათ შორის 646 პრემიერა, 43 ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალი, 350 საგასტროლო სპექტაკლი როგორც საქართველოს რეგიონებში, ისე საზღვარგარეთ. ხორციელდება ქართული სახელოვნებო ორგანიზაციების განევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში, ფონდებსა და კონვენციებში. სამინისტროს დაფინანსებით, პროგრამულად არის უზრუნველყოფილი რეგიონული პროექტების ხელშეწყობა, მათ შორის ღონისძიებები ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფ ხაზთან მიმდებარე სოფლებში. სამინისტრო ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ხელს უწყობს შშმ პირთა შემოქმედებითი უნარების, ტალანტის რეალიზაციას და ზოგადად, საერთო კულტურულ სივრცესთან ინტეგრაციას. საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2016 წლის აპრილიდან დაიწყო პროექტი „Check in Georgia”, რომელიც მოიცავს ქვეყნის 19 ქალაქში 150-ზე მეტ ღონისძიებას და 43 ფესტივალს ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით. პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის პოპულარიზაციას და შიდა და გარე ტურისტული ნაკადების ზრდას.

ხელისუფლებამ შეიმუშავა **სპორტის** სახელმწიფო მართვის თანამედროვე, ევროპული მოდელი. სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დაფუძნდა ეროვნული სპორტული ფედერაციების აღიარების და დაფინანსების საბჭო, სპორტის სფეროს გამჭირვალე ფუნქციონირებისა და სტაბილური სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფოს მიერ სპორტის სფეროში ბოლო 4 წლის მანძილზე გამოიყო უპრეცედენტოდ დიდი თანხა, 500 მილიონ ლარზე მეტი ოდენობით. ეს თანხა მოხმარდა სხვადასხვა სპორტული სახეობის განვითარებას, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას, წარმატებული მოქმედი თუ ვეტერანი სპორტსმენების სოციალურ მხარდაჭერას. საქართველომ უმასპინძლა არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას და იქცა რეგიონულ სპორტულ ცენტრად, რაც სპორტული ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. 2012 წლის შემდეგ, თითქმის გაორმაგდა პროფესიულ სპორტში ჩაბმულ პირთა რაოდენობა. განვითარდა სპორტული ინფრასტრუქტურა. შეიქმნა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის პრეცედენტი, რაც ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას სპორტის სფეროში და სპორტული ობიექტების მართვის წახალისებას. დასრულდა ოცამდე სრულიად ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ობიექტის მშენებლობა, მათ შორის ამიერკავკასიაში პირველი სპორტული კომპლექსი თბილისში, რომელიც სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. საქართველოს 38 მუნიციპალიტეტში დამონტაჟდა 60-მდე გარე სავარჯიშო მოწყობილობა. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა“. ასევე შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამა“. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნება საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი სპორტსმენების წარმატებების კუთხით: ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 1 846 მედალი: 600 - ოქრო, 521 - ვერცხლი, 725 - ბრინჯაო. ქართველი ოლიმპიელები რიოს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე წარდგნენ 40 სპორტსმენით სპორტის 13 სახეობაში (ორივე რეკორდული მაჩვენებელია) და მოიპოვეს 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი. აღსანიშნავია, რომ ქართველი პარაოლიმპიელები რიოს 2016 წლის პარაოლიმპიურ თამაშებზე წარდგებიან აქამდე ყველაზე დიდი - 5 სპორტსმენის შემადგენლობით. 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა და პირველად ავტომატურად მოიპოვა მომდევნო მსოფლიო თასის საგზური. ამასთან, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ისტორიაში პირველად ავიდა მსოფლიო რეიტინგის მე-11 საფეხურზე.

შემუშავდა **ახალგაზრდობის პოლიტიკის** განვითარების პროგრამა. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ და „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015 – 2020 წწ.)“. სამინისტროს და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ უკვე განხორციელდა 100-მდე პროექტი, რომელთა უშუალო მონაწილე ან ბენეფიციარი იყო 150 000-ზე მეტი ახალგაზრდა. აქტიურად მუშაობს სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი. ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, რომელთა შორის ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების გზით (განსაკუთრებით რეგიონებში) ფონდის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქცა. ბოლო 4 წლის მანძილზე, ფონდის მიერ დაფინანსდა 40 სოციალური მეწარმეობის პროექტი. საერთო ჯამში, 4 წლის მანძილზე, ფონდმა დააფინანსა 200-ზე მეტი პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ დაახლოებით 3,2 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული პროექტების 65%-ზე მეტი რეგიონებში განხორციელდა. ფუნქციონირებს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, რომლის მისიაა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფებზე ზრუნვის ხელშეწყობა, ბავშვების და ახალგაზრდობის ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სხვ. ცენტრის პროექტებს შორის, აღსანიშნავია ანაკლიისა და შაორის მომავლის ბანაკები. აღსანიშნავია სამინისტროს და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, ასევე არასამთავრობო სექტორის მონაწილეობა ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რისი დასტურიცაა ერთობლივად შემუშავებული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების სტრატეგია.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

კულტურა

- გაიზრდება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროს **დაფინანსება**;
- დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული **კანონმდებლობა**. შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სათანადო საკანონმდებლო საფუძვლებს. შემუშავდება ქველმოქმედების შესახებ კანონი, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიებას და დაფინანსების დივერსიფიკაციას;
- კულტურის **მართვა** უფრო ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური გახდება. გაიზრდება ექსპერტთა და პროფესიონალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების, დარგობრივი სტრატეგიების შემუშავების პროცესში;
- გაიზრდება **კულტურის ხელმისაწვდომობა** ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის. განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურის და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. მოხდება კულტურის პოპულარიზაცია მოსახლეობის

ფართო ფენებისათვის, ხელი შეეწყობა მედიისა და მაუწყებლის პოტენციალის გამოყენებას კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;

- მოხდება **კულტურის ინტეგრირება სხვა დარგების, განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაში.** გაძლიერდება კომუნიკაცია კულტურის სფეროს მუშაკებსა და ბიზნესსტრუქტურებს შორის, პარტნიორობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. ხელი შეეწყობა კულტურის სფეროს პოტენციალის სამეწარმეო მიმართულებით ათვისებას, მათ შორის რეწვის ტრადიციული ეროვნული მიმართულებით. პროგრამა „შემოქმედებითი საქართველოს“ ფარგლებში, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის საჭირო სივრცეებსა და დაწესებულებებს: ლაბორატორიებს, ინკუბატორებს. შემუშავდება შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მექანიზმები. გაუმჯობესდება კულტურის საექსპორტო პოტენციალის ათვისება, ასევე ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაცია და მისი გლობალურ კონტექსტში წარმოჩენა;
- განხორციელდება პროექტები **კულტურის დიგიტიზაციის** ხელშესაწყობად;
- სახელმწიფო უზრუნველყოფს **ნიჭიერ ხელოვანთა მხარდაჭერას;**
- ხელი შეეწყობა **სახელოვნებო განათლების** განვითარებას, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას;
- უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების სხვადასხვა დარგის **პოპულარიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;**
- შემუშავდება **კულტურის მოღვაწეთა სოციალური** დაცვის დამატებითი მექანიზმები.

სპორტი

- გაიზრდება სახელმწიფოს მხრიდან **სპორტის დაფინანსება;**
- დამტკიცდება მაღალმთიან დასახლებებში სპორტში დასაქმებული **მწვრთნელებისთვის** ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა, უზრუნველყოფილი იქნება მწვრთნელებისათვის პროფესიული და უმაღლესი სასპორტო განათლების ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდება **სპორტის უნივერსიტეტის რეფორმა** ქვეყნის სათანადოდ მომზადებული პროფესიული კადრებით უზრუნველსაყოფად;
- ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, 15%-ით გაიზრდება პროფესიულ **სპორტში ჩაბმულ პირთა** რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბავშვებისა და მოზარდების ჩართვას;
- ხელი შეეწყობა **მასობრივი სპორტის** განვითარებას, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების სპორტში ჩაბმას;
- ყურადღება დაეთმობა სპორტის განვითარებას **პენიტენციურ დაწესებულებებში;**
- 4 რეგიონულ ცენტრში აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი **ახალი სპორტის სასახლეები;**
- აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი **ფეხბურთისა და რაგბის 20 კომბინირებული მოედანი;**
- თბილისში აშენდება **ჭიდაობის სასახლე და სპორტსმენთა რეაბილიტაციის ცენტრი;**
- მომდევნო 5 წლის განმავლობაში, 265 მლნ ლარით დაფინანსდება საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე სხვადასხვა დონის **საფეხბურთო** გუნდი. ხელი შეეწყობა საფეხბურთო გუნდების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ბავშვთა და ქალთა ფეხბურთის, ასევე ასაკობრივი გუნდების (მათ შორის სანაკრებოს) განვითარებას;
- ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან კოორდინაციით, შემუშავდება **სპორტული ტურიზმის** განვითარების სტრატეგია, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასთან ერთად, განაპირობებს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტურ გამოყენებას;
- საქართველო უმასპინძლებს არაერთ **საერთაშორისო ტურნირს და ღონისძიებას;**
- გაგრძელდება მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტისთვის განკუთვნილი **ინფრასტრუქტურის** მშენებლობა;
- ყველა მუნიციპალიტეტში მოეწყობა **გარე სავარჯიშოები.**

ახალგაზრდობის პოლიტიკა

- გაძლიერდება **ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა** სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების, ჰობი-განათლებისა და რეკრეაციული პროექტების დაფინანსების კუთხით;
- გაიზრდება**ადგილობრივი თვითმმართველობების როლი** ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით;
- გაიზრდება **სოციალური საწარმოების** დაფინანსება, განსაკუთრებით - რეგიონებში;
- აშენდება 3 ახალი **ახალგაზრდული ბანაკი;**
- **ახალგაზრდული ტურიზმის** ხელშეწყობის მიზნით გაორმაგდება კემპინგცენტრების და ტურისტული ბილიკების რაოდენობა; გაორმაგდება სოციალური თუ ახალგაზრდული კაფეების რაოდენობა;
- გაღრმავდება **ევროკავშირთან თანამშრომლობა** ახალგაზრდობის მობილობის, მოხალისეობის ხელშეწყობის და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მიზნით;
- გაუმჯობესდება **არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა** ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის;
- გაიზრდება შშმ პირების ინკლუზიაზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების პროგრამების მხარდაჭერა, მათ შორის მათ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობა.

4. საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა

ქვეყნის გრძელვადიანი, მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების საფუძველი უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა.

ჩვენი მიზანია თანამედროვე, სტაბილური, განვითარებული დემოკრატიის ევროპული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის გაგრძელება და მისი ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზა ქვეყნის ევროპული ინტეგრაციაა.

საქართველო რთულ და ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში იმყოფება. არსებული გლობალური და რეგიონული გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას და აშშ-თან, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ალტერნატივა არა აქვს.

აღნიშნული მიმართულებებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი კომპონენტის - სტაბილური და პროგნოზირებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყანაში სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს ფორმირების ობიექტური საჭიროება ასევე უალტერნატივოს ხდის რუსეთიდან მომავალი საფრთხეების მინიმიზაციისა და რაციონალური პოლიტიკის აუცილებლობას, ქვეყნის დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობისა და სტრატეგიული ინტერესების დათმობის გარეშე.

ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაგრძელებისა და რუსეთთან რაციონალური პოლიტიკის წარმართვის საფუძველზე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობით განპირობებული სარგებლის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების საწინდარს წარმოადგენს. ყოველივე ეს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ზოგადად, ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია:

- უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება;
- რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება;
- მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება და სტრატეგიული პროექტების განვითარება;
- საქართველოს ეკონომიკური მიმზიდველობისა და კულტურის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით;
- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და დიასპორასთან მჭიდრო კავშირების განმტკიცება.

4.1. უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი. ამ მიმართულებით გასული ოთხი წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა.

საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა **მშვიდობიან, პრინციპულ და რაციონალურ** პოლიტიკას, რაც არა კონფრონტაციის ხელშემწყობ რიტორიკაზე, არამედ ქმედით ნაბიჯებსა და გრძელვადიან ხედვებზეა გათვლილი. ეს პოლიტიკა გულისხმობს, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობაში დეოკუპაციისკენ მიმართულ პრინციპულ და შეურიგებელ ძალისხმევას და მეორე მხრივ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის წახალისებას, კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის, შერიგების, პირდაპირი კომუნიკაციისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლების ერთიან სახელმწიფო სივრცეში ინტეგრაციის გზით.

საქართველო განაგრძობდა კონსტრუქციულ მონაწილეობას **ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში** - საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ ერთადერთ ფორმატში, სადაც ევროკავშირის, გაერო-ს და ეუთო-ს შუამავლობით განიხილება ძალის არგამოყენების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები. აქტიური ძალისხმევა იყო მიმართული რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების უზრუნველყოფისკენ. მიღწეულ იქნა შეთანხმება გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) აღდგენის თაობაზე, რაც 2012 წლის გაზაფხულიდან შეწყვეტილი იყო. მიმდინარეობდა რეგულარული მუშაობა ერგნეთის მიმართულებით ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში.

აქტიური ღონისძიებები გატარდა საქართველოს **ოკუპირებული ტერიტორიების შემდგომი აღიარების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად.** კერძოდ, გაგრძელდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი შორეული რეგიონების ქვეყნებთან, განეიტრალდა რუსეთის ინტენსიური ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების მიმართულებით. მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად, მოხერხდა 2013 წელს ვანუატუს, ხოლო 2014 წელს ტუვალუს მიერ საქართელოს ოკუპირებული რეგიონების

დამოუკიდებლობის აღიარების უკან გაწვევა და ორივე ქვეყნის მიერ საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. შედეგად, ხუთიდან სამამდე შემცირდა იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებმაც, რუსეთის კვალდაკვალ, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარეს.

საქართველოს აქტიური დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად, მიღწეულ იქნა უპრეცედენტო შედეგები ყველა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებებთან დაკავშირებით **საერთაშორისო საზოგადოების მტკიცე პოზიციის კონსოლიდაციის** კუთხით:

- 2014 წელს პირველად და მას შემდეგ ყოველწლიურად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს საკითხზე: „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი - მიმართ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ნაბიჯები, განსაკუთრებით ალიანსისა და სტრატეგიული პარტნიორობის/ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების დადება ძირს უთხრის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებისკენ მიმართულ ძალისხმევას, აშკარად არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. შესაბამისად, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეაჩეროს და გააუქმოს ეს პროცესი და დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და მის 2008 წლის 8 სექტემბრის საიმპლემენტაციო ღონისძიებებს. 2016 წლის გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის ფედერაცია არის ამ ტერიტორიებზე ფაქტობრივი კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო;
- 2016 წლის 5 ივლისს, თბილისში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე სესიის ფარგლებში მიღებულ იქნა ქართული მხარის მიერ ინიცირებული რეზოლუცია სახელწოდებით „კონფლიქტი საქართველოში“;
- 2016 წლის 29 ივნისს, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს 32-ე სესიის ფარგლებში, პირველად გაკეთდა განცხადება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ, რომელსაც 41 სახელმწიფო შეუერთდა;
- ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით, გრძელდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომელიც ამ ეტაპზე წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო მექანიზმს კონფლიქტის მონიტორინგის კუთხით საქართველოს ტერიტორიაზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია **იძულებით გადაადგილებულ პირთა ფუნდამენტური უფლების დაცვა** და მათი საკუთარ სახლებში ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების უზრუნველყოფა, რაც კვლავ უგულვებელყოფილია საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან. ქართული მხარის ძალისხმევით, აღნიშნული საკითხი დგას და შენარჩუნდება საერთაშორისო დისკუსიების დღის წესრიგში და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში, ვიდრე არ იქნება მიღწეული ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზება. ბოლო წლებში, გაიზარდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ” (შესასწორებელია) რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა. 2013 წელს რეზოლუციას მხარი 62-მა, 2014 წელს - 69-მ, 2015 წელს - 75-მა, ხოლო 2016 წელს - 76-მა სახელმწიფომ დაუჭირა. 2016 წელს მხარდამჭერთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთაც თავი შეიკავეს, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოს აქტიური დიპლომატიის შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობა სულ უფრო ნათლად აცნობიერებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების ფუნდამენტური უფლების დაცვის (აღდგენის) მნიშვნელობას.

2013 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის ფარგლებში **მავთულხლართების და სხვა ბარიკადების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება** სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა, ისეთი რთული გამოწვევების ფონზე, როგორიცაა უკანონო დაკავებები, გადაადგილების თავისუფლების და სამეურნეო მიწებზე წვდომის შეზღუდვა და ა.შ. მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

მიმდინარეობდა მუშაობა **ადამიანის უფლებების საერთაშორისო მექანიზმის ამოქმედებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე,** რისი საჭიროებაც განსაკუთრებით კრიტიკულია ახალგორის და გალის რაიონის მოსახლეობისათვის, რომლის უფლებები უხეშად ირღვევა და იზღუდება, მათ შორის გალში მშობლიურ, ქართულ ენაზე განათლების მიღების შეუძლებლობის სახით, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია მოსახლეობისათვის. 2015 წლიდან დაიწყო კვარტალური ანგარიშების მომზადება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, რაც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლება ეფექტურად ახორციელებდა **“ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ” საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიას,** ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებს აწვდიდა ჯანდაცვის სერვისებს, რაც განსაკუთრებით წარმატებულ პრაქტიკად იქცა ბოლო სამი წლის განმავლობაში მომართვის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებმა ისარგებლეს C ჰეპატიტის მკურნალობის უპრეცედენტო პროგრამით. სახელმწიფომ გადადგა

ნაბიჯები სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდისკენაც. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მოეწყო მსხვილი სავაჭრო კომპლექსი და 2017 წლისთვის დასრულდება მშენებლობა მრავალპროფილიანი სამედიცინო კლინიკისა, რომელიც მთელი რეგიონისთვის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებისათვის, საინტერესო და მიმზიდველ ობიექტად იქცევა.

გააქტიურდა კონტაქტები, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებისა და სახალხო დიპლომატიის ხაზით.

გადაიდგა მნიშვნელოვანი **ჰუმანიტარული ხასიათის ნაბიჯები,** როგორიცაა წითელი ჯვრის შუამავლობით კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სამარხების მოძიების, ნეშტების იდენტიფიცირებისა და გადასვენების პროცესის წარმართვა, პატიმრობაში მყოფი პირების გაცვლა, გარემოს დაცვისკენ, კერძოდ, კოლხური ბზის გადარჩენისკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, საარქივო მასალების მიწოდება და ა.შ.

წარიმართებოდა მჭიდრო **თანამშრომლობა პარტნიორებთან** სამშვიდობო პროცესის მიმართ მხარდაჭერის მობილიზების მიზნით, როგორც ორმხრივ, ისე საერთაშორისო ფორმატებში. მნიშვნელოვანია ისეთი აქტორების ეფექტური ჩართულობა, როგორებიც არიან: ევროკავშირი, გაერო, ეუთო, აშშ, ევროსაბჭო და სხვა პარტნიორები, რომელთა მიდგომა ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ადამიანის უფლებების პატივისცემას ეფუძნება.

ჩვენ გავაგრძელებთ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის შემდგომ კონსოლიდაციას და თანმიმდევრული, მშვიდობიანი და პრაგმატული პოლიტიკის გატარებას უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცების, დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლება:

- მიმართავს ძალისხმევას **მშვიდობის უზრუნველყოფის,** უსაფრთხოების რისკებისა და შესაძლო პროვოკაციების განეიტრალების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და ეკონომიკური განვითარების ვექტორის დაცვისაკენ, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი და წარმატებული მოგვარების წინაპირობაა;
- გააგრძელებს დიპლომატიურ ძალისხმევას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების **არაღიარების პოლიტიკის** გატარებისთვის;
- მიმართავს აქტიურ ძალისხმევას **დეოკუპაციის** ამოცანისკენ, რუსეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების ამოქმედების, როგორც რუსეთთან საერთაშორისო ფორმატში მოლაპარაკებების, ისე საერთაშორისო მხარდაჭერისა და ზეწოლის მობილიზების გზით;
- ხელს შეუწყობს **პირდაპირ დიალოგს** ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის, მიმართავს დინამიურ ძალისხმევას **დაპირისპირებების დაძლევის, ნდობის აღდგენისა და შერიგების** ამოცანების მისაღწევად, სადაც ასევე მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატიის და სამოქალაქო საზოგადოების, საზოგადოებრივი მოღვაწეების, შერეული ოჯახების, ქალების, ახალგაზრდების როლი;
- წაახალისებს კონფლიქტით დაშორიშორებულ ხალხთაშორის კონტაქტებს, **საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას,** რაც ხელოვნური გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარულ და პრაგმატულ საჭიროებებს, პროფესიული ჯგუფების თუ სხვადასხვა დარგის ექსპერტების (ეკოლოგების, კულტურის მოღვაწეების, ჟურნალისტების, მედიცინის მუშაკების და ა.შ.) თანამშრომლობის ინტერესებს უკავშირდება;
- გააგრძელებს **კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებზე, მათ შორის დევნილებზე ზრუნვას,** ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამ ამოცანის შესასრულებლად:
  - გააგრძელებს და გააააქტიურებს ყველა შესაბამისი ფორმატის და ინსტრუმენტის გამოყენებას **დევნილთა დაბრუნების განუყოფელი უფლების** დაცვისა და ამ უფლების რეალიზებისთვის;
  - გააააქტიურებს მუშაობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე **ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და დაცვის საერთაშორისო მექანიზმების** ამოქმედებისათვის, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, განსაკუთრებით, მოწყვლადი გალის და ახალგორის რაიონების მაცხოვრებელთა უსაფრთხოების, უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;
  - გადადგამს ნაბიჯებს, მათ შორის საერთაშორისო დონორების მხარდაჭერის მობილიზების გზით, **გამყოფი ხაზების სიახლოვეს** მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე შემდგომი რეაგირების და ამ რეგიონების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით;
  - გააფართოებს და გაამარტივებს **სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ მომსახურებებზე წვდომას** ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებისათვის. გაგრძელდება წარმატებული პრაქტიკა ჩართულობის სტრატეგიის ფარგლებში და გააქტიურდება ახალი მიმართულებები, რაც მათ ერთიან სახელმწიფო სივრცეში ინტეგრირების და ქვეყნის განვითარების პროცესში თანამონაწილეობის შესაძლებლობებს მისცემს;
  - ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებს შესთავაზებს იმ **სარგებელსა და სიახლეებს,** განვითარების და უკეთესი მომავლის პერსპექტივებს, რაც თავის მხრივ, საქართველოს ევროპულ მომავალსა და განვითარებას უკავშირდება და გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის

ევროკავშირთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობის ფორმატებიდან;

- მაქსიმალურად გამოიყენებს ყველა რელევანტურ **საერთაშორისო პლატფორმას** საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის მიზნების განხორციელების, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების და ჰუმანიტარული გამოწვევების მოგვარების ხელშეწყობისათვის;
- გააგრძელებს ძალისხმევას **ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის** ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ასევე გალსა და ერგნეთში ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შედეგიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის;
- გააააქტიურებს თანამშრომლობას **პარტნიორებთან, მეგობარ სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან, დონორ ორგანიზაციებთან** სამშვიდობო ამოცანების მხარდასაჭერად, მათ შორის, ომით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის და შერიგების პროცესის წახალისების, ნდობის აღდგენისკენ მიმართული კონკრეტული პროექტების, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე რეაგირების, სახალხო დიპლომატიის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით;

- ამ ამოცანების მისაღწევად და გაცხადებული პრინციპების საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენს **სამშვიდობო პროცესის ხედვას,** რომელიც მოიცავს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს და განსაზღვრავს მოქმედების ტაქტიკას, რაც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ინიციატივების განხორციელებაზე და ხელს შეუწყობს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარებისთვის მყარი საფუძვლის შექმნას.

4.2. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

„საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ეფუძნება და სრულად ასახავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ურყევ ნებას - ეროვნული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებით გახდეს დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობის ღირსეული და სრულუფლებიანი წევრი.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის - **ევროპული ინტეგრაციის** კუთხით.

2014 წელი ისტორიულია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა **ასოცირების შეთანხმებას,** ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით, რითაც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. შედეგად, ევროინტეგრაცია გახდა ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტი. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე მსოფლიოში მსყიდველობითუნარიანობით უმსხვილეს ბაზარზე დამკვიდრების საშუალებას იძლევა და შესაბამისად, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და ექსპორტის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, დასაქმების ზრდასა და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. 2016 წლის 1 ივლისიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ რატიფიცირების დასრულების შემდეგ, ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში. ამასთან, ასოცირების შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი წარმატებით ხორციელდება 2014 წლის სექტემბრიდან.

საქართველოსთვის **ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის** სამოქმედო გეგმის (VLAP) ოფიციალურად გადმოცემის (2013 წლის 25 თებერვალი) შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებამ, მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად, დაასრულა გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც დადასტურებულია ევროკომისიის 2015 წლის 18 დეკემბრის შესაბამის ანგარიშში. 2016 წლის 9 მარტს, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების მიზნით, ევროკომისიამ მოახდინა საკანონმდებლო პროცესის ინიცირება და ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება. ამჟამად, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტში მიმდინარეობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი პროცედურები.

ევროკავშირს განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, **ევროკავშირი, გაეროსთან და ეუთოსთან ერთად, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეა,** მხარს უჭერს არაღიარების პოლიტიკას და საქართველოში ახორციელებს სადამკვირვებლო მისიას (EUMM). საქართველო, თავის მხრივ, ჩართულია ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და ევროკავშირთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოებაში.

2013 წელს დაიწყო აქტიური დიალოგი **ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებასთან** დაკავშირებით. ამჟამად, აღნიშნულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია.

2015 წლის თებერვალში ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირის **პროგრამის - „Creative Europe“** („შემოქმედებითი ევროპა“) წევრი გახდა.

2016 წლის 29 აპრილს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის **ჩარჩო-პროგრამის - “ჰორიზონტი 2020”** ასოცირებული წევრობის შესახებ.

საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივ ფორმატში,** მათ შორის შესაბამის თემატურ პლატფორმებში, ევრონესტის საპარლამენტო

ასამბლეაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ადგილობრივი და რეგიონული მმართველობების კონფერენციაში.

საქართველოს მთავრობამ, ასოცირებულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთმა პირველმა, უზრუნველყო **ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა,** როგორც ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვის, ისე შესრულების მონიტორინგის თვალსაზრისით.

საქართველოს წინსვლა ევროინტეგრაციის მიმართულებით დადებითად შეფასდა 2014-2015 წლებში გამართულ ასოცირების საბჭოს სხდომებზე. საქართველო წარმოჩინდა, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერი ქვეყანა ასოცირების შეთანხმების შესრულების თვალსაზრისით.

ჩვენი ამოცანაა სრულად და ეფექტიანად იქნას გამოყენებული ქვეყნის ევროინტეგრაციით განპირობებული შესაძლებლობები. ევროინტეგრაციის პროცესით გათვალისწინებული რეფორმები მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტების დამკვიდრების და წარმატებული ტრანსფორმაციის მისაღწევად. ამ მიზნით:

- გაგრძელდება **ასოცირების შეთანხმების,** რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს, ეფექტიანი განხორციელება;
- გაგრძელდება თანამშრომლობა მიგრაციის საკითხებზე და უვიზო მიმოსვლის ამოქმედების საფუძველზე, შეიქმნება მეტი შესაძლებლობები ჩვენი მოქალაქეებისთვის;
- გაგრძელდება ინსტიტუციური და სექტორალური ინტეგრაცია ევროკავშირთან;
- გაღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში;
- საქართველო გაწევრიანდება ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში;
- გააქტიურდება თანამშრომლობა ევროკავშირის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული პროგრამების, მათ შორის “შემოქმედებითი ევროპის” და “ჰორიზონტი 2020-ის” ფარგლებში, რათა მაქსიმალური სარგებელი გახდეს ხელმისაწვდომი საქართველოს მოქალაქეებისთვის;
- გაღრმავდება თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივ ფორმატში ერთობლივი პროექტების განხორციელების კუთხით;
- გაგრძელდება **სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა,** რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

ნატო-ში ინტეგრაცია არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა და საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისა და სტაბილური განვითარების წინაპირობა. საქართველო მიზანმიმართულად განაგრძობს სვლას ნატო-ს წევრობისაკენ.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ნატო-საქართველოს ურთიერთობები განსაკუთრებულად აქტიური და შინაარსობრივად დატვირთული იყო. **2013 წელს შედგა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მესამე, ხოლო 2014 წელს - ნატოს სამხედრო კომიტეტის პირველი ვიზიტი საქართველოში.** 2016 წლის ივლისში გამართულ ნატო-ს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, 2016 წელს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეოთხე ვიზიტი გაიმართება.

საქართველოსთვის, როგორც ასპირანტი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანი იყო 2014 წლის ნატოს **უელსის სამიტი,** რომელზეც ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის “არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავებისა და ურთიერთობის თვისებრივად ახალ დონეზე გადასვლის შესახებ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, 2015 წლის აგვისტოს ბოლოს, ალიანსის გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტისას, **ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი** დაფუძნდა. 2016 წლის ივნისში, **თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა** გაიხსნა. ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტით“ განსაზღვრული ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულებით, ქართული მხარე ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ნატოში გაწევრიანებისთვის მომზადებას. უელსის სამიტზე საქართველო ასევე მიიწვიეს “პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივასა” და “გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში” (შვედეთთან, ფინეთთან, ავსტრალიასა და იორდანიასთან ერთად). ამასთან, ქართული ქვედანაყოფი 2015 წლიდან შეუერთდა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს, რაც კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს ალიანსთან.

ნატო-საქართველოს „არსებით პაკეტთან“ ერთად, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტებია **წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია.** აღნიშნული ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებით, საქართველო წარმატებით ახორციელებს დემოკრატიული განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ მიმართულ რეფორმებს.

საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა მიიღო ნატოს **ვარშავის სამიტზე,** რაც ალიანსში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის აღიარების შედეგია. სამიტმა დაადასტურა 2015 წლის ნატო-ს საგარეო მინისტერიალის განცხადება, რომ საქართველოს უკვე აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს ალიანსის წევრობისთვის. ამავე დროს, საქართველოსათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭება რჩება პოლიტიკური პროცესის ნაწილად. ვარშავის სამიტზე ცალსახად ხაზი გაესვა, რომ საქართველოს აქვს ყველაზე ღრმა და ყოვლისმომცველი ურთიერთობები ალიანსთან და ალიანსის ღია კარის პოლიტიკა ძალაშია.

ვარშავის სამიტზე მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები საქართველოსთვის თავდაცვის სფეროში ნატოს დამატებითი დახმარების გაწევის შესახებ. **გაძლიერდა „არსებითი პაკეტი“ და მიღებულ იქნა ახალი ინიციატივები,** მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა, სტრატეგიული კომუნიკაცია.

საქართველომ დაამტკიცა, რომ აქვს პოლიტიკური ნება და შესწევს უნარი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც ჩვენი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების ავღანეთში მიმდინარე მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილეობით დასტურდება. ამასთან, **საერთაშორისო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა** ხელს უწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის გაზრდას, ნატოსთან თავსებადობის დონის ამაღლებას, თავდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებასა და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის, როგორც ალიანსის სანდო და ქმედითუნარიანი პარტნიორის, გამყარებას.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების ამოცანებს, ასევე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს აქტიურად უჭერს მხარს **ნატოს საპარლამენტო ასამბლეა,** რომლის სხდომა 2017 წელს საქართველოში გაიმართება.

ალიანსში ინტეგრაციის დაჩქარების მიზნით:

- არსებული პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით მოვემზადებით ნატოს წევრობისთვის;
- გაგრძელდება ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტის“ ეფექტიანი განხორციელება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ნატოსთან თავსებადობის ზრდას;
- გაგრძელდება ნატო-საქართველოს კომისიის ფორმატში ალიანსთან აქტიური თანამშრომლობა;
- წარმატებით გაგრძელდება წლიური ეროვნული პროგრამების განხორციელება;
- საქართველო კვლავ იქნება ალიანსის მნიშვნელოვანი პარტნიორი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში;
- 2017 წელს საქართველოში გაიმართება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა.

ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ სტრატეგიული კომუნიკაციის მიზანი საზოგადოებაში ქვეყნის **ევროატლანტიკური კურსის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნებაა.** უკანასკნელი წლების განმავლობაში, ანტიდასავლური პროპაგანდა გაძლიერდა და გამოწვევად იქცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - მთელ ევროპაში და მის მიღმაც.

გაძლიერებული ანტიდასავლური პროპაგანდის მიუხედავად, ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესის კოორდინირებით, ჩვენ შევძელით **დემოკრატიული მმართველობის პირობებში საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება.**

ჩვენი მიზანია საქართველოში არსებული ტრადიციულად **ემოციური მხარდაჭერის გამყარება გაცნობიერებული არჩევანით.** დღეს საზოგადოება მეტად ინფორმირებულია, თუ რატომ არის სასარგებლო და მიმზიდველი საქართველოს ევროპული გზა. ყოველივე ეს გაამყარა ჩვენმა ხელშესახებმა შედეგებმაც - ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობებმა და პოზიტიურმა დასკვნამ უვიზო მიმოსვლაზე.

2014-2016 წლებში, **კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის** ფარგლებში, მთავრობამ განახორციელა 750-ზე მეტი აქტივობა: შეხვედრები, ტრენინგები და სემინარები, მათ შორის საინფორმაციო ღონისძიების/კამპანიის ფორმატში. განხორციელდა არაერთი სატელევიზიო პროექტი და კამპანია უვიზო მიმოსვლასა თუ ასოცირების შეთანხმების სარგებელზე.

მთავრობა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და 20-ზე მეტი ასეთი პროექტის მხარდაჭერით, ქვეყანაში სტრატეგიული კომუნიკაციის კოორდინირებით, ვაღწევთ შესაბამის შედეგს.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც სხვადასხვა სამინისტროებში შექმნა სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი და სამაგალითოა ჩვენი **თანამშრომლობა ნატოსა და ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციების ახლადშექმნილ დანაყოფებთან.**

ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციის განხორციელების მიზნით:

- გაგრძელდება **ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების** განხორციელება ინფორმაციის, სტრატეგიული კომუნიკაციის და არა კონტრპროპაგანდის ან სხვა არადემოკრატიული საშუალებების გამოყენებით;
- გაგრძელდება აქტიური **საინფორმაციო კამპანია,** რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობისთვის ზუსტი, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ევროკავშირისა და ნატოს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ასევე ქვეყნის მიერ განსახორციელებელი რეფორმების თაობაზე;
- გაგრძელდება **თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან** მათი პროექტების მხარდაჭერისა და ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირების მიმართულებით;
- შემუშავდება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე **ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგია.**

4.3. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

საქართველოს ესაჭიროება დაბალანსებული, ადაპტირებადი, საკმარისი საბრძოლო ძალის მქონე, მოქნილი, მდგრადი და მობილური შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავსებადია ნატოს საერთაშორისო

ოპერაციებში მონაწილეობისთვის, უზრუნველყოფს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერას სტიქიური და ტექნოგენური უბედურების დროს, ადეკვატურად პასუხობს როგორც საზღვრებიდან მომდინარე თავდასხმის საფრთხეებს, ისე პირდაპირ სამხედრო აგრესიას. არსებული უსაფრთხოების გამოწვევების შესამცირებლად მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ისეთი თავდაცვითი შესაძლებლობების შექმნა, რომელიც ეკონომიკური და დიპლომატიური შეკავების ფაქტორებთან თანაფარდ სამხედრო შესაძლებლობებს განავითარებს და ამგვარად, საკმარისი შეკავების ფაქტორის შექმნით, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შეძლებს. ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისკენ განუხრელი სწრაფვა სწორედ ამ მიზნის თანაზომიერია. ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, საქართველოს სამხედრო ძალები უნდა იყოს მძლავრი შემაკავებელი ფაქტორი აგრესორისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი არგუმენტი ომის პრევენციისათვის.

ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, „ქართული ოცნება“ დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას, რომელიც გახდება ქვეყნის თავდაცვის ახლებური ხედვის ცხოვრებაში გატარების სტრატეგიული გეგმა და საფუძვლად დაედება სამხედრო ძალების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაეფუძნება სამხედრო სფეროში დღემდე არსებულ მიღწევებს, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წარმატებულ პროგრამებს, ნატო-საქართველოს ერთობლივ პროექტებს, აგრეთვე სამხედრო ძალების რეფორმირების პრინციპულად ახალ ხედვებს, რომლებიც განვითარდება შემდეგი 5 მიმართულებით:

- **სტრატეგია და მართვა** - თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრირების ხარისხის გაზრდა რესურსების პრიორიტეტული მიმართულებებით ეფექტიანად მიმართვის და გადანაწილების მიზნით;
- **ძალების ოპტიმიზაცია** - სამხედრო შესაძლებლობების დაბალანსებული ერთიანობის შექმნა, რაც განაპირობებს ქვეყნის უსაფრთხოების ამოცანების შესრულებას;
- **ძალების მზადყოფნა** - კრიტიკულ ფაქტორებზე ფოკუსირება სისტემური განვითარების მიმართულებით: პერსონალი, აღჭურვილობა, განათლება-წვრთნები და მდგრადობა;
- **ინსტიტუციური რეფორმები** - თავდაცვის სამინისტროს მართვის მექანიზმების თანმიმდევრული დახვეწა შეიარაღებული ძალების ოპერატიული მოთხოვნების ქმედითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;
- **საერთაშორისო ჩართულობა** - სამხედრო შესაძლებლობების, აგრეთვე ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში მონაწილეობა.

ხედვის წარმატებით რეალიზაციისათვის:

- **საბოლოოდ გაიმიჯნება კომპეტენციები გენერალურ შტაბსა და სამინისტროს შორის.** განხორციელდება თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის მართვის, კონტროლისა და უწყებრივი კონსულტაციების სისტემის შემდგომი ინტეგრაცია, დახვეწა და ოპტიმიზაცია;
- განხორციელდება არსებული **რესურსების მართვის წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია** თავდაცვის რესურსების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებით გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- გაუმჯობესდება **შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობები და მობილურობა:** უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დარჩება საჰაერო თავდაცვისა და ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება;
- შეჯერდება **რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფცია;**
- განხორციელდება **კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების** მიზნით სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ფულადი კომპენსაციებით უზრუნველყოფის გზების იდენტიფიცირება, მათ შორის პენსიების სისტემასთან დაკავშირებით არსებული წინადადებების შეჯერება;
- ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, შემცირდება პერსონალური ხარჯების წილი თავდაცვის ბიუჯეტში და განხორციელდება, ზოგადად, თავდაცვის სამინისტროს **ხარჯების ოპტიმიზაცია.** გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს შიგნით მკვეთრად გაიმიჯნება უფლება-მოვალეობები და ფუნქციები;
- უზრუნველყოფილი იქნება **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ლოჯისტიკის სისტემის გამართვა.** დაიწყება ერთიანი მატერიალურ-ტექნიკური და სამშენებლო ნორმების დანერგვის პროცესი;
- განვითარდება შეიარაღებული ძალების **კიბერშესაძლებლობები** და გაიზრდება კიბერუსაფრთხოების ხარისხი;
- გაიზრდება **სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობები,** რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის საერთო ეროვნული რესურსებისა და შესაძლებლობების სწორი განაწილება;
- შეიარაღებულ ძალებში განვითარდება **სპეციალური დანიშნულების ძალების შესაძლებლობები;**
- გაგრძელდება სამხედრო პოლიციის რეფორმირება.

4.4. ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ღრმავდებოდა სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ფორმატში, რეგულარულად იმართებოდა ყოველწლიური პლენარული სხდომები და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები ოთხივე თემატური მიმართულებით: უსაფრთხოება

და თავდაცვა; ეკონომიკა, ვაჭრობა და ენერგეტიკა; დემოკრატიული მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება; ხალხთაშორისი ურთიერთობები და კულტურული გაცვლები.

2016 წელს, საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოსა და აშშ-ს შორის **თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების მემორანდუმს,** რომელიც გულისხმობს უპრეცედენტო თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის ამ მიმართულებით და მიმართულია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ.

2015 წელს პირველად ჩატარდა **მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო დიალოგი** ამერიკის სავაჭრო წარმომადგენელისა და საქართველოს ვიცე-პრემიერის შეხვედრის ფარგლებში, რომლის დროსაც ასევე შეთანხმდა ერთობლივი საინვესტიციო და ინფო-კომუნიკაციების და ინოვაციების სფეროს პრინციპები. გაგრძელდა ექსპერტული განხილვები სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის განხილვის კუთხით. ასევე, განხილულ იქნა საქართველოს თანამშრომლობის შესაძებლობა აშშ-ს მონაწილეობით შექმნილ რეგიონულ სავაჭრო პლატფორმებში. მთავრობების ხელშეწყობით და მონაწილეობით განხორციელდა სავაჭრო და საინვესტიციო მისიები როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში. მნიშვნელოვანია ორ ქვეყანას შორის არსებული ვაჭრობისა და ინვესტიციების მაღალი დონის დიალოგის ფორმატის ფარგლებში გამართული შეხვედრები.

განმტკიცდა და გაღრმავდა **თანამშრომლობა განათლების, ჯანდაცვის, თავდაცვის, უსაფრთხოების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და გაძლიერების კუთხით.** აღსანიშნავია, რომ ამერიკული მხარის მხარდაჭერით და ჩართულობით, დიდი წარმატებით ხორციელდება C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამა. გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ 33%-ით გაიზრდება მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში (FLEX) ქართველი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ქვოტები.

აშშ-ს კონგრესში შეიქმნა **საქართველოს მეგობართა ჯგუფი,** რომლის მიერაც ინიცირებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია.

აღსანიშნავია აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი **დახმარების ზრდა** სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით, მათ შორის 2017 წლის ფისკალური ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში.

წარიმართებოდა აქტიური **თანამშრომლობა ამერიკის არასამთავრობო სექტორთან და კვლევით ცენტრებთან.**

2014 წლიდან, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმატებით **თანამშრომლობს საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსთან** (IDEA). 2015 წელს, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსს შორის რეგიონული პარტნიორობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი დონის წარმომადგენლებისა და აშშ-ის კონგრესის მხრიდან საქართველოს **მხარდამჭერი განცხადებები** ცხადყოფს აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ეროვნული ინტერესების მიმართ.

საქართველო გააგრძელებს აშშ-თან, როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ურთიერთობების შემდეგომ გაღრმავებას. კერძოდ:

- გაღრმავდება **სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატით** განსაზღვრული მუშაობა;
- გაღრმავდება აშშ-თან **პარტნიორობა საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობებისა და შეიარაღებული ძალების ინსტიტუციური განვითარებისათვის;**
- გაღრმავდება აშშ-თან **სამეცნიერო და განათლების სფეროში თანამშრომლობა;**
- გაღრმავდება **სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობები.**

4.5. რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. 2008 წლის აგვისტოს ომის ჰუმანიტარულ და მატერიალურ ზარალს დაემატა **რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება** და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივი ხელყოფა.

საქართველოსთან მიმართებით რუსეთი აგრძელებს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების უგულვებელყოფას, მიზანმიმართულად ახორციელებს უკანონო ქმედებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, რაც გულისხმობს სოხუმსა და ცხინვალთან ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმებას, ოკუპირებული ტერიტორიების შემდგომ მილიტარიზაციას, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების, ხელოვნური ბარიერების და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციას. მასშტაბური ხასიათი აქვს ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უფლებების უხეშ ხელყოფას. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ყველაზე რთული საკითხები რეგულარულად განიხილებოდა **ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების ფორმატში.** ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ამოქმედებამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა, წინა წლებთან შედარებით, ტრაგიკული შემთხვევები საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რეგიონებში.

რუსეთის მიმართ პრაგმატულმა პოლიტიკამ, ორმხრივი დიალოგის დაწყებამ და წარმოებამ, ჩვენ დასავლელ პარტნიორებთან აქტიურმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად შეამცირა შეიარაღებული კონფლიქტის განახლების ალბათობა,

რაც ქვეყნის, ასევე შიდაპოლიტიკური, რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

მოსკოვთან ორმხრივი დიალოგის შედეგად, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში.** 2013-2016 წლებში, საქართველოს ექსპორტმა რუსეთში ასობით მილიონი დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი მოგება ნახეს ქართულმა სატრანსპორტო კომპანიებმა. ორმხრივი დიალოგის ფორმატში, შევძელით ჩვენი მოქალაქეების გათავისუფლება, რომლებიც რუსეთში იხდიდნენ მრავალწლიან სასჯელს ჯაშუშობის ბრალდებით. 2016 წელს, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საგრძნობლად გამარტივდა სავიზო მოთხოვნები საქართველოს მოქალაქეებისათვის. გაიზარდა საქართველოში რუსეთიდან ტურისტთა რაოდენობა - 2016 წელი ამ თვალსაზრისით რეკორდული იქნება.

2014 წლის ივლისში, საქართველოს სასარგებლოდ მიღებულ იქნა **სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება** საქმეზე - „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც ეხება 2006-07 წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეთა ეთნიკური ნიშნით დეპორტაციას.

დიალოგი რუსეთთან და პრაგმატული ურთიერთობა ამა თუ იმ სფეროში არ გულისხმობს რაიმე კომპრომისს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე. პირიქით, ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია საქართველოს დეოკუპაცია და გამთლიანება, მისი მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი საგარეო პირობების შექმა. ჩვენი ხელისუფლება კვლავ გააგრძელებს რუსეთთან მიმართებაში პრაგმატულ პოლიტიკას, რომელსაც ცალსახად მხარს უჭერენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

4.6. მეზობელ და რეგიონის სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება და სტრატეგიული პროექტების განვითარება

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მეზობელ სახელმწიფოებთან, შავი და კასპიის ზღვის რეგიონის, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და მათი შემდგომი განვითარება.

გასული ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცება მეზობელ სახელმწიფოებთან - **აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან.** ჩამოყალიბდა თანამშრომლობის ახალი ფორმატები. შეიქმნა თურქეთთან მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭო პრემიერ-მინისტრების დონეზე. გაფართოვდა ურთიერთქმედება საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივ ფორმატში და ის რეგიონული სტრატეგიული თანამშრომლობის წარმატებულ მექანიზმად იქცა.

ხორციელდება თანმიმდევრული, ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლობა ტრადიციულ პარტნიორებთან - **უკრაინასა და მოლდოვასთან.** ამ ქვეყნებთან ორმხრივმა თანამშრომლობამ დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა სამივე ქვეყნის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის გათვალისწინებით. უკრაინასა და მოლდოვასთან საფუძველი ჩაეყარა წარმატებულ სამმხრივ თანამშრომლობას, რომელიც ევროინტეგრაციის სფეროში ურთიერთქმედებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას გულისხმობს.

გრძელდება ორმხრივი თანამშრომლობა **ევროპის ქვეყნებთან.** ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში განსაკუთრებული აქცენტები კეთდებოდა სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე, სატრანზიტო-სატრანსპორტო დერეფნების განვითარებაზე, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაზე.

გაღრმავდა თანამშრომლობა **ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებთან.** უპრეცედენტოდ გაიზარდა ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესი საქართველოსადმი, გაღრმავდა საინვესტიციო, სავაჭრო, სატრანზიტო და ტურისტული კავშირები იაპონიასთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, ირანთან და არაბულ ქვეყნებთან. საქართველო აქტიურად მუშაობს აზიის ფინანსურ ინსტიტუტებთან.

2015 წლის 9 მარტს პეკინში საქართველომ და **ჩინეთმა** გააფორმეს მემორანდუმი „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ორ ქვეყანას შორის ათწლეულების განმავლობაში არსებული მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებასა და რეგიონული პროექტების განვითარებას გულისხმობს. ამასთან, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკებები ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

გამოწვევად რჩება საერთაშორისო ტერორისა და აგრესიისაგან მომდინარე საფრთხეები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია **ანტიტერორისტული კოალიციის** ფარგლებში ჩვენ პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობა. აქტუალური რჩება ჩვენს უშუალო სამეზობლოში, სამხრეთ კავკასიაში, ასევე უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში, რეგიონის სხვა წერტილებში მიმდინარე კონფლიქტებისა თუ უსაფრთხოების სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

რეგიონის და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია არსებული ორმხრივი პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და ხალხთაშორისი კავშირების გაღრმავება და საქართველოს ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის პოპულარიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში ინკლუზიური, კონკურენტული და ეფექტიანი რეგიონული პროექტების განხორციელებას ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ასევე ხალხთაშორისი კონტაქტების გაღრმავების მიმართულებით. მეზობელ სახელმწიფოებთან, შავი და კასპიის ზღვის რეგიონის, ასევე ევროპისა და აზიის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით:

- გაღრმავდება **თანამშრომლობა მეზობელ, რეგიონის და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან;**
- გაღრმავდება **თანამშრომლობა უკრაინასთან და მოლდოვასთან** ევროინტეგრაციის საკითხებზე;
- გაღრმავდება ორმხრივი **თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებთან** პრიორიტეტული მიმართულებებით;
- გაგრძელდება ეფექტიანი **თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებზე** პარტნიორ ქვეყნებთან;
- გაფორმდება **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთთან;**
- გააქტიურდება ძალისხმევა საზღვარგარეთის ქვეყნებთან **ორმხრივ დონეზე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სექტორული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობების** დასამყარებლად.

4.7. მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს ეკონომიკური მიმზიდველობისა და კულტურის პოპულარიზაცია

საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია აქტიური **ეკონომიკური დიპლომატიის** წარმოება, რაც გულისხმობს საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიურ წარმოჩენას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოტანის, ექსპორტის ზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას. ძალისხმევა მიმართულია ქვეყნის სატრანსპორტო–სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილად ათვისებისა და ეროვნული წარმოების განვითარებისკენ.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საზღვარგარეთ **საქართველოს დიპლომატიური მისიების ეკონომიკური მიმართულების გასაძლიერებლად.** მოვახდინეთ ეკონომიკურ მიმართულებაზე პასუხისმგებელი დიპლომატების იდენტიფიცირება, მიმდინარეობს მათი ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ინსტრუქციებით და მასალებით საელჩოების უზრუნველყოფა. ასევე, დაწყებულია მუშაობა კომერციული წარმომადგენლების სისტემის შექმნაზე.

გრძელდება მუშაობა **საქართველოს გავლით ენერგოდერეფნების განვითარების** მიმართულებით და საქართველო აქტიურადაა ჩართული „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის“ პროექტის რეალიზაციის პროცესში. სხვადასხვა ქვეყანასთან გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნების დაფუძნებისა და მათი განვითარების თვალსაზრისით (მაგ. Lapis lazuli, სპარსეთის ყურე-შავი ზღვა).

თბილისში დაფუძნდა ყოველწლიური მაღალი დონის კონფერენცია - **„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“,** რომლის პირველი ღონისძიება გაიმართა 2015 წლის 15-16 ოქტომბერს და მასში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების 1000-მდე წარმომადგენელმა. ფორუმის მიზანი იყო ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების მიმართულებებით ახალი ინიციატივების გამოკვეთა და მხარდაჭერა. ფორუმი გაიმართება რეგულარულად.

2015 წელს საქართველო გახდა **აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა,** რაც უდაოდ შეუწყობს ხელს მსხვილი ეროვნული და რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

გრძელდება მუშაობა მსოფლიოს ლიბერალურ ბაზრებთან ინტეგრაციის მიმართულებით. დასრულდა **ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA)** მოლაპარაკებები და 2016 წლის 27 ივნისს ქ. ბერნში ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას.

საქართველოს დიპლომატიური მისიების მეშვეობით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და საზღვარგარეთის სავაჭრო პალატებს შორის შესაბამისი მემორანდუმების გაფორმების** მიზნით. დღეისათვის, ხელი მოეწერა 25 ოქმს, ხოლო 16 ქვეყანასთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ეკონომიკური დიპლომატიის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს **საქართველოს და უცხო ქვეყნების რეგიონებს შორის საქმიანი კავშირების** დამყარების და თანამშრომლობის გააქტიურების, ასევე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და უცხო ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობის განვითარების და შესაბამისი სახელშეკრულებო ბაზის შექმნის პროცესი.

საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური წარმოჩენის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის, ქართული ექსპორტის გაზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით:

- გააქტიურდება საზღვარგარეთ საქართველოს **დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის ეკონომიკური კომპონენტი.** დაინერგება კომერციული ატაშეს ინსტიტუტი;
- განხორციელდება **საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა** და გაფართოება (ინვესტიციების ურთიერთწახალისების, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ვაჭრობის ხელშეწყობის და სხვა მიმართულებით);
- ხელი შეეწყობა **ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის** განვითარებას, ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციას;
- ხელი შეეწყობა **საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის („ჰაბის“) პოპულარიზაციას;**
- ხელი შეეწყობა **საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სატრანზიტო პროექტებში** მონაწილეობას;
- ხელი შეეწყობა **საქართველოს ტურისტული პოტენციალის რეალიზაციის შემდგომ ზრდას;**

- ხელი შეეწყობა **საქართველოში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოტანას;**
- ხელი შეეწყობა საქართველოს **მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას;**
- განხორციელდება **საქართველოს ექსპორტიორებისა და ბიზნესინტერესების უცხოურ ბაზრებზე ლობირება;**
- ხელი შეეწყობა **ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებსა და ბიზნესგაერთიანებებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას** და თანამშრომლობის განვითარებას, გაგრძელდება უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა.

4.8. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და დიასპორასთან მჭიდრო კავშირების განვითარება

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათში ქართული ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების განმტკიცება. ქართული დიასპორა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. გასული 4 წლის განმავლობაში, დიასპორებთან ურთიერთობების გაუმჯობესების და ქვეყნის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართვის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შემთხვევაში ადგილსამყოფელ ქვეყანაში საცხოვრებლის შესახებ ცნობის წარდგენის აუცილებლობაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანების გაუქმება;
- უცხოეთში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის სამშობლოში გადმოსვენების პროცედურებისა და გადმოსვენებასთან დაკავშირებული ხარჯების სახელმწიფოს მიერ დაფარვის წესის განსაზღვრა;
- საზღვარგარეთ მოქმედი 72 საკვირაო სკოლის, 20 ფოლკლორული ანსამბლის, 4 სპორტული გუნდის და 10 სხვა დიასპორული ორგანიზაციის მხარდაჭერა სასკოლო, სასწავლო, სპორტული და საცეკვაო ფორმების და ინსტრუმენტების მიწოდება;
- დიასპორული ახალგაზრდული პროგრამის („დიასპორული სტაჟირება“, „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“) დაწყება;
- „დიასპორული ვებ-პორტალისა“ და „დიასპორის ელექტრონული ბიბლიოთეკის“ შექმნა;
- დისტანციური სწავლებისა და „ონლაინ სკოლის“ გაკვეთილების გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნა და ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მოდულების მხარეთმცოდნეობის ელემენტებითა და შესაბამისი სიმულაციებით მომზადება, სატესტო გაკვეთილების ჩაწერა;
- თურქეთის რესპუბლიკის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვება და ქართული ენის სწავლების სრული პროგრამული ნაწილის მომზადება;
- საბერძნეთის რესპუბლიკის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამის დაწყება;
- უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო პროგრამების განხორციელება და მხარდაჭერა;
- დაბრუნებული ემიგრანტებისათვის სარეინტეგრაციო სამთავრობო პროგრამის დაწყება;
- ლევილის შატოს და მამულის საქართველოსათვის გადმოცემის წინასწარ განზრახულობათა დოკუმენტის ხელმოწერა.

ბოლო წლებში, არაერთი **დიასპორული ინვესტიცია** განახორციელდა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მედიცინისა და სხვა სფეროებში.

ბოლო 4 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საქართველოდან საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების **ლეგალური გადაადგილების პროცედურების გამარტივების** მიზნით. გაფორმდა უვიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულებები, როგორც დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების, ისე ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის. ამ უკანასკნელთათვის ვიზის მიღების ვალდებულებისაგან გათავისუფლების თაობაზე შეთანხმებები ხელმოწერილ იქნა და ძალაშია: ისრაელთან, ბრაზილიასთან, არგენტინასთან, ჩილესა და ურუგვაისთან. გარდა ამისა, ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ შეთანხმებები ხელმოწერილ იქნა შვეიცარიასა და ნორვეგიასთან.

მნიშვნელოვანია შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ურთიერთობის ინტენსიფიკაციის, სისტემატიზაციისა და არსებული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარების მიზნით. დიასპორასთან ურთიერთობაში ჩვენი უმთავრესი ამოცანაა საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაცია და დიასპორაში არსებული საინვესტიციო და ინტელექტუალური რესურსის ქვეყნის განვითარების პროცესში ჩართვა, დიასპორელი ინვესტორების მეშვეობით დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ინოვაციების სტიმულირება. კერძოდ:

- გაიზრდება უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მათი ოჯახის წევრების ჩართულობა სამეწარმეო და ინოვაციების ხელშემწყობ სამთავრობო („აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, „იაფი კრედიტი“), თანაინვესტირების („დამწყები ბიზნესის (სტარტაპის) ხელშეწყობა“, „მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა“) და საგრანტო („რეინტეგრაციის ხელშეწყობა“, „დასაქმების ხელშეწყობა“) პროგრამებში;
- ხელი შეეწყობა უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ღირსეულ დაბრუნებას და უზრუნველყოფილი იქნება „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი;
- გაძლიერდება სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სარეინტეგრაციო სამთავრობო პროგრამა;

- გადაიხედება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სამართლებრივი სტატუსის და მოწმობის გაცემის წესი, მისი საქართველოს მიგრაციის სტრატეგიასთან, სავიზო და საინვესტიციო პოლიტიკასთან თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ საკვირაო სკოლებს, გადამზადდებიან პედაგოგები და შემუშავდება ერთიანი სასწავლო პროგრამა;
- განახლდება და განვითარდება ახალგაზრდული პროექტები და საზაფხულო ბანაკები;
- ხელი შეეწყობა უცხოეთში ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას და ქართული ენის შემსწავლელი კურსების ქსელის განვითარებას;
- შემუშავდება და განხორციელდება ლევილის მამულის, როგორც კულტურულ-ისტორიული ცენტრის, განვითარების სამოქმედო გეგმა;
- განისაზღვრება „დიასპორულ ორგანიზაციად“ აღიარების კრიტერიუმები, ხელი შეეწყობა დიასპორული ორგანიზაციების სტრუქტურულ გაძლიერებას;
- საქართველოდან საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალური გადაადგილების პროცედურების გამარტივების მიზნით, გაგრძელდება მუშაობა პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი საიმიგრაციო რეჟიმების მისაღწევად.

მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა

„ქართული ოცნების“ მმართველობის განვლილ 4 წელიწადში ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა. ეკონომიკა და ბიზნესი გათავისუფლდა სახელმწიფო წნეხისგან, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვით და კერძო სექტორზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებით შეიქმნა სტაბილური და უსაფრთხო ბიზნეს გარემო, მოხდა ფუნდამენტური წინსვლა დემოკრატიული განვითარების ყველა მიმართულებით, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკას, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ოჯახების გაღარიბების თავიდან აცილება უზრუნველყო. ყველა ფუნდამენტური მიმართულებით საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა მსოფლიოში გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციების რეიტინგებში.

„ქართულმა ოცნებამ“ შექმნა თანამედროვე, დასავლური ტიპის ეკონომიკის მშენებლობის წინაპირობა და ფუნდამენტი. ასევე, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სოციალური პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია ჩვენს პრიორიტეტებში და კვლავაც გავაგრძელებთ სოციალურ სოლიდარობას მანამ, სანამ ჩვენს ქვეყანაში იქნებიან ადამიანები, რომლებიც ამას საჭიროებენ.

დღეს, უკვე დროა, რომ განხორციელდეს მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილება ქვეყნის ეკონომიკაში, მოხდეს სერიოზული გარღვევა და დაიწყოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ეტაპი.

სწორედ ამ მიზნით, „ქართულ ოცნებას“ გააჩნია ეკონომიკური ზრდის დაჩქარების 4 პუნქტიანი გეგმა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ გამოწვევებს. აღნიშნული გეგმით, ჩვენი გუნდი ფოკუსირებას მოახდენს ზუსტად იმ მიმართულებებზე, რომლებიც მოიტანს თვისობრივ ცვლილებებს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, 4 პუნქტიანი გეგმით „ქართული ოცნება“ განახორციელებს:

- ეკონომიკურ რეფორმას;
- განათლების რეფორმას;
- ქვეყნის განვითარებას ოპტიმალური სივრცითი მოწყობით;
- მმართველობის რეფორმას.

ეკონომიკური რეფორმა ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებაზე და მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით გაგვაჩნია გადაწყვეტილებების მთელი პაკეტი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიმზიდველს და მომგებიანს გახდის. შეიქმნება მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები, ბიზნესი აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. აღნიშნული რეფორმით, ბიზნესექტორში დარჩება ასეულობით მილიონი ლარი, რაც წაახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. ჩვენმა გუნდმა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც წინა ხელისუფლების რეპრესიული მანქანის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წაახალისებს ინვესტიციებს. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვეღარ მოხდება ბიზნესის ანგარიშების დაყადაღება; კომპანიების საგადასახადო შემოწმების ვადა იქნება რეგლამენტირებული და გაუქმდება ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. აღნიშნული ნაბიჯები ბიზნესს მისცემს მეტ თავისუფლებას და გააჩენს განვითარების დამატებით პოტენციალს ეკონომიკაში.

„ქართული ოცნების“ მნიშვნელოვანი მონაპოვარია ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა. ქართულ სინამდვილეში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც ქვეყანაში გაჩნდა „სტარტაპების“ დაფინანსების ინსტრუმენტი. არცერთი ბიზნეს-იდეა, რომელსაც გააჩნია განვითარების პოტენციალი არ რჩება დაფინანსების გარეშე. „სტარტაპების“ დაფინანსება იქნება სწრაფი განვითარების 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

განხორციელდება **განათლების რეფორმა.** დაინერგება გერმანული დუალური განათლების სისტემა, სადაც კერძო სექტორთან ერთად მოხდება კადრების გადამზადება და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო და საწარმოები გაინაწილებენ კომპეტენციებს, პროფესიული განათლების თეორიული და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების მიმართულებით.

შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეულ პრიორიტეტულ მიმართულებებს და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და სტუდენტთა შეფასების პროცესებში. შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა პროფესიულ განათლებას

ხელმისაწვდომს გახდის არა მხოლოდ სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის, არამედ, ასაკის შეუზღუდავად, ყველა იმ პირისთვის, ვისაც ახალი პროფესიის დაუფლება სურს. სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური.

ამაღლდება პედაგოგების კვალიფიკაცია, რის შედეგადაც გაიზრდება საშუალო განათლების ხარისხი.

უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები.

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო დარგების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

განათლების რეფორმა უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში.

სივრცითი მოწყობის სქემა იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ქვეყნის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურ ათვისებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში. სწორედ ამიტომ, სივრცითი მოწყობა არის სწრაფი ეკონომიკური ზრდის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილი.

სწორი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვით გავაუმჯობესებთ ურთიერთკავშირს ქალაქსა და სოფელს შორის, ხელს შევუწყობთ ტურიზმის განვითარებას, გავაძლიერებთ ევროპის და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის და ლოჯისტიკურ ფუნქციას.

სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქალაქების და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები, წერტილი დაესმება ქაოტურ განაშენიანებას. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას.

მთელი საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისთვის და გადაადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეგიონების დაკავშირებას. სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის მნიშვნელობა.

მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების დახვეწას და უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის ჩვენ გვჭირდება მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. რეფორმის ფარგლებში, შეიქმნება ერთიანი „ფრონტ ოფისი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბიზნესისთვის საქმიანობის გამარტივების მიმართულებით. ბიზნესი დაზოგავს დროს და რესურსს. მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების დრო იქნება რეგლამენტირებული, მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნება სტრუქტურული ერთეული, რომელიც მთავრობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივობის მონიტორინგს განახორციელებს. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი მონიტორინგის საშუალება.

მოხდება ონლაინ მომსახურებების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია.

აღნიშნული რეფორმები უზრუნველყოფს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდას და თვისობრივ გარდაქმნას ქვეყნის განვითარებაში. მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სწრაფი განვითარების მიზნის მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტიან აღსრულებას.

4 პუნქტიანი გეგმის განხორციელებით ჩვენ მივიღებთ თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანას, შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი ადამიანური რესურსით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნეს გარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით. სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებს უფრო სწრაფ განვითარებას და კეთილდღეობის ზრდას. ეს არის გზა, რომელიც თვისობრივ გარდატეხას შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში და მას სწრაფი განვითარების რელსებზე გადაიყვანს.

საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად მოხვდა საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. მაგრამ, ამისთვის ქვეყანას 25 წელი დასჭირდა. ამ ტემპებით განვითარება ხილულ მომავალში ქვეყანას ვერ მიიყვანს კეთილდღეობის მაღალ დონემდე. საჭიროა თვისობრივად ახალი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების შეუქცევად პროცესს. საჭიროა აქცენტების გადატანა გრძელვადიან განვითარებაზე, ნაცვლად პოპულისტური იდეებისა, რომელიც მიმართულია ამომრჩევლის გულის მოგებაზე და არა ქვეყნის წინსვლაზე.

ჩვენ, სწორედ ჩვენი 4 პუნქტიანი გეგმით მოვახდენთ თვისობრივ გარდატეხას ქვეყნის ეკონომიკაში და დავიწყებთ განვითარების ახალ, სწრაფ ეტაპს.

მმართველობის გასული 4 წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით საფუძველი იმისთვის, რომ თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა, მმართველობის შემდგომ 4 წელიწადში, კონკრეტული გეგმით, ჩვენ მივაღწევთ ამ მიზანს.

დამკვეთი: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – რიგითი ნომერი 41; ს/კ 204579839;
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე მეორეს მოედანი N 3/ ანტონ კათალიკოსის ქ. N 36. შემსრულებელი: შპს „ფავორიტი სტილი“;
ს/კ 404379294; მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 3. ტირაჟი: 500 ც. თარიღი: 7 სექტემბერი, 2016 წ.

თავისუფლება
სწრაფი განვითარება
კეთილდღეობა